ა. ართილაყვა

# ლუეთის ბლეფა აჯანყება

## 1918 წელს

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1960

# შესავალი

1917 წლის ადმინისტრაციული დანაწილებით დუშეთის მაზრა თბილისის გუბერნიაში შედიოდა. დუშეთის მაზრის ტერიტორია შეიცავდა დღევანდელი დუშეთის, მცხეთის, ყაზბეგის რაიონებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნაწილს. ბატონყმობის გაუქმებით დუშეთის მაზრაში გლეხობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ამიტომ ისინი იმთავითვე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ ბრძოლებში. 1905 — 1907 წლების რევოლუციის დროს დუშეთის მაზრის გლეხობამ მრავალი საგმირო ფურცელი ჩაწერა საქართველოს გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში.

რეაქციის მძიმე წლებში კიდევ უფრო გაუარესდა მცირე მიწიანი გლეხებისა და სოფლის ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობა. 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ახალი უბედურება მოუტანა მათ: არმიაში გაიწვიეს თითქმის ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი. „მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ განუცდია გლეხობას „განთავისუფლების“ შემდეგ ისეთი გაჩანაგება, ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და ისეთი აბუჩად აგდება, როგორც რუსეთში“[1].

ომმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სახალხო მეურნეობას: დაიწყო საწარმოო ძალთა რღვევა, დეგრადაციის გზაზე დადგა სოფლის მეურნეობა, უკიდურესად გაუარესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, კიდევ უფრო გამწვავდა მშრომელი მასების სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო მუშათა კლასისა და

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 88

გლეხობის უკმაყოფილების ზრდას და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ მოუხდენია საქართველოს მშრომელი მოსახლეობის ცხოვრებაში. მთელი ძალაუფლება კვლავ შეძლებული კლასების ხელში დარჩა, რომლებიც განაგრძობდნენ ცარიზმის პოლიტიკას.

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც მობრუნების პუნქტი გახდა რუსეთის ხალხთა ცხოვრებაში. ჩაგრულმა მასებმა ისტორიაში პირველად შექმნეს თავიანთი სახალხო მთავრობა, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, საბჭოთა სახელმწიფო.

საბჭოთა სახელმწიფომ გააუქმა მიწის ძველი საკუთრება, მოახდინა მისი სრული ნაციონალიზაცია, უვადოდ და უფასოდ გადასცა იგი გლეხობას მუდმივ სარგებლობაში და ყოველივე ამით ბოლო მოუღო მემამულე-თავადაზნაურთა ხროვას, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში. სისხლს სწოვდნენ გლეხობას. მიწა და თავისუფლება მიიღო. იმ კლასმა, რომელიც რუსეთის სინამდვილეში ყველაზე მრავალრიცხოვანი, უსაზღვროდ ტანჯული და აბუჩად აგდებული იყო. საბჭოთა მთავრობამ თავი დააღწია ომს, მოიპოვა ზავი, მიიღო საჭირო შესვენება და შექმნა პირობები სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის.

სხვანაირად დატრიალდა საქართველოს მშრომელთა ბედი. მენშევიკთა გამყიდველური პოლიტიკის შედეგად საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთისაგან, ხელუხლებლად იქნა დატოვებული ძველი საზოგადოებრივი წყობილება, მიწა კვლავ მემამულეთა საკუთრებაში დარჩა. ერთი სიტყვით, საქართველოს მაშინდელი ხელისუფალნი — მენშევიკები — ბურჟუაზიისა და მემამულეების სოციალური დაკვეთის ამსრულებელნი იყვნენ.

გლეხებისათვის მიწის გადაცემა უსასყიდლოდ, მათი განთავისუფლება ექსპლოატაციისაგან მხოლოდ საბჭოთა ხელი-

სუფლების გამარჯვების პირობებში იყო შესაძლებელი. საქართველოს მუშათა კლასს და გლეხობას ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული. ამიტომ იყო, რომ მენშევიკური მთავრობის ბატონობის პირველსავე წლებში დაიწყო ბრძოლა ძველი საზოგადოებრივი წყობილების დამხობისა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის.

მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში საქართველოს მშრომელი გლეხობის აჯანყებები დუშეთის, რაჭალეჩხუმის, ზუგდიდის, გორის, საჩხერისა და სხვა მაზრებსა და რაიონებში წარმოადგენდნენ საქართველოს ღარიბი გლეხობის აშკარა პროტესტს მენშევიკური მთავრობის ბურჟუაზიულ-მემამულური პოლიტიკის წინააღმდეგ.

დუშეთის მაზრის გლეხთა 1918 წლის აჯანყება საქართველოში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტია.

საქართველოს ბოლშევიკები რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკებისა და ყველა ჯურის შემთანხმებლების წინააღმდეგ, სათავეში ედგნენ მშრომელი მასების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დუშეთის მაზრის ყველა სოფელში იმართებოდა მშრომელთა კრებები, რომელზედაც ბოლშევიკი-აგიტატორები — თედო შუშიაშვილი, მიხა პაპუნაშვილი და სხვ. — ამხილებდნენ მენშევიკური პარტიის გამყიდველურ პოლიტიკას, მშრომელ გლეხობას მოუწოდებდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამის საპასუხოდ მენშევიკურმა მთავრობამ დაიწყო გლეხების განიარაღება, რომელიც გახდა საბაბი დუშეთის მაზრის გლეხთა ნაადრევად აჯანყებისა.

1918 წლის ივნისის მეორე ნახევარში დუშეთის მთელ მაზრას აჯანყების ალი მოედო. აჯანყებულმა გლეხებმა ხელში ჩაიგდეს მთელი მაზრა, მოიწვიეს გლეხთა სამაზრო ყრილობა და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ყრილობამ აირჩია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყებამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა თბილისში მყოფ მენშევიკურ მთავრობას, რომელმაც მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინა და აჯანყებულთა წინააღმდეგ გერმანელი იმპერიალისტების ჯარები, ოფიცრები, გენერლები და თვითმფრინავები გამოიყენა, რის შედეგადაც მშრომელი გლეხობის ბრძოლა თავისუფლებისათვის ჩახშობილ იქნა.

ამრიგად, დუშეთის მაზრის გლეხობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ დროს დამარცხებით დამთავრდა, იგი სისხლში ჩაახშო მენშევიკურმა მთავრობამ, რითაც მენშევიკებმა საბოლოოდ გამოააშკარავეს თავიანთი გამყიდველური პოლიტიკა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა ამ საძულველი მთავრობის წინააღმდეგ კი არ შეწყვეტილა, არამედ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გაძლიერდა და თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს თავისუფლების მოყვარე მთიელთა ამ თავდადებული ბრძოლის გაშუქების პირველ ცდას. ცხადია, ნაშრომს ექნება ზოგიერთი ნაკლოვანებანი, რისთვისაც მკითხველის ყველა საქმიანი შენიშვნა დიდი მადლობით იქნება მიღებული.

# გლეხთა მოძრაობა დუშეთის მაზრაში მე-20 საუკუნის დასაწყისში

მე-20 საუკუნის დამდეგს დუშეთის მაზრა თბილისის გუბერნიაში შედიოდა, იგი არაგვის ერისთავისა და მუხრან ბატონის სამფლობელოს წარმოადგენდა. მისი მოსახლეობა უმთავრესად მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას მისდევდა. გასული საუკუნის 60-იანი წლების საგლეხო რეფორმებს საქართველოს გლეხთა მდგომარეობა თითქმის არ შეუცვლია. გლეხი ეკონომიურად ისევ თავის ნაბატონარზე დარჩა მიჯაჭვული. დუშეთის მაზრის საერთო ფართობი შეადგენდა 359.417 დესიატინას. აქედან პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდა 285.476 დესიატინა, ხოლო ყველა კატეგორიის გლეხობას — 74.441 დესიატინა. მიწის სიმცირის გამო გლეხი იძულებული იყო იჯარით აეღო ყოფილი მებატონისაგან ის მიწა, რომელიც მემამულემ ჩამოაჭრა რეფორმის გატარების დროს. გლეხი ვალდებული იყო აგრეთვე „ნებაყოფლობით" მორიგებოდა მემამულეს ტყითა და საძოვრით სარგებლობისათვის. მემამულეს სრული თავისუფლება ეძლეოდა ისეთი პირობა მოეთხოვა გლეხებისაგან, როგორიც მას სურდა. გლეხი მთლიანად მემამულეზე იყო დამოკიდებული ეკონომიურად. „საბატონო ბეგარისაგან" „განთავისუფლებული" გლეხი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რეფორმატორის ხელიდან გამოვიდა ისევ დაძაბუნებული, გაფცქვნილი, დამცირებული და თავის ნადელზე მიჯაჭვული, რომ მას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ „თავისი ნებით" ისევ საბატონო ბეგარაზე წასულიყო. და გლეხიც ისევ თავისი წინანდელი ბატონის მიწის დამუშავებას ჰკიდებს ხელს, „იჯარით" იღებს მისგან თავისივე მიწას, რომელიც მას ჩამოაჭრეს. ზაფხულში სამუშაოდ ზამთარში ქირავდება, რომ

დამშეული ოჯახის გამოსაკვებად პური სესხად აიღოს. შრომა-მიგება და კაბალა — აი სინამდვილეში რა აღმოჩნდა ის „თავი-სუფალი შრომა“, რომელზედაც „ღვთის კურთხევის“ გამო-სათხოვრად მოუხმობდა გლეხს ხუცეს-იეზუიტის მიერ შედგე-ნილი მანიფესტი“[1].

კანონით გლეხს უფლება ჰქონდა გამოესყიდა თავისი ნა-დელი ნაბატონარისაგან, ე. ი. თავი დაეხსნა, მაგრამ ეს იყო სრული მოტყუება გლეხებისა, ვინაიდან გამოსყიდვა თვით მემამულეზე იყო დამოკიდებული. 1864 წლის კანონის მე-9 მუხლით მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული მისცემდა თუ არა გლეხს „ნადელის“ გამოსყიდვის ნებას. ამავე დროს გლეხს არ ჰქონდა უფლება უარი ეთქვა თავის „ნადელზე“, სხვისთვის გადაეცა, გაეყიდა ან დაეგირავებინა ის. ამავე დროს, ბატონყმურ ექსპლოატაციას ზედ ერთვოდა სახელმწიფო გა-დასახადები: სახაზინო, საერობო, სათემო და სხვ. ყველაზე მეტ გაჭირვებას განიცდიდნენ დროებით ვალდებულნი და ხიზნები, ვინაიდან აღებული ნადელის შემოსავალი მხოლოდ სამ-ოთხ თვეს ყოფნიდათ, შემდეგ კი იძულებული ხდებოდ-ნენ სადმე წასულიყვნენ სამუშაოს საძებნელად ან იჯარით აეღოთ მიწა მემამულისაგან. მიწას იჯარით იღებდნენ სახელ-მწიფო გლეხებიც. დუშეთის მაზრაში სახელმწიფო გლეხებს ჰქონდათ მიწის საერთო ფართობის 17% და ისიც უხარისხო. იჯარა იყო ვადიანი და უვადო. მას გლეხები იხდიდნენ რო-გორც ფულით, ისე ნატურით. დუშეთის მაზრაში იჯარის ყვე-ლაზე უფრო გავრცელებული ფორმა იყო ღალა. მოიჯარადრე გლეხი ვალდებული იყო გაეწია ყველა ხარჯი, რაც საჭირო იყო მიწის დასამუშავებლად, ხოლო მოსავლის ერთი მესამე-დი შეეცა მემამულისათვის. გარდა ამისა მოიჯარადრე ვალდე-ბული იყო დაემზადებია თივა მემამულისათვის. კიდევ უარეს მდგომარეობაში იყვნენ დროებითი ვალდებული გლეხები და ხიზნები, რომლებიც მიწის სივიწროვის გამო მთლიანად მემამულეების კაბალაში იყვნენ ჩავარდნილნი. დუშეთის მაზ-რის მემამულეებს დროებითი ვალდებული გლეხები გადა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 519.

ჰყავდათ ხიზნების მდგომარეობაში. ასახლებდნენ მათ თავიანთ მიწებზე უვადო იჯარის ხელშეკრულების პირობით. 1884 წლის სტატისტიკური ცნობით ხიზნები დუშეთის მაზრაში 975 კომლი იყო, ანუ მოსახლეობის 15 პროცენტი. აქედან 110 კომლს სრულებით არ გააჩნდა სახნავ-სათესი მიწა. მემამულეები თვითნებურად მოითხოვდნენ გლეხებისაგან დღიურ მიწაზე ორ კოდ ხორბალს და ორ მუშას, საბალახოს, ერთ სულ საქონელზე, 30 კაპიკს, ურემ შეშაზე 4 მანეთს, ვენახის მოსავლის ერთ მესამედს, ბაღის მწვანილის ნახევარს, ბაღის ხილის ერთ მესამედს. არ არსებობდა გლეხის ინტერესების დამცველი არავითარი კანონი, არც ერთი დაწესებულება. სახნავ-სათესი მიწა, საბალახო ტყე, წყალი და სხვა, ურომლისოდაც გლეხს არსებობა არ შეეძლო, მისთვის სულ უფრო და უფრო ძნელი მისაწვდომი ხდებოდა, ვინაიდან მემამულეები თანდათან უმატებდნენ ღალას, იჯარას, ბეგარას და ყველა სხვა გადასახადს. რეფორმისშემდგომი პერიოდის გლეხთა მდგომარეობის ნათელი სურათი მოგვცა ვ. ი. ლენინმა სტატიაში—„მუშათა პარტია და გლეხობა", სადაც ის წერდა „...რეფორმისშემდგომ მთელი 46 წელიწადი — ეს არის ამ განგლეხების ერთი მთლიანი პროცესი, ნელი, ტანჯვა-წვალების, გადაშენების პროცესი. გლეხის ცხოვრება დაქვეითდა მათხოვრულ დონემდე: ის პირუტყვთან ერთად ცხოვრობდა, ძონძები ეცვა, ბალახ-ბულახით იკვებებოდა; ....გლეხები ქრონიკულად შიმშილობდნენ და მრავალი ათეული ათასობით იხოცებოდნენ შიმშილისა და ეპიდემიისაგან მოუსავლიანობის დროს, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად მეორდებოდა"[1].

საგლეხო რეფორმის შემდეგ კაპიტალიზმი, იკაფავდა რა გზას სოფლად, იწვევდა გლეხების ფენებად დაყოფას. გლეხთა მასებს გამოეყო კულაკური ფენა, რომელიც ახალ ბატონს წარმოადგენდა სოფლად. გლეხების მემამულურ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ზედ ერთვოდა მშრომელი გლეხობის სრული უუფლებობა, რასაც აძლიერებდა თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიური რეჟიმი. საქართველოში ბატონ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 520.

ყმური ნაშთების სიჯარბე ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაციას, ანელებდა გლეხთა დიფერენციაციის პროცესსაც. მაგრამ ეს დიფერენციაცია და მისი გამოხატულება— გლეხთა მასობრივი გაღატაკება — მაინც ფაქტი იყო. რეფორმის შემდეგ საქართველოში, განსაკუთრებით ზედა და ჩრდილო ქართლში, გლეხობის უმიწაწყლობა ფრიად დამახასიათებელი იყო. სოფლის ნახევრად-ბატონყმურმა წყობილებამ აიძულა გლეხობა აქტიური მონაწილეობა მიეღო პროლეტარიატის მიერ დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობაში. ბოლშევიკური პარტიის წინაშე დაისვა ამოცანა სათანადო შეგნება შეეტანა გლეხობაში და მოემზადებინა ის კლასობრივი ბრძოლის უფრო მძლავრი განვითარებისათვის. გლეხთა რევოლუციური მოძრაობა თითქმის მთლიანად სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით ვითარდებოდა. გლეხები თავიანთ კრებებზე გამოდიოდნენ ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ. გლეხებმა კარგად შეიგნეს, რომ ისინი იტანჯებოდნენ არა იმდენად კაპიტალიზმისაგან, რამდენადაც მემამულეებისა და ბატონყმობის ნაშთებისაგან.

ბოლშევიკების მუშაობის შედეგად, გლეხთა საერთო გამოფხიზლებას არ ჩამორჩა დუშეთის მაზრის გლეხობაც. მიწის სივიწროვის გამო სოფლიდან წამოსული თბილისში მყოფი მუშები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ სოფელთან, აცნობდნენ გლეხებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგრარულ პროგრამას, რომლის მიზანი იყო გლეხობის ჩაბმა რევოლუციურ მოძრაობაში. აღმოსავლეთ საქართველოში გლეხთა რევოლუციური გამოსვლები პირველად გორისა და დუშეთის მაზრებში დაიწყო. ეს ორი მაზრა 1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ თითქმის გააერთიანა. დუშეთის მაზრის გლეხებმა, რომლებიც მთელი საუკუნეების განმავლობაში სიბეჩავეს, შეევიწროვებასა და აბუჩად აგდებას განიცდიდნენ, თვალი გაახილეს, ხმა ამოიღეს და თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვეს. დუშეთის მაზრის გლეხთა მოძრაობა მიმართული იყო ძველი დახავსებული წყობილების წინააღმდეგ. გლეხები გადაჭრით მოითხოვდნენ ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთის გაუქმებას. გლეხებმა კარგად შეიგნეს, რომ მათი მტერი იყო

არა მარტო მისი ნაბატონარი, არამედ ამ ნაბატონარის დამცველი ადმინისტრაციაც. ამიტომ იყო, რომ გლეხები არა მარტო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდნენ, არამედ მოქალაქეობრივ უფლებებსაც მოითხოვდნენ. თბილისის კომიტეტის მითითებით დუშეთის მაზრის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობა დაევალა მიშა დავითაშვილსა და თედო შუშიაშვილს.

თედო შუშიაშვილი სოფელ ბაზალეთიდან იყო. 1901 წელს მან დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი და დაიწყო მუშაობა შეგირდად ნორშტეინის ფოტოგრაფიაში. ამ პერიოდში იგი გაეცნო დუშეთის მაზრის სოფელ ბაზალეთის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელს ვანო ხანდაგოვს[1], რომელმაც თედო ჩააბა რევოლუციურ მუშაობაში. შუშიაშვილი ცხოვრობდა თბილისში. მან შეიძინა საბეჭდი მანქანა და სურათების გადასაღები აპარატი. ის ბეჭდავდა პროკლამაციებსა და მეფის თვითმპყრობელობისადმი ზიზღის გამომხატველ კარიკატურებს, რომლებსაც გიორგი სიდამონიძის საშუალებით ავრცელებდა დუშეთის მაზრის გლეხობაში.

დუშეთის მაზრის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე დიდი როლი შეასრულა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაციამ „ქართლ-კახეთის გლეხკაცობას", სადაც ნათქვამი იყო:

„გადახედეთ წარსულს. გახსოვთ „ბატონ-ყმობის გადაეარდნა", როცა მეფის მთავრობამ საჯაროდ გამოაცხადა: ბატონ-ყმობა აღარ არის, დღეიდან თავისუფალი იქნებითო?... რას იფიქრებდით? თურმე გატყუებდნენ, თვალებს გიბრმავებდნენ და ახალ ბორკილებს გიმზადებდნენ!... დიახ, გლეხებო, მიწები ჩამოგართვეს, ახალი ხარჯები დაგვაწერეს, მემამულეების ბატონობასთან მეფის ბატონობაც მოგვახვიეს თავს, მემამულეების უღელთან ერთად მეფის უღელიც დაგვადგეს მხრებზე... და აი გაჭირდა ცხოვრება, შიმშილობა შემოგვეპარა,

---

[1] ვანო ხანდაგოვი 1905 — 1907 წლების რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის მეფის ოხრანკამ დააპატიმრა 1907 წელს და გადაასახლა ციმბირში, სადაც ის გარდაიცვალა.

ჩვენი ცოლშვილი შიშვლად დაიარება, მეტი მოთმენა შეუძლებელია. ჩვენს გაჭირვებაში ქვაც კი ხმას ამოიღებს. დაფიქრდით აბა. ის, ვინც დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტად აახავერდა, ვინც ტყეები გაჩეხა და სოფლები გააშენა, ვინც წელებზე ფეხს იდგამს და დღედაღამ ოფლს იწურავს, ის, ვინც ქვეყანას ძუძუს აწოვებს — ხალხი, გლეხკაცობაა და აი სწორედ ეს ხალხია დღეს სიღარიბესა და შიმშილობაში ჩავარდნილი. საჭიროა თითონ ხალხმა მოჰკიდოს თავის საქმეს ხელი, რადგან ხალხის განთავისუფლება თითონ ხალხმა უნდა მოახდინოს, და არა მეფეებმა".[1]

ბოლშევიკების მოწოდებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური იდეის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, გლეხობის რევოლუციური აღტყინებისათვის, რის შედეგადაც საქართველოს მშრომელები და მათთან ერთად დუშეთის მაზრის გლეხობაც აქტიურად ჩაება მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დუშეთის მაზრის გლეხობის აქტიური ბრძოლა დაიწყო 1905 წლის მარტიდან. 5 მარტს მოწვეულ იქნა ჭილურტის, ებნისის, გრემისხევის, ბაზალეთის, ქაისხევის, საკრამულის და სხვა სოფლების გლეხთა ყრილობა. ყრილობამ მიიღო დადგენილება — შეერთებოდნენ სხვა სოფლებს და მათთან ერთად მოეთხოვათ ადამიანური უფლებები. ამ დადგენილების საფუძველზე დაიწყო აჯანყება სოფელ ძალისისა და მჭადიჯვრის გლეხობამ. აჯანყების მიზეზი იყო ის, რომ, მჭადიჯვრისა და ძალისის სოფლებში მცხოვრებმა გლეხებმა მუხრანის საუფლისწულო მამულში და სოფელ მუხრანში უნებართვოდ გაჩეხეს ტყე. გლეხების „თვითნებურმა" მოქმედებამ დიდად გააბრაზა თავადაზნაურობა. 5 მარტს მუხრანის სასოფლო კანცელარიაში მოწვეულ იქნა ხსენებული სოფლის წარმომადგენლები, რომელთაც თან გაჰყვა მრავალრიცხოვანი გლეხთა მასები. როდესაც დაიწყო თვითნებობის მიზეზის გამორკვევა, იქ მყოფი 800 გლეხი წარსდგა წინ, კეტებითა და

---

[1] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები", 1904 — 1906 წ. წ., გვ. 111 — 115.

თოფ-ხანჯლებით შეიარაღებულები. მათ მთავრობას წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნები: 1) უნდა შემცირებულიყო სოფლის საზოგადოებათა რაოდენობა და თვითეულ სოფელს უნდა ჰყოლოდა თავისი დეპუტატი, რომელსაც ექნებოდა ყველა საქმის გარჩევის უფლება; 2) სოფლის საზოგადოებას უნდა გადასცემოდა მთელი სახაზინო, საუფლისწულო და კერძო მემამულეთა მიწები უსასყიდლოდ; 3) სასულიერო წოდება არ უნდა ჩარეულიყო საეკლესიო წესების შესრულებისათვის; გადასახადების დაწესების საქმეში; 4) ბიბლიოთეკების და სამკითხველოების გახსნისათვის არავითარი ნებართვა ან ცენზურა არ უნდა იყოს; 5) სამხედრო სამსახურში გასაწვევი ახალგაზრდები უნდა იგზავნებოდნენ მხოლოდ იმ ნაწილებში, რომლებიც იმყოფებიან თბილისის გუბერნიაში, ხოლო ომის დროს მათი გადაყვანა-გადმოყვანა შეიძლება მხოლოდ კავკასიის საზღვრებში; 6) სკოლები იხსნება მხოლოდ გლეხების განკარგულებით და ისინი უნდა იყვნენ სასოფლო-სამეურნეო, სადაც სწავლება უნდა წარმოებდეს ქართულად; 7) აქციზი უნდა გაუქმდეს მთლიანად; 8) დაწესდეს ბეჭდვის სრული თავისუფლება.

ამასთან ერთად განაცხადეს, რომ ისინი უერთდებიან რუსებს, რომელთაც მეამბოხეებს ეძახიან; ამ მოთხოვნების შესრულების ვადად გლეხები ასახელებენ 14 მარტს, რომლის შემდეგ ისინი იმოქმედებენ თავიანთი სურვილების მიხედვით[1].

ამ მოთხოვნებიდან ნათლად ჩანს, რომ გლეხები შეგნებულად და გაბედულად გამოდიოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ადამიანურ უფლებებს. მათ კარგად ესმოდათ, რომ საჭირო იყო რუსეთის პროლეტარიატთან და გლეხობასთან გაერთიანება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის მაზრაში „მშვიდობიანობის" აღსადგენად და ადგილობრივი ადმინისტრაციის დასახმარებლად თბილისიდან გაიგზავნა ეგზეკუცია ერთი ბატალიონის რაოდენობით. ამ ჯარის შენახვა დაეკალა წილკანის, ძალისისა და მჭადიჯვრის გლეხობას.

---

[1] ჟურნალი „მოგზაური", № 10, 1905.

მეფის მოხელეთა თავგასულობა კარგად აღწერა მუშა რევოლუციონერმა გ. პარკაძემ თავის მოგონებებში.

„ეგზეკუციამ დუშეთის მაზრაში პირველ აპრილამდე გასტანა — მოგვითხრობს გ. პარკაძე — 21 დღის განმავლობაში მშრომელი გლეხობა წელში გაწყვიტა, ძალზე გააღატაკა, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მტერი გათამამდა, გათავხედდა. მან გლეხს მოსთხოვა ისეთი სურსათ-სანოვაგე, რომელიც თვით გლეხს არ ჰქონდა და რომლის მიწოდება ჯარისთვის გლეხს არ შეეძლო, ძალიანაც რომ მოენდომებინა. საეგზეკუციო გადასახადებში კიდევ შემდეგი სანოვაგე შედიოდა: ბურღული, კომბოსტო, კარტოფილი, მარილი, პიმპილი, დაფნის ფოთოლი, ხახვი, შაქარი და სხვ.“[1].

ვერც ამ ეგზეკუციით გატეხეს დუშეთის მაზრის გლეხობის ნებისყოფა. რევოლუციური გამოსვლები აღნიშნულ მაზრაში, ისევე როგორც მისი შემდგომი განვითარება, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ საქართველოში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობასთან და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

13 მარტს სოფელ ახალგორში შეიკრიბა 1599 კაცი, აღმართეს ორი წითელი დროშა და გამოვიდნენ შემდეგი შეძახილებით „გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობას“. 15 მარტს მაზრის უფროსის განკარგულებით სოფელ ძალისში დააპატიმრეს ორი კაცი, რომელთაც ადგილობრივი პოლიცია ხალხის მეთაურად თვლიდა. დაპატიმრებულნი ჩაიყვანეს სოფელ მუხრანში. ცოტახნის შემდეგ ძალისიდან მუხრანში მოვიდა კომლზე ერთი კაცი და მოითხოვა დატუსაღებულთა განთავისუფლება. შემდეგ მოვიდნენ აგრეთვე წილკანის, მჭადიჯვრის, ჭილურტის, ებნისის, გრემისხევის, შუახევის, ქვიტკირის წყაროს, კოდისწყაროს წარმომადგენლები და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. ისინი თავიანთ მოთხოვნებს ასე ასაბუთებდნენ: თუ დაპატიმრებულთ რაიმე დანაშაული მიუძღვის სოფლის მთავრობის ან მემამულის მიმართ, ეს მთელი სოფლის დანაშაულია და არა ერთი ან ორი კაცისა, ამიტომ

---

1 გ. პარკაძე. „რევოლუციის განთიადი ქართლში“, გვ. 75.

მთავრობამ უნდა დასაჯოს მთელი სოფელი და არა რამდენიმე პირი.

მაზრის უფროსმა პირველად უარი განაცხადა გლეხთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლა დაპატიმრებულები და თბილისის ვიცე-გუბერნატორის კანცელარიას შემდეგი აცნობა:

„18 მარტს დუშეთის მაზრის სოფელ ახალგორში თავი მოიყარა ახალგორის სასოფლო საზოგადოების 1500 გლეხმა, რომლებიც შეძახილებით „გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობას", შეჯგუფდნენ ეკლესიასთან და შეჯგუფებული ხალხის თავზე ააფრიალეს ორი წითელი დროშა. როცა მათ დაინახეს მაზრის უფროსის მიერ წინასწარ გამოწვეული „ნოვობაიაზეთის პოლკის" როტა, დროშები დამალეს, როტის წინ ცოტა უკან დაიხიეს და თათბირის შემდეგ ქსნის ბოქაულს მიუგზავნეს დეპუტატები, რომლებმაც გამოუცხადეს, რომ მოთხოვნების წაყენება გადადებულია 20 მარტისათვის. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა. წინასწარ კი, სამი მღვდლის თანდასწრებით შეფიცეს ერთმანეთს ერთგულება.

სოფელზე გავლისას გლეხებმა აბრა ჩამოგლიჯეს სოფლის სამმართველოს და მოითხოვეს მისი დახურვა"[1].

რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ქსნის ხეობის გლეხობაც. ქსნის ხეობის მცხოვრებნი არ აღემატებოდნენ 1000 კომლს. მათ შორის 750 კომლამდე დროებითი ვალდებული იყო, 40 კომლი — ხიზანი, 14 — სახელმწიფო გლეხი, დანარჩენი კი მესაკუთრენი, რომლებიც ტყავს აძრობდნენ ისედაც გაჭირვებულ გლეხობას. ქსნის ხეობის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ ჟურნ. „მოგზაური" წერდა: „ჩვენმა ხეობამაც გამოიღვიძა. ფეხდაფეხ მისდევს მოძრაობას: მთელი ხეობა ერთსულად გადაიქცა; „გაუმარჯოს ერთობას!" „გაუმარჯოს თავისუფლებას! ესღა ისმის სოფლად. დღითი-დღე მოძრაობა ძლიერდება. მებატონეებმა ამოგვხადეს სული — აბა რა უნდა გააწყო, ვის უნდა შესჩივლო — ბატონზედ იჩივლებ, მაინც შენ ხარ დამნაშავე, ვაჭარზე — ისევ შენ,

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფონ. 39, ს. 712, ფ. 42—43.

მღვდელზე — მაინც შენ; მოსამართლეზე — იქ ტყავს გაგაძრობენ, გადასახადზე ვიტყვით რამეს და მეტი რისხვა აღარ გვინდა. აბა სად არის აქ კანონი, სამართალი, როგორღა უნდა წარდგას გლეხმა კაცმა ფეხი წინ. ტყვილია, შვილოსან, სხვისაგან შველას ნუ გამოელით"[1].

გლეხობამ კარგად შეიგნო, რომ მთავრობა ერთგული დამცველი იყო მჩაგვრელი კლასებისა. მათთვის გამოსავალი ერთი იყო: თავისთავისთვის თვითონ ეშველათ. პირველ ხანებში გლეხები თავიანთი აუტანელი მდგომარეობის შესახებ თხოვნით მიმართავდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მაგრამ მათი თხოვნა ყოველთვის უშედეგოდ რჩებოდა, საქმე ყოველთვის თავადაზნაურთა სასარგებლოდ თავდებოდა. მაგალითად: ჭოპორტის საზოგადოების სოფელ ძეგნაკორში ცხოვრობდა 30 კომლი გლეხი, რომლებიც მთლიანად თავად ხიმშიაშვილის განკარგულებაში იმყოფებოდნენ. ხელშეკრულების თანახმად, გლეხებს თავადისათვის უნდა გადაეხადათ დღიურზე 2 მანეთი და 50 კაპიკი. 1905 წელს ხიმშიაშვილმა ეს გადასახადი თვითნებურად გაადიდა 8 მანეთამდე. გლეხებს 8 მანეთის ანგარიშით უნდა დაეფარათ წინა წლების დავალიანებაც, მან დავალიანების დასაფარავად ჯუგინა ქავთარაძეს გადაახდევინა 180 მანეთი, ივანე წიკლაურს — 370 მანეთი, ანდრო ციხიშვილს 60 მანეთში გაუყიდა ერთი უღელი ხარი, ქვრივობლებს — მართა, ბაბალე და გაიანე ბექაურებს —80 მანეთში წაართვა 100 მანეთად ღირებული ხარები, სანდრო ციხიშვილს ერთ ურემ ფიჩხში წაართვა საუკეთესო ცხენი. გლეხებმა ხიმშიაშვილის ამ უკანონო მოქმედების შესახებ თხოვნა მიართვეს მეფის ნაცვალს, სადაც წერდნენ:

„მაზრის ნაცვლის მოადგილემ, ჭონქაძემ 19 მაისს გამოგვიცხადა, რომ თუ ჩვენ ზუსტად სიტყვაშეუბრუნებლად არ შევასრულებთ მემამულის ყველა მოთხოვნას, ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ მათ წინაშე. მოგვთხოვა მაისის ბოლომდის დაგვეკმაყოფილებინა მემამულის ყველა მოთხოვნა და შეგვემსო ყველა „ნარჩენი". წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვემუქრენ მთელი

[1] ჟურნ. „მოგზაური", 1905, № 16, გვ. 250.

ჭონების წართმევას. თუ გინდ სურვილი გვქონდეს, ჩვენ მაინც არ ძალგვიძს მემამულის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან ამ საშუალებას მოკლებული ვართ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ მემამულის ასეთი თვითნებური მოქმედება ვერ ურიგდება ვერავითარ კანონს, რომელმაც ყველა სამოქალაქო უფლება და გაუგებრობა სასამართლოს წესით ანდა სხვა კანონით უნდა გადაწყვიტოს და არა მემამულის სურვილით. აი სწორედ ასეთი უსამართლობა გვაბრუნებს ჩვენ 40 წლის უკან, ბატონყმურ წყობილებამდე. ჩვენი თხოვნის საბოლოო დასკვნა არის მხოლოდ ერთი — ჩვენ მოვითხოვთ ხელისუფლებიდან კანონების დაცვას და შესრულებას ჩვენს მიმართაც. ამიტომ გთხოვთ, თქვენ გამოიძიოთ სინამდვილე და დაიცვათ ადამიანური პირადი უფლებები"[1].

ასეთივე თხოვნა გაგზავნეს სოფელ უკანათუბნის დროებით ვალდებულმა გლეხებმა, მემამულე ერისთავის უკანონო მოქმედების შესახებ ჭილურტის, ზემოუხატისა და სხვა სოფლების გლეხებმა, მაგრამ მათი თხოვნა უშედეგოდ იქნა დატოვებული. გლეხები საბოლოოდ დარწმუნდნენ მასში, რომ თხოვნით ვერაფერს გააკეთებდნენ მანამ, სანამ იარსებებდა თავად-აზნაურობა და მისი დამცველი მთავრობა. ამიტომ დუშეთის მაზრის გლეხობა აღსდგა თავისი უფლებების დასაცავად. გლეხთა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო სოფელ მჭადიჯვარში, სადაც ბაგრატიონ-მუხრანსკი ბატონობდა. მუხრანსკი ყოველმხრივ ავიწროებდა გლეხებს. გლეხების მცირე ნაწილს გააჩნდა ცოტაოდენი ნადელი, რომლის შემოსავლიდან მეოთხედი ბატონისათვის უნდა მიეტანა. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იყვნენ ხიზნები, რომლებსაც მოსავლის ნახევარი ბატონისათვის უნდა მიეცათ და ზედმეტი ბეგარაც გადაეხადათ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი, ხედავდა რა გლეხების უკმაყოფილებას, წინასწარ შეუდგა თავდაცვის ზომების მიღებას. მან თბილისიდან გამოიწვია ერთი ასეული ყაზახი, ერთი ასეული მინგრელსკის პოლკის ჯარისკაცები და ჩააყენა თავის სასახლე-

---

[1] საქ. სსრ ცსია ფონ. 13/47, ს. 114, ფ. 41

ში. მებატონის ამ ღონისძიებამ მაინც ვერ შეაჩერა მჭადიჯვრის გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, რომელიც სისხლისმღვრელ შეტაკებად გადაიქცა. აჯანყების მიზეზი შემდეგი იყო: როდესაც გლეხებმა ყანების მომკა დაამთავრეს, ათეულებად დადგეს ძნები, ელოდნენ, თუ სხვაგან როგორ გადაწყდებოდა მეოთხედის გადახდის საკითხი. ბატონი გრძნობდა გლეხების ურჩობას. კვირა დღეს დაიბარა მთელი სოფლის გლეხობა თავის ეზოში და მუქარით გამოუცხადა, რომ მეოთხედი აუცილებლად მოეტანათ, დაედგათ ბატონის ეზოში და გაელეწათ კიდეც. გლეხებმა უარი განაცხადეს ბატონის მოთხოვნაზე და მოახსენეს: „ჩვენ ვერ მოვიტანთ მეოთხედს, მანამ სანამ საქმე საერთოდ არ გადაწყდებაო“. ამ განცხადების საპასუხოდ ბატონმა უბრძანა ოფიცრებს აეძულებინათ გლეხები, რათა მათ მოეტანათ მეოთხედი. ოფიცრები ყაზახებით წავიდნენ სოფლებში, მაგრამ სახლში ვერავინ ნახეს. გლეხებმა თავი მოიყარეს ახალშენის ვენახში, აირჩიეს ხელმძღვანელები და წარმომადგენლები გაგზავნეს მაზრის სხვა სოფლებში, რათა ყველა სოფელს მიეღო მონაწილეობა აჯანყებაში, — კომლზე თითო კაცი გამოსულიყო.

1905 წლის 3 აგვისტოს დილით დაიწყო ხალხმა თავის მოყრა გოგა ბაგრატიონ-მუხრანსკის ეზოს წინ. გლეხები ყველა სოფლიდან მოვიდნენ სიმღერითა და წითელი დროშებით. აჯანყებულთა საერთო რაოდენობა 3 ათასამდე აღწევდა. აჯანყებულთა შორის იყვნენ ქალებიც. აჯანყებულები შეიარაღებული იყვნენ თოფებით, კეტებითა და ქვებით. აჯანყებულებმა მუხრანსკის მოსთხოვეს აკრეფილი ღალის უკან დაბრუნება. შეშინებულმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ სცადა მოლაპარაკებოდა გლეხობას, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდეგ გასცა ბრძანება ტყვიები დაეშინათ გლეხებისათვის. მოხდა საშინელი სისხლის ღვრა, მოკლულ იქნა 30 კაცი და დაიჭრა 40 კაცი. მოკლული ამხანაგების საფლავზე გლეხებმა ფიცი დასდეს, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიით განაგრძობდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად.

ოქტომბერში დაწყებული საგაფიცვო მოძრაობა სულ უფრო ფართოვდებოდა და შეიარაღებული აჯანყების ხა-

სიათს იღებდა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ-ახალი ძალები ებმებოდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში. 1905 წლის ნოემბრის ბოლოს თბილისში მოწვეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენცია, კონფერენციამ განიხილა შეიარაღებული აჯანყების საკითხი და მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყების ყოველმხრივ გაშლის შესახებ. კავკასიის კავშირის კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას გაეძლიერებინათ მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად.

მოსკოვის მუშათა დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ ცარიზმის წინააღმდეგ დიდი გამოძახილი ჰპოვა საქართველოში. საქართველოს მშრომელმა გლეხობამ, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, სასტიკი ბრძოლა გაუმართა ყველა ბნელ ძალებს, მასობრივად გაჟლიტა მემამულე-მევახშეები და ხელში ჩაიგდო მათი მიწები. გლეხები ადგილებზე ქმნიდნენ გლეხთა კომიტეტებს, რომელიც დროებით რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენდნენ.

12 დეკემბერს თბილისში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. უდიდესმა შიშმა მოიცვა მეფის მოხელეები. 14 დეკემბერს ქალაქ თბილისში და თბილისის გუბერნიაში სამხედრო წესები იქნა გამოცხადებული. თბილისის გუბერნიაში შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა დუშეთის მაზრა. გლეხები თავს ესხმოდნენ კაზაკებსა და პოლიციელებს. წითელრაზმელებმა წარმატებით გაანადგურეს მემამულე შავრაზმელები. დუშეთის მაზრის წითელრაზმელები აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხედრო გზით საქართველოში მიმავალ მეფის ჯარის წინააღმდეგ. დუშეთის მაზრის გლეხთა აქტიური ბრძოლის შესახებ კავკასიის პოლიციის უფროსი დეპარტამენტს ატყობინებდა: „თბილისის გუბერნიის გლეხთა საერთო მასიდან მიდრეკილება ამბოხებისაკენ განსაკუთრებით გამოავლინა ქუთაისის გუბერნიის მომიჯნავე დუშეთის მაზრის მოსახლეობამ“[1].

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფონ. 83, საქმე 66, ფ. 62.

გორისა და დუშეთის მაზრებში 1905 წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან გამოცხადდა სამხედრო წესები. მეფის პოლიციამ აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრა რამდენიმე ათასზე მეტი კარგად შეიარაღებული კაზაკთა და ცხენოსანთა სამხედრო ნაწილები. აჯანყება ჩახშობილ იქნა. მეფის ჯალათთა რისხვა თავს დაატყდა არა მარტო ნაძალადევს, არამედ მთელ საქართველოს. ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა კავკასიის მშრომელთა ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ის ისეთ მხარეს მიაკუთვნა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცილდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ იყო მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლად გამოიხატა. რუსეთში პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდა დამსჯელი ექსპედიციების თარეში, რომლებსაც მეთაურობდნენ ალიხანოვ-ავარსკი, კრილოვი, ხონძინსკი და სხვ. მათ უდიდეს დახმარებას უწევდნენ თავადაზნაურთა შავი რაზმები. მეფის დამსჯელმა ექსპედიციებმა დაარბიეს და ააწიოკეს მოსახლეობა. ცეცხლით გადაბუგეს მთელი რიგი სოფლები და ქალაქები. დუშეთის მაზრაში 1905 წლის დეკემბერში გამოცხადდა სამხედრო წესები. ადგილობრივი თავადაზაურობა შურს იძიებდნენ გლეხობაზე, მაგრამ რევოლუციური გლეხობა იარაღს არ ყრიდა, იგი საკადრის პასუხს აძლევდა მათ. დუშეთის მაზრის გლეხთა განწყობილების შესახებ გაზეთი „ახალი ცხოვრება“ წერდა: „ორი წლის ბრძოლამ უკმეხ მთავრობასთან დუშეთის გლეხკაცობაც გააკაჟა და დღეს ერთხელ ნაგემებ თავისუფლებას ის ადვილად აღარ დაუთმობს გამხეცებულ მტერს. აგიტატორ-პროპაგანდისტებს აქაური გლეხი კაცი სიამოვნებით იღებს და გამალებული უსმენს მის ნალაპარაკევს. ის პოლიტიკურად გაიზარდა, თავი მაღლა ასწია და თავის გარშემოს გარდა შორეულ რუსეთსაც კითხულობს. „რა ხდება რუსეთში?“ — აი ამ კითხვით მიმართავს ხშირად დუშეთის მაზრის გლეხი პროპაგანდისტ-აგიტატორს და მოკლე პასუხი ვერ აკმაყოფილებს მას. მას უნდა შეგნებული ახსნა დღევანდელი ვითარებისა, საქმის

მდგომარეობისა, რომ მის მიხედვით თვითონაც იმოქმედოს"[1]. სწორედ ამიტომ იყო, რომ მეფის ოხრანკა გაშმაგებით დაეძებდა აგიტატორ-პროპაგანდისტებსა და აჯანყების მეთაურებს.

აჯანყების ხელმძღვანელების ნაწილი დააპატიმრეს, დაპატიმრებულთა შორის იყო თედო შუშიაშვილიც, რომელიც მოათავსეს მეტეხის ციხეში, სადაც ის შეხვდა ძველ რევოლუციონერ გიორგი მარსაკოვს. თედო და გიორგი ციხეშიაც არ სწყვეტდნენ რევოლუციონერებთან კავშირს. 1908 წელს თედო შუშიაშვილი გადაასახლეს ციმბირში. მას სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, სადაც მან დაჰყო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. დაპატიმრებულ იქნენ აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე მამა და შვილი ნიკო და მიხა პაპუნაშვილები. ნიკო დიდი ვაი-ვაგლახით ცხოვრობდა, რადგან მას საკუთარი მიწა არ ჰქონდა, მთელი მისი შრომა ბატონის სასარგებლოდ მიდიოდა. ნიკოს საშინლად ეზიზღებოდა მუქთახორა თავადაზნაურები. მამის ასეთი განწყობა დიდ გავლენას ახდენდა პატარა მიხაზე და რევოლუციურ სულისკვეთებას აღვივებდა მასში. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მიხა, მამასთან ერთად, აქტიურად იბრძოდა ძველი, დახავსებული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რისთვისაც ნიკო და მიხა პაპუნაშვილები 1906 წლის მარტში დააპატიმრეს და დუშეთის საპყრობილეში მოათავსეს. ნიკომ ვერ აიტანა ციხის საშინელი რეჟიმი და იქვე გარდაიცვალა, ხოლო მიხა 1908 წელს გადაიყვანეს მეტეხის ციხეში, სადაც მას 12 წლის კატორღა მიუსაჯეს და გადაგზავნეს სარატოვის საკატორღო საპყრობილეში, საიდანაც განთავისუფლებულ იქნა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. მიხას, თავისი რევოლუციური საქმიანობით, არც მისი მეუღლე ბაბალე პაპუნაშვილი ჩამორჩებოდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო დუშეთის მაზრის გლეხთა გამოსვლებში. მამამთილისა და ქმრის დაპატიმრების შემდეგ ახალგაზრდა ქალმა ბევრი გაჭირვება გადაიტანა:

---

[1] გაზეთი „ახალი ცხოვრება", 1906, № 20.

„ორი კვირის მელოგინე ვიყავი, როცა ჩემი ქმარი დააპატიმრეს, — მოგვითხრობს ბაბალე, — მელოგინე ქალმა ბევრი აწიოკება განვიცადე. მოდიოდნენ სტრაჟნიკები და მირტყამდნენ მათრახს, ფეხშიშველს მარბენინებდნენ ყინვასა და თოვლში: „გვითხარი შენს ქმარს იარაღი სადა აქვს დამალული, თორემ სიკვდილს ვერ ასცდებიო“. იარაღი მე თვითონ მქონდა დამალული, მაგრამ კრინტსაც არ ვძრავდი... დამეცემოდა თავზე ეგზეკუცია, მართმევდა რაც მებადა, მაგრამ მაინც ვერ გამტეხეს“.

1915 წელს ბაბალე შვიდი წლით გადაასახლეს საქართველოდან. ცხოვრობდა ვლადიკავკაზში.

დუშეთის მაზრის გლეხთა რევოლუციური გამოსვლებით შეშინებულმა მეფის ნაცვალმა (ვორონცოვ-დაშკოვმა) დუშეთისა და გორის მაზრები თბილისის გუბერნატორის განკარგულებიდან გამოჰყო და 77-ე პოლკის უფროსს პოლკოვნიკ ალფტანს ჩააბარა, რომელსაც მიანიჭა საგანგებო უფლებანი, ხოლო, მის დასახმარებლად დაინიშნა სამოქალაქო ნაწილის, საგანგებო მონდობილობათა მოხელე კოლუჟსკი-სოვეტნიკი თავადი გრუზინსკი[1].

პოლკოვნიკმა ალფტანმა თავისი მხეცური მოქმედებით ვერ შესძლო რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობა. გლეხებმა მთავრობის ჯარების მოქმედებას ტერორით უპასუხეს, პოლიციის მრავალი მოხელე გამოასალმეს წუთისოფელს. ამის გამო ვიცეგუბერნატორი წერდა: „მღელვარება დუშეთის მაზრის გლეხობისა მოედვა მთელს მაზრას და გამოიხატება კრებებში, თანამდებობის პირთა გადაყენებაში და კერძოდ ტყეების გაკაფვაში„[2].

გლეხთა რევოლუციურ გამოღვიძებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სოფლად ქმნიდნენ გლეხთა კომიტეტებს.

მაგრამ მუშათა რევოლუციური მოძრაობის დამარცხებამ გამოიწვია გლეხთა მოძრაობის დამარცხებაც. რევოლუციის

---

[1] „მოგზაური“ № 33, 1905., გვ. 518.

[2] საქ სსრ ცსია, ფ. 39, ს. 712, ფ. 65.

დამარცხებაში გარკვეული როლი ითამაშა მენშევიკების გამ-
ყიდველურმა პოლიტიკამ. მაშინ, როდესაც ბოლშევიკები გადა-
ჭრით უპერდნენ მხარს პროლეტარიატისა და გლეხობის მჭიდ-
რო კავშირის ტაქტიკას და მოითხოვდნენ შეიარაღებული ძა-
ლით იერიშის მიტანას დახავსებულ თვითმპყრობელობაზე, მენ-
შევიკებმა უარყვეს ასეთი კავშირი, უარყვეს შეიარაღებული
აჯანყების ტაქტიკა და ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზას და-
ადგნენ. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ ცხადჰყო, რომ
აჯანყებისათვის ჯერ კიდევ არ იყო პირობები მომზადებული.
საჭირო იყო რევოლუციის გამოცდილების გამოყენება მომა-
ვალი რევოლუციის მოსამზადებლად. რევოლუციის დაჭარც-
ხების გამო, რევოლუციის ძირითადი საკითხები გადაუჭრელი
დარჩა. გლეხობამ ვერ მიიღო მემამულეთა მიწები, მუშებმა
ვერ მიიღეს 8-საათიანი სამუშაო დღე, ვერ დაამხეს მეფის
თვითმპყრობელობა. რევოლუციის დამარცხებით დაიწყო სა-
შინელი რეაქციის წლები. სტოლიპინშჩინამ გააუარესა მცირე-
მიწიანი გლეხებისა და სოფლის ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობა.
ამას თან დაერთო ჟანდარმერიის, პოლიციის, მეფის პროვოკა-
ტორებისა და შავრაზმელების ყაჩაღური თავდასხმები გლეხო-
ბაზე. მეფის მოხელეების შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა დუ-
შეთის მაზრის გლეხობასაც. 1912 წლის 18 თებერვლისათვის
დუშეთის მაზრაში იყო რამდენიმე ასეული კაზაკებისა, 70
პოლიციელი — მრავალნაირი რაზმეულით. თვით ქალაქ დუ-
შეთში ჩაყენებული იყო სამი ასეული მეორე პლასტუნების
ბატალიონისა"[1].

დუშეთის მაზრის სოფელ გრემისხევის გლეხების მიერ
თბილისის გუბერნატორისადმი წარდგენილ თხოვნაში აღწერი-
ლია ის აუტანელი პირობები, რომელიც გამოიწვია ეგზეკუ-
ციის ჩაყენებამ. გლეხები თავიანთ განცხადებაში (განცხადებას
ხელს აწერდა 240 კაცი) შემდეგნაირად აღწერენ თავიანთ აუ-
ტანელ პირობებს: „ამა წლის სექტემბრიდან ჩვენ სოფელში
ჩააყენეს ეგზეკუცია. ჩვენთვის გაუგებარია რისთვის არის სა-
ჭირო ეს. ჩვენი სოფელი ისედაც ღარიბია, ძლივს გვყოფნის

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფონ. 34, საქ. 7434, ფურც. 17.

სარჩო ზამთრამდის, ხოლო საძოვრების უქონლობის გამო საქონელი უსახლკაროდ რჩება. აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ 12 პოლიციელის თავიანთი ცხენებით შენახვა ჩვენს ძალღონეს აღემატება. პოლიციელების შესანახად გვართმევენ ისედაც მცირე მარაგს პურისას და თივისას. ამასთანავე ერთად, ყოველღამე ასეთ სიცივეში ორ-ორი კაცი ვდარაჯობთ მათ და მათ ცხენებს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითეული დიდი კაცის ჩამოსვლაზე დაგვერევიან პოლიციელები და გვთხოვენ თითო ინდაურს კომლზე, ჩვენ ისედაც განადგურებული ვართ საკვების უქონლობის გამო"[1].

1914 წლის ივლისში მშრომელ მასებს ახალი უბედურება დაატყდა თავს. დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რომელმაც კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააყენა ისედაც გაღატაკებული გლეხობა. მამაკაცები არმიაში წაიყვანეს, ქალებისა და ბავშვების შრომის ნაყოფიერება წვრილი, დაქუცმაცებული მეურნეობის პირობებში მეტად დაბალი იყო, შრომის იარაღების პრიმიტიულობის გამო დუშეთის მაზრაში ნათესი ფართობი 70 პროცენტით შემცირდა, პირუტყვის სულადობამ იკლო, გადასახადები თანდათან მატულობდა. თავადაზნაურები, კულაკები, მევახშეები და სპეკულანტები გამდიდრების სურვილით შეპყრობილნი ტყავს აძრობდნენ გლეხობას.

ბოლშევიკური პარტიის დაუღალავი მუშაობის შედეგად გლეხობამ შეიგნო, რომ მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო მანამ, სანამ იარსებებდა მეფის მთავრობა და მემამულე-კაპიტალისტები. ომმა დაანგრია და მოშალა საბალხო მეურნეობა, მუშები და გლეხები სულ უფრო და უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიდნენ, რაც კიდევ უფრო მეტ სიძულვილსა და გაბოროტებას იწვევდა მშრომელთა გულში. თანდათან ძლიერდებოდა ხალხის მასების რევოლუციური მოძრაობა ომისა და ცარიზმის წინააღმდეგ, რის შედეგადაც 1917 წლის 27 თებერვალს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშებმა და ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმულმა გლეხებმა, რომელთა ლოზუნგი იყო „ზავი, პური და თავისუფლება", დაამხეს

---

[1] საქ. სსრ, ცსია, ფონ. 34, საქ. 7434, ფურც, 133.

დაბავსებული ცარიზმი. რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქციის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ კონსპირაციული დეპეშით აცნობა საქართველოს მენშევიკურ საოლქო კომიტეტს, რომ „მთავრობაძე გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებსა და ნაცნობებს". ეს ცნობა მენშევიკურ—ლიდერებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რამაც პირველად მათში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. ეს ცნობა საიდუმლოდ შეინახეს, ამით ხელი შეუწყვეს ამიერკავკასიაში ძველი ეკონომიურ-კოლონიური ჩაგვრის აპარატის შენარჩუნებას და არსებული მდგომარეობის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას.

## მენშევიკები საქართველოს პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოში ძალაუფლება ხელთ იგდეს მშრომელი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — მენშევიკებმა. ისინი თანმიმდევრულად იცავდნენ თავადაზნაურების, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. ეს ის პერიოდი იყო, როცა ბოლშევიკური პარტია ლენინის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა რუსეთის პროლეტარიატს და უღარიბეს გლეხობას, დარაზმა და მოამზადა ისინი რევოლუციის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასასვლელად. ახასიათებდა რა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში შექმნილ მდგომარეობას ი. ბ. სტალინი წერდა:

„თებერვლის რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია მხარის მშრომელი კლასების მდგომარეობაში... მთელი ძალაუფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. ეს უკანასკნელნი მაგრად ებღაუჭებოდნენ ძალაუფლებას და მოლოდინში იყვნენ, ხოლო ესერ-მენშევიკ სტრატეგებს ხალისიფ ანდობდნენ — მიეძინებინათ მუშები და გლეხები ბრძნული

სიტყვებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის, სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობის შესახებ«[1].

სანამ რუსეთში არსებობდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, მენშევიკები მაინ მორჩილნი იყვნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფა და „დამოუკიდებელი“ საქართველოს შექმნა. მაგრამ გაიმარჯვა თუ არა რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ქართველმა მენშევიკებმა მთელი თავიანთი საქმიანობა სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ მიმართეს. როცა პეტროგრადში დამფუძნებელი კრება დაითხოვეს, ამიერკავკასიის დეპუტატები თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ და ამიერკავკასიის სეიმი შეადგინეს. აქ წარმოიშვა კოალიციური მთავრობა, რომელშიც მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების წარმომადგენლები შევიდნენ.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის შექმნა უნდა აიხსნას ბოლშევიკების მცირე ჯგუფის შემთანხმებლური მოქმედებით. სწორედ ამ შემთანხმებლური პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მენშევიკებმა უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში მთელი კავკასიის სამხედრო იარაღისა და მასალის არსენალი, რომელსაც ბოლშევიკი ჯარისკაცები დარაჯობდნენ. არსენალის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო ბოლშევიკებისათვის. „მაშ არსენალი მენშევიკებს მიეცით?“ გაკვირვებით იკითხა ლენინმა. მენშევიკების ღალატი მშრომელი მასებისადმი იმაში მდგომარეობდა, რომ მათ გაწყვიტეს კავშირი საბჭოთა რუსეთთან, რევოლუციის ერთიან ფრონტთან, მთელი თავიანთი საქმიანობა მიმართეს მუშებისა და უღარიბესი გლეხობის გათიშვისა და დაქსაქსვისაკენ, რაც ხელს უწყობდა და აძლიერებდა კონტრრევოლუციას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატელების კონტრრევოლუციურმა გადაწყვეტილებამ საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის შესახებ დიდი პროტესტები გამოიწვია ამიერკავკასიის მუშათა, გლეხ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 56—57.

თა და ჯარისკაცთა შორის. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, გორში, დუშეთში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები და კრებები, სადაც მენშევიკურ მთავრობას ბრალს სდებდნენ უზურპატორობაში, პროტესტს უცხადებდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობას და მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადაცემას, საბჭოთა რესპუბლიკების შექმნას, რომელიც აღადგენდა კავშირს საბჭოთა რუსეთთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ კომისარიატი თავიდანვე უნიადაგო აღმოჩნდა. მას არ ჰყავდა დასაყრდენი ძალა, რადგან ხალხი მას ზიზღით უყურებდა და მის გადაწყვეტილებას აღარ ემორჩილებოდა.

მენშევიკების წინაშე გარკვეით დაისვა საკითხი — ან იმპერიალიზმი და ბურჟუაზიული რეაქცია, ან პროლეტარული რევოლუცია და კომუნიზმი. ამ კითხვაზე მენშევიკურმა მთავრობამ გარკვეული პასუხი გასცა. „ვიცი, — განაცხადა ნოე ჟორდანიამ, — მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტების მხარეზე ვართ, ამიტომ აქ მე გადაჭრით უნდა განვაცხადო — დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო“[1]

უდიდესმა შიშმა ბოლშევიზმის წინაშე, საკუთარი მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის წინაშე, მენშევიკები დაუკავშირა საბჭოთა ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის მტრებს: დენიკინს, ვრანგელსა და მეფის სხვა თეთრგვარდიელ გენერლებს. 1918 წლის 22 აპრილს გერმანელი და თურქი იმპერიალისტების ზეგავლენით კავკასია გამოცხადებული იქნა „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად. ქართველი მენშევიკები, ამიერკავკასიის მთავრობაში მეტი გავლენით სარგებლობდნენ. გერმანელებსა და ოსმალოებს ყველაფერს უთმობდნენ და კავკასია განუწყვეტელი სისხლის ღვრის ასპარეზად გადააქციეს. ვ. ი. ლენინი უდიდესი ძალით ამხილებდა ბურჟუაზიის აგენტების მიერ შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ლენინმა დაახასიათა რა ამიერკავკასიის

[1] ჟორდანია, „დამფუძნებელი კრების 1-ლი სესიის სტენოგრამა,“ გვ. 5.

მთავრობის საზიზღარი პოლიტიკა, განაცხადა: „... თუ კავკასიის რადის ეს საქმოსნები მიიღებენ დახმარებას გერმანიის ჯარებისაგან, როგორც ეს დახმარება უკრაინის რადამ მიიღო, გასაგებია, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის ამას მოაქვს ახალი სიძნელეები, ომის ახალი გარდუვალობა, ახალი საშიშროებანი და ახალი გაურკვევლობანი... კავკასიის საზღვარზე ეს გაურკვეველი მდგომარეობა შეიქმნა გეგეჭკორის მთავრობის ყოვლად შეუწყნარებელი მერყეობის გამო, მთავრობისა, რომელმაც თავდაპირველად განაცხადა, რომ ბრესტის ზავს არ სცნობდა, შემდეგ კი დამოუკიდებლობას აცხადებს ისე, რომ არ გვეუბნება, თუ რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება ეს...

ვისგანაა დამოუკიდებელი გეგეჭკორის მთავრობა? საბჭოთა რესპუბლიკისაგან იგი დამოუკიდებელია, მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმისაგან იგი ცოტათი დამოკიდებულია. ეს საშუალებას აძლევს ოსმალეთსა და გერმანიას შეუჩერებლივ აწარმოონ წინსვლა"[1]. მენშევიკებმა უღალატეს რა მშრომელ მასებს გერმანელ იმპერიალისტებთან საიდუმლო ხელშეკრულება დადეს და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამ პოლიტიკით მათ უღალატეს თავიანთ მოკავშირეებს, სეიმის დაშლა გამოიწვიეს და თავიანთი ნაციონალისტურ-შოვინისტური მოქმედებით მეზობელი სახელმწიფოების ხალხებთან ინტერნაციონალური კავშირის გაწყვეტას მიაღწიეს. ამ სამი მოძმე სახელმწიფოს ერთმანეთისაგან განცალკევება მხოლოდ რამდენიმე პრივილეგიური ჯგუფის ინტერესებს აკმაყოფილებდა და ის ნამდვილად დიდი უბედურება იყო ამიერკავკასიის მშრომელთა უმრავლესობისათვის.

მენშევიკების ამ გამთიშველი პოლიტიკის შედეგად საქართველოსა და სომხეთს მოაკლდა რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს — ბათუმით შემოტანილი საქონელი. მენშევიკებმა უცხოეთის იმპერია-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 452—454.

ლისტებთან კავშირითა და თავიანთი გამყიდველური მოქმედებით აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენეს მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა. მენშევიკების მთელი ტაქტიკა კლასთა შერიგების პოლიტიკაში მდგომარეობდა.

„სოციალისტური გადატრიალება, — წერდა მენშევიკური გაზეთი „ბორბა", — იქნება არა პროლეტარიატის ბრძოლის შედეგი, არამედ ცხოვრებაში შექმნილი ობიექტური პირობების უბრალო შედეგი. ეს პირობები შეიქმნება არა სოციალისტური წყობილებით, არამედ სწორედ კაპიტალისტურით. სოციალიზმი უკვე მზად იქნება კაპიტალისტური წყობილების წიაღში"[1]. მენშევიკებმა ვერ შესძლეს მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ ვერც ერთი ძირითადი საკითხის გადაჭრა: ფაბრიკა-ქარხნები ისევ კაპიტალისტებს დარჩა. მიწა კი — მემამულეებსა და კულაკებს. მშრომელი მასები თანდათან რწმუნდებოდნენ მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკაში, ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკების ლოზუნგები უფრო მეტ გამოძახილს პოულობდა პროლეტარიატისა და უღარიბეს გლეხობაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დამფრთხალმა მენშევიკურმა მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა შეტევა რევოლუციურ ძალებზე. მენშევიკების ვერაგობა საბოლოოდ გამომჟღავნდა 1918 წლის იანვარში, როცა ბრესტის ზავის დადების შედეგად, ოთხი წლის ომით გაწამებული რუსი ჯარისკაცები თურქეთის საზღვრებიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ თავიანთი იარაღით.

მენშევიკური საქართველოს მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ რევოლუციური ჯარისკაცების იარაღით ჩრდილოეთისაკენ გაშვება გააძლიერებდა საბჭოთა რუსეთის პოზიციებს, მით უმეტეს, რომ ამ დროს ჩრდილოეთში თარეშობდნენ კალედინისა და ფილიმონოვის ბანდები. მენშევიკები შეუთანხმდნენ თეთრგვარდიელ გენერლებს და შამქორის ველში მოაწყვეს ვერაგული ხოცვა-ჟლეტა რუსი ჯარისკაცებისა. ჟორდანიას მთავრობამ როტმისტრ აფხაზავას ჩააბარა ჯავშნიანი მა-

---

[1] გაზ. „ბორბა", 1918, № 12.

ტარებელი, მისცა ცხენოსანთა პოლკი ოფიცერ მაღალოვს და დაავალა ამ ოპერაციების განხორციელება. ამ ბრძოლის დროს დაიღუპა ათასობით ჯარისკაცი. ბრძოლაში მოკლულ იქნა აფხაზავაც. როცა ეს სამარცხვინო ფაქტი მსოფლიო მასშტაბით გახმაურდა, ჟორდანიამ მოკლულ აფხაზავას გადააბრალა ყველაფერი, სინამდვილეში კი ეს იყო „მემამულეების და ბურჟუების კავშირი ამიერკავკასიის რევოლუციურ ჯარისკაცთა წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალური მენშევიზმის დროშით მოქმედებდა". ამ მუხანათური მოქმედების შესახებ გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი" წერდა:

„1918 წლის პირველ ნახევარში რკინიგზის ხაზზე თბილისიდან ელიზავეტოპოლამდე შეიარაღებულმა მუსლიმანთა ათასიანმა ბანდებმა ელიზავეტოპოლის მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტის წევრების მეთაურობით და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით რამდენჯერმე ძალით განაიარაღეს რუსეთში მიმავალი სამხედრო ნაწილები. ამასთან, მოკლული და დასახიჩრებულია ათასობით რუსი ჯარისკაცი, რომელთა გვამებით მოიფინა რკინიგზის ხაზი. მათ ჩამოართვეს 15000-მდე თოფი, 70-მდე ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი"[1].

ამ მუხანათური სისხლის ღვრის ორგანიზატორები იყვნენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და მისი ერთგული თანაშემწე ნ. რამიშვილი, რომელთა განკარგულებითაც გაიგზავნა ჯავშნიანი მატარებელი აფხაზავას მეთაურობით. მათი ამოცანა იყო, ჯერ ერთი, რუსეთის რევოლუციური არმიის მოსპობა, რომელიც იცავდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს და, მეორე, იარაღის შეძენა, რომელსაც გამოიყენებდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს მენშევიკ-ესერების მტკიცე კავშირი მემამულეებთან და კაპიტალისტებთან და ხალხის უბოროტეს მტერთან — კალედინთან.

„ამიერკავკასიის ხელისუფლება თავისი პოლიტიკით, —

---

1 გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი", 1918, № 30.

ამბობდა შაუმიანი, — არა მარტო არაპირდაპირ, არამედ პირდაპირ უწევს დახმარებას კალედინს და აშკარად მახვილს სცემს ზურგში რევოლუციას, ღალატობს რუსეთის პროლეტარიატს, ჯარისკაცებს და გლეხებს"[1].

სადგურ შამქორთან რუსი ჯარისკაცების მხეცურმა დახვრეტამ საქართველოს მშრომელ მასებში გადამწყვეტი პროტესტი გამოიწვია, რაც პოლიტიკური ხასიათის გაფიცვებსა და მიტინგებში გამოიხატა. რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშების კრებაზე (რომელსაც 2.000 კაცი ესწრებოდა) მოხსენება გააკეთა სტ. შაუმიანმა თემაზე: „კონტრრევოლუცია და რევოლუცია ამიერკავკასიაში". საერთო კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში სასტიკად იქნა დაგმობილი ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის პოლიტიკა და მოუწოდა ყველა მშრომელს აწარმოონ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის მოსაწვევად. ტყავეულებზე მომუშავეთა საერთო კრებამ დაადგინა — გამოაცხადოს გაფიცვა ჯარისკაცების მუხანათურად დახვრეტის გამო. და ამავე დროს წინადადება მისცა ყველა პროფესიულ კავშირებს გამოეტანათ ასეთივე საპროტესტო რეზოლუციები ამიერკავკასიის მთავრობის რეაქციული მოქმედების წინააღმდეგ. რსდმპ (ბ) ნიგოითის საზოგადოების (ოზურგეთის მაზრა) კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა ამხანაგს, რათა არ დასწრებოდნენ შამქორის ჯალათის — აფხაზავას დაკრძალვას, ამავე დროს სასტიკი პროტესტი გამოეცხადებინათ იმ ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც იმსხვერპლეს რამდენიმე ასეული ჯარისკაცი.

„უკანასკნელმა ამბებმა, — წერდა ი. ბ. სტალინი, — საბოლოოდ ჩამოგლიჯა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ სოციალ-კონტრრევოლუციონერებს, და ახლა მთელ რევოლუციურ სამყაროს შესაძლებლობა აქვს თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და მის „სეიმურ-ნაციონალურ" დანამატთა სახით საქმე გვაქვს ყველაზე ბოროტ

---

[1] ს. შ ა უ მ ი ა ნ ი, „სიტყვები და სტატიები", გვ. 64.

კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერკავკასიის ბუ-შების და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული"[1].

მენშევიკური მთავრობის მოქმედება კიდევ უფრო შორს წავიდა. 1918 წლის 8 თებერვალს დახურეს თბილისში ყველა ბოლშევიკური გაზეთი, ხოლო 10 თებერვალს მოწვეულ იქნა ეგრეთწოდებული ამიერკავკასიის სეიმი, რომლის მიზანი იყო რსფს რესპუბლიკისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის იურიდიული გაფორმება და აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ბოლშევიკურმა პარტიამ ფართო მუშაობა გაშალა კონტრრევოლუციური სეიმის წინააღმდეგ. 10 თებერვალს კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თბილისის ცენტრში, ალექსანდროვის ბაღში მოეწყო საპროტესტო მიტინგი. მენშევიკებმა დაარბიეს და ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს უიარაღო მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგი, 40-მდე უდანაშაულო ადამიანის სისხლით მორწყეს იქაურობა.

მენშევიკების ამ სამარცხვინო მოქმედებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო ბოლშევიკურ ორგანიზაციებში, არამედ საქართველოს მშრომელ მასებშიც. ამ საზიზღარ მოქმედებაში მათ კარგად დაინახეს მენშევიკური მთავრობის საბოლოო გაკოტრება.

„მასები იწყებენ განთავისუფლებას ობორონცული ოპიუმისაგან; — წერდა „კავკაზსკი რაბოჩი", — იზრდება აღშფოთება და უკმაყოფილება ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობის წინააღმდეგ. მასები რწმუნდება იმაში, რომ ეს ხელისუფლება მათ სიღარიბის, შიმშილისა და კონტრრევოლუციის ჭაობში მიერეკება"[2].

1918 წლის დამდეგს დაიწყო მენშევიკური მთავრობისაგან მუშათა კლასის და უღარიბესი გლეხობის მასობრივი ჩამოშორება. მუშებმა უარი განაცხადეს მენშევიკურ საბჭოებსა და პროფკავშირებში მონაწილეობაზე და ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. მუშათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობის

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 570—71.

[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1918, № 28.

გამო დაიწყო მასობრივი გაფიცვა. გაფიცვები ჩატარდა: მბეჭ-დავთა კავშირში, რკინიგზაზე, ოფიციანტების კავშირში, ტყი-ბულის ქვანახშირის მაღაროებში, ძირულაში (საფქვავ ქარხა-ნაში), კავშირ-გაბმულობაში, კოლოფების ფაბრიკაში და მთელ რიგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში. მუშათა საგაფიცვო მოძრაობის განვითარებამ და მუშათა მიერ წამოყენებულმა მოთხოვნილებებმა ცხადყო, რომ გა-ფიცვები გასცილდა წმინდა ეკონომიურ საზღვრებს და პოლი-ტიკურ ბრძოლაში გადაიზარდა. მუშათა კლასის აუტანელ მდგომარეობას ვერც მენშევიკური მთავრობა ფარავდა. შრო-მის მინისტრის მოადგილე ერაძე საქართველოს რკინიგზის მუშათა ყრილობაზე ამბობდა:

„საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის. მისმა სიღარიბემ და გაჭირვე-ბამ მიაღწია უკიდურეს საზღვარს, რომლის შემდეგ უნდა მოველოდეთ ჩვენი კლასის ფიზიკური გადაშენების სწრაფ და ძლიერ პროცესს. ჩვენი საზოგადოების არც ერთი დემოკრა-ტიული კლასი ან ჯგუფი არ იმყოფება ისეთ გამოუვალ მდგო-მარეობაში, რომელშიაც ქალაქის მუშები აღმოჩნდნენ"[1].

შრომის სამინისტრო ცდილობდა მიეღწია მუშათა კლასისა და კაპიტალისტთა შეთანხმებისათვის, ის ურჩევდა, რომ ყო-ველგვარი კონფლიქტები მუშათა და მეწარმეთა შორის გარ-ჩეულიყო მომრიგებელ კამერებსა და სამედიატორო სასამართ-ლოებში. მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა კარგად გამო-ხატა ერთ-ერთმა მუშამ, რომელიც წერდა:

„თვრამეტი წელიწადი ვმუშაობდი სოციალ-დემოკრა-ტიულ ორგანიზაციაში წრფელი გულით. ბედნიერი ვიყავი, სანამ არ გავეცნობოდი ჩვენი ხელმძღვანელების მიმდინარე მუშაობას... მუშათა კლასმა თავისი ბრძოლით და სისხლით მხოლოდ ზოგიერთი ძველი ამხანაგისათვის მოიპოვა უზრუნ-ველყოფილი არსებობა, ეს არის და ეს. თუ სინამდვილეს შევ-ხედავთ, ყველაფერი ძველებურად დარჩა... პრივილეგიათა გაუქმება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ამიტომაც იმყოფებიან

---

[1] პროფმოძრაობის არქივი, ფონ. 31, საქმე № 280, ფ. 4—6.

საშინელ პირობებში როგორც გლეხობა სოფლად, ისე მუშები ქალაქში... მოთმინების ფიალა ივსება და უფსკრულისაკენ მივექანებით. სოციალიზმის დაპირება და გრძელი წერილები საქმეს ვერ უშველიან, როდესაც წამოჭრილია არსებობის საკითხი"[1].

მართალია, საქართველოს პროლეტარიატმა ერთბაშად ვერ შეძლო მენშევიზმის გავლენისაგან თავის დაღწევა, მაგრამ პრაქტიკულად დარწმუნდა რა მენშევიკების საქმიანობაში, ზურგი აქცია მას და იწყო პროფესიონალური კავშირების შექმნა. თბილისში 1918 წლის მაისში უკვე არსებობდა 31 პროფესიონალური კავშირი და პროფკავშირების ცენტრალური ბიურო. ბოლშევიკებმა უდიდესი მუშაობა გაშალეს პროფკავშირებში და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. ბოლშევიკური გავლენა მასებზე თანდათან ძლიერდებოდა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საშუალებით. მუშათა საგაფიცვო ბრძოლა გრძელდებოდა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ლოზუნგით. მენშევიკებისაგან მუშათა ჩამოშორების პროცესმა კიდევ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო.

მენშევიკური მთავრობის პოლიტიკით არც ინტელიგენცია იყო კმაყოფილი. მასწავლებლების და სხვადასხვა დაწესებულებების მომუშავე მოხელეების გაფიცვებმა სისტემატური ხასიათი მიიღო.

კიდევ უფრო მძიმე იყო ღარიბი გლეხობის მდგომარეობა. მიწის სიმცირე და ბატონყმობის ნაშთები ძლიერ ავიწროებდა გლეხობას. მართალია, ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 7 მარტს გამოსცა „დეკრეტი მიწის შესახებ", მაგრამ ის იცავდა მემამულეთა ინტერესებს და ღარიბი გლეხობისათვის სავსებით მიუღებელი იყო. მენშევიკური მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტს მიწის შესახებ არავითარი პრაქტიკული განხორციელება არ მოჰყოლია. ის მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. „ჩვენი ხალხი ვერ ეღირსა აგრარული საკითხის გადაჭრას, — წერდა ჟორდანია, — ჩვენ მოგვეპოვება დეკრეტები, მაგრამ

---

[1] „ახალი სხივი", 1920, 9 ნოემბერი.

ისინი ქაღალდზე დარჩნენ და სინამდვილეში არ იქნება მოგვარებული აგრარული საკითხი... ანარქია თანდათან ძლიერდება და, შესაძლებელია, ეს ანარქია ბოლოს და ბოლოს ჩვენ წაგვლეკავს"[1].

მენშევიკების მიერ გატარებულმა აგრარულმა კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა მემამულეთა უფლებები. ამ კანონის მეორე მუხლში კონფისკებული მამულის მფლობელის ხელში დასატოვებელი მიწის ფართობი განისაზღვრებოდა: „ა) შვიდი დესეტინით, თუ ჩამორთმეული მიწა ისეთ რაიონშია, სადაც ძვირფასი კულტურების მეურნეობას მისდევენ, ბ) თხუთმეტი დესეტინით მარცვლეული მეურნეობის რაიონში, გ) ორმოცი დესეტინით იქ, სადაც უმთავრესად მესაქონლეობას მისდევენ. საგუბერნიო, საქალაქო მიწის კომიტეტებს უფლება ეძლევათ ადგილობრივი პირობების მიხედვით გააადიდონ ამ მეორე მუხლით განსაზღვრული მესაკუთრეობისათვის დასატოვებელი მიწის ნორმა: პირველი კატეგორიის მემამულების მიწის კონფისკაციის დროს — ათ დესეტინამდე, მეორე კატეგორიის — ოც დესეტინამდე და მესამე კატეგორიის — ორმოცდაათ დესეტინამდე[2]. ათი, ოცი, და ორმოცდაათი დესეტინა ეს ისეთი ნორმა იყო საქართველოსათვის, რომელიც სრულ შესაძლებლობას იძლეოდა სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის. ცალკე გამოცემული ინსტრუქციების თანახმად მიწათმფლობელები იღებდნენ მთელ რიგ დამატებით შეღავათებს. მათ უფლება ჰქონდათ ფაქტიური გაყოფის საშუალებით მიეღოთ მიწის რამდენიმე ნორმა, მათ თავიანთი მეურნეობის საჭიროებისათვის უტოვებდნენ საწარმოო საშუალებებს (ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს). ამრიგად, მენშევიკური მთავრობის აგრარული კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევდა მემამულეებსა და კულაკებს ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ თავიანთი მამულები. ამავე დროს შენარჩუნებული იქნა მიწის გაყიდვის პრინციპი,

---

1 ჟორდანია, „მოხსენებები და სიტყვები", გვ. 66.

2 საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს „კანონები და ინსტრუქციები, გვ. 45—46, 1918.

რის შესახებაც ურცხვად აცხადებდნენ: „ჩვენ დავადგინეთ, რომ მიწა უფასოდ ჩამოერთვას მებატონეს, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს ის, რომ უფასოდვე დაურიგდეს გლეხებს... მაშასადამე ამ მხრივ სადავო არაფერი გვაქვს. რა სჯობია სოფლისათვის — ყოველ წელიწადს იხადოს იჯარა, თუ ერთხელ და საბოლოოდ საკუთრებად შეიძინოს მიწა და მისი ბატონ-პატრონი გახდეს.

ამ საკითხის გადაწყვეტაზე ჰკიდია ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი, რადგან ხალხის დიდი უმრავლესობა მიწის მუშაობით ირჩენს თავს[1].

მენშევიკების აგრარულ პროგრამას მხარს უჭერდნენ ნაციონალ-დემოკრატებიც. მომხრე იყვნენ რა მიწების გლეხებზე გაყიდვისა, ისინი საზღვრავდნენ მყიდველთა კატეგორიას: ვის უნდა მიეყიდოს მიწა? — კითხვას სვამდნენ ისინი, — და თანაც პასუხობდნენ: „მიწა უნდა მიეყიდოს, ვისაც მეტი სასყიდლის გამოღება შეუძლია. ე. ი. შეძლებულ გლეხს, გაბატონებულ გლეხს, რომელსაც არც სამეურნეო ინვენტარი აქვს და არც კაპიტალი, ვერას უშველის ორიოდე დღიური მიწის გადაცემა. ის ბოლოს და ბოლოს მაინც იძულებული გახდება თავის საკუთრება უფრო შეძლებულ მეზობელს მიჰყიდოს"[2].

საფონდო მიწების გასაყიდი ფასიც მენშევიკურმა მთავრობამ იმ რაოდენობით დაამტკიცა, რომ ის მისაწვდომი იყო მხოლოდ კულაკებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში პირველი კატეგორიის სახნავი მიწის ყოველი დესეტინა ღირდა 1.200 მანეთი,—მეორე კატეგორიის—1.000 მანეთი, მესამესი—600 მანეთად. მენშევიკების მიერ გატარებულმა მიწის ყიდვა-გაყიდვის კანონმა ხელი შეუწყო მიწის თავმოყრას კულაკობის ხელში. ღარიბი და საშუალო გლეხები კვლავ უმიწოდ დარჩნენ და საშინელ შიმშილს განიცდიდნენ. ამას ზედ დაერთო მენშევიკური მთავრობის ბრძანება, რომლის თანახმად გლეხებს ევალებოდათ გადაეხადათ გადასახადი მემამულეების სასარგებლოდ: პირველი კატეგორიის მიწაზე — ორი მესა-

---

[1] გაზ. „ერთობა", 1918, № 13.

[2] გაზ. „საქართველო", 1918, № 170.

ქედი, მეორეზე — სამი მეოთხედი, მესამეზე — სამი მეხუთედი, ხოლო მეოთხეზე — მოსავლის ნახევარი. მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გაიგო ისეთი დიდი რევოლუციური მნიშვნელობის საკითხი, როგორიც იყო საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, რომელმაც ღარიბი გლეხობა უყოყმანოდ დაუკავშირა მუშათა კლასს. მენშევიკების პროგრამა აგრარული რევოლუციის საკითხში ცარიელ პროპაგანდად დარჩა, რამაც მშრომელი გლეხობის აღშფოთება გამოიწვია. მენშევიკური მთავრობა თანდათანობით კარგავდა ნდობას მასებში. მშრომელი გლეხობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გააძლიერა 1918 წლის პირველი ოქტომბრის საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებამ, რომელიც მოითხოვდა მემამულეთა „პრეტენზიის" დასაკმაყოფილებლად გლეხებს გადაეხადათ შემოსავლის ერთი მესამედი. ამ დადგენილებამ დიდი პროტესტი გამოიწვია, კერძოდ, დუშეთის მაზრის ღარიბ გლეხობაში. ამ მაზრის დიდი გომარეთის, პატარა გომარეთის, მამულიანთ სოფლის, ახოსა და სხვ. საზოგადოებების გლეხებმა მენშევიკურ მთავრობას მოსთხოვეს საკუთრებად დამტკიცებოდათ, უფასოდ, მათ სარგებლობაში მყოფი სახაზინო მიწები, მაგრამ გლეხობის მოთხოვნილებას არავინ ყურადღებას არ აქცევდა. მიწის საიჯარო ქირა თანდათან ორკეცდებოდა და მშრომელი გლეხობა ისევ აუტანელ პირობებში რჩებოდა. გლეხები კარგად ხედავდნენ, რომ ძველსა და ახალ მთავრობას შორის არავითარი განსხვავება არ იყო. მენშევიკების მთავრობის პოლიტიკა მშრომელი მასების მიმართ ცარიზმის პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა. მშრომელი გლეხის აუტანელ მდგომარეობას არც მენშევიკური პრესა ფარავდა „ვინც კი დაახლოებით გაეცნობა გლეხის ახლანდელ მდგომარეობას, — წერდა გაზეთი „საქართველო", — დარწმუნდება, რომ ნამდვილ ტრაგედიას წარმოადგენს მისი გამოურკვეველი მდგომარეობა: იგი ეხლა თანდათან ერკვევა და თვალებგაფაციცებული დაეძებს მადლიანსა და პატიოსან ადამიანს, რომ გამოიყვანოს დაუსრულებელ ბურუსისაგან. ის ეჭვიანი გახდა და ადვილად აღარავის უჯერებს, ვინაიდან მას ეხლა უკვე აღარ სწამს, რომ ის იხილავს იმ ედემის წალკოტს,

რომელსაც უხატავდნენ მას ყოველი მხრიდან მისი არამკითხე პატრონები. ამის ნაცვლად ისინი დღეს ხედავენ სრულ განადგურებას... სოფელში ყოფნის დროს ჯოჯოხეთი წარმოგიდგება... გლეხები ასეთ კითხვას იძლევიან:

1. ნეტავი რას ფიქრობს ჩვენი მთავრობა?

2. ნუთუ ჰგონია ასე ადვილად დაუთმობს მათ გლეხი?[1].

ამრიგად, მენშევიკების აგრარულმა რეფორმამ უღარიბესი და საშუალო გლეხის გაღატაკება გამოიწვია, ხოლო მემამულეების და კულაკობის მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა.

საქართველოში საერთო ვითარება სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა. სამეურნეო ნგრევა თანდათან ძლიერდებოდა, ქალაქებსა და სოფლებში არ იყო საკმარ პური. ხორცი, შაქარი და პირველი მოთხოვნილების სხვა საქონელი. სიძვირე თანდათან მატულობდა, რითაც ჯიბეს ისქელებდნენ მემამულეები, კულაკები, სპეკულანტები და ეაჭრები. ხშირი იყო შიმშილით სიკვდილის შემთხვევები. ამასთან ერთად მუშები და გლეხები აუტანელ შეურაცხყოფასა და ჩაგვრას განიცდიდნენ მენშევიკური მთავრობის აღვირახსნილ მოხელეთა მოქმედებისაგან, ძველსა და ახალ მთავრობას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა. დუშეთისა და სხვა მაზრების სოფლებშე შედგენილი აქტები ნათელ სურათს იძლევიან იმისას, თუ რა მდგომარეობაში ჩააყენეს ღარიბი და საშუალო გლეხობა იქაურმა კომისრებმა და მოხელეებმა. მცხეთის რაიონის კომისარი სოლომონ მენაბდე სოფელ წილკნის გლეხებს მოვალედ ხდიდა ყოველ მისვლაზე უსასყიდლოდ ეძლიათ მისთვის ქათმები, ბატები, ერბო-კარაქი, ფქვილი და სხვ. ამასთან ერთად ის ხშირად აწარმოებდა მოსახლეობის ჩხრეკას და მიჰქონდა ყველაფერი, რაც კი მოეწონებოდა. მენშევიკური მთავრობის საქმიანობამ ნათლად დაანახვა მუშებსა და მშრომელ გლეხობას, თუ რა შედეგი მოჰქონდა მშრომელი ხალხისა და სოციალიზმის მოღალატეთა პოლიტიკას.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო რე-

---

[1] გაზეთი „საქართველო", 1918, № 26.

ოლუციური მოძრაობის განუხრელი აღმავლობა. მუშებისა და გლეხების ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მთელ საქართველოში იზრდებოდა და ვითარდებოდა. მუშებისა და გლეხების ნაწილი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ სჯეროდათ მენშევიკებისა, ახლა ზურგს აქცევდა მათ და ბოლშევიკური პარტიის მხარეზე დგებოდა. ბოლშევიკების გავლენა იზრდებოდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. „თავიანთი ტაქტიკა მენშევიკებმა ახლა ისე უნდა ააგონ, -- წერდა ნ. ჟორდანია, — რომ მუშათა მასები გაათავისუფლონ იმ ბოლშევიკური განწყობილებისაგან, რომელსაც ისინი მოუცავს“[1].

მენშევიკური მთავრობის მიერ მიღებულმა რეპრესიებმა ვერ შეაჩერა რევოლუციური მოძრაობის ტალღა. ამიტომ მათ გარეშე ძალაზე დაამყარეს იმედი და საქართველოში მორიგეობით მოიპატიჟეს გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები. მენშევიკური მთავრობის მეთაურები ურცხვად აცხადებდნენ, რომ „პატარა საქართველოს თავისი ძალით საკუთარი არსებობის დაცვა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო და ამიტომ მას უნდა გამოენახა დამცველი იმ ხალხთა შორის, რომელთაც აქვთ რეალური ძალა. რა თქმა უნდა, დახმარებას გაგვიწევს არა გერმანელი ხალხი, არამედ გერმანული იმპერიალიზმი... ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენ ვიძენთ დიდი ეკონომიური დაჩაგვრით (კაბალით) გერმანული იმპერიალიზმის მხრით. აშკარაა, საქართველოს არ შეეძლება აწარმოოს თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკა“[2]. ამრიგად, მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოს მშრომელი ხალხის ბედი საჯიჯგნად ჩაუგდო ხელში გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს, რომელთაც აინტერესებდათ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და სურსათ-სანოვაგე.

აფასებდა რა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის

---

1 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, „ორი წლის მანძილზე“, გვ. 40.

2 გაზ. „ერთობა“, 1918, № 50.

საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანელი ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[1].

მენშევიკურმა მთავრობამ მშრომელ ხალხს დაადგა უცხოეთის იმპერიალისტების მძიმე უღელი. გერმანელები სისტემატურად ერეოდნენ საქართველოს შინაურ საქმეებში, არბევდნენ და აწიოკებდნენ სოფლებს. გერმანელი იმპერიალისტები მენშევიკურ მთავრობას წინადადებას აძლევდნენ, რათა გლეხს მემამულეთა სასარგებლოდ გადაეხადა ყველა ძველი გადასახადი, რომელზედაც გლეხებმა უარი განაცხადეს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. გერმანელი იმპერიალისტების საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს გერმანელი ფონ-კრესის წერილი შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილისადმი, სადაც ის წერდა:

„მე გავიგე, რომ ყველა ჩემს ღონისძიებას და პირად თხოვნას, რომლითაც მე პატივი მქონდა მომემართა თქვენი აღმატებულებისა და ბატონ მინისტრთა თავმჯდომარისათვის იმის შესახებ, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად გლეხებს გორისა და დუშეთის მაზრის მემამულეთათვის გადაეხადათ საიჯარო გადასახადი 1917 წლის მოსაელისათვის, დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყვა... ვიღებ რა მხედველობაში ასეთ აუტანელ მდგომარეობას, მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს — წინადადება მიეცეთ დაუყოვნებლივ შედგეს კომისია საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენლისა და დელეგაციის ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით. ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოარკვიოს საერთო ჯამი იმ საიჯარო თანხისა, რომელიც კიდევ მისაღები აქვთ სხვადასხვა მემამულეებს, და შემდეგ შეუდგეს კუთვნილი საიჯარო გადასახადის შეკრებას"[2].

მენშევიკური მთავრობა მტკიცედ იცავდა იმპერიალისტუ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

2 „გერმანელი ოკუპანტები საქართველოში", დოკუმენტები და მასალები, გვ. 118.

რი გერმანიის განკარგულებებსა და მითითებებს, რასაც ადასტურებს ნ. რამიშვილის პასუხი, სადაც ის სწერს გერმანიის დელეგაციის უფროსს — გენერალ ფონ-კრესს.

„საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მთავრობა ადგია არსებული კანონების მტკიცედ შესრულების თვალსაზრისს, რომელთა საფუძველზედაც მემამულეებს მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ კანონით მათდამი მიკუთვნებული შემოსავალი მამულებიდან“[1].

გერმანელ ოკუპანტთა აგენტები, მენშევიკები არწმუნებდნენ მშრომელ მასებს, რომ გერმანია საქართველოში შემოიტანდა პირველი მოთხოვნილების საგნებს და პურს, მაგრამ მოხდა პირიქით: მათ საქართველოდან გაზიდეს რის გატანაც კი შეიძლებოდა და თანაც ფულადი გადასახადიც კი დაადვეს მშრომელ მოსახლეობას. გერმანელთა ნაწილები თავხედურად ერეოდნენ დუშეთის მაზრის ადგილობრივი მოსახლეობის შინაგან საქმეებში.

1918 წლის 24 აგვისტოს თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე დუშეთის მაზრიდან გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამი იყო: „როგორც მცხეთის რაიონის კომისარი იტყობინება, გერმანელთა რაზმის მიერ, რომელიც აქ იმყოფება, მუხრანის მოსახლეობაზე დადებულია 35.000 მანეთის კონტრიბუცია. მცხეთის რაიონის კომისარი, რომელიც მოსახლეობის თხოვნით მივიდა იქ, დაპატიმრებულ იქნა, ხოლო შემდეგ განაიარაღეს და გაუშვეს, ამავე დროს მას ჩამოართვეს რაღაც ხელწერილი, განიარაღებულია აგრეთვე მისი თანმხლები მილიციელი“[2]. ასეთივე საჩივრები მიდიოდა თითქმის ყველა რაიონიდან.

გერმანელმა ოკუპანტებმა მენშევიკურ მთავრობასთან შეთანხმებით საქართველო გადააქციეს თავიანთ სათარეშო ობიექტად. „სულ უფრო და უფრო მკვეთრად ისახება გერმანიის მისწრაფებანი ამიერკავკასიაში, — წერდა გაზეთი „ბორბა“, — პირველ რიგში მარგანეცი, მეორეში — ნავთი, სპი-

---

[1] „გერმანელი ოკუპანტები საქართველოში“, დოკუმენტები და მასალები გვ., 118.

[2] „გერმანელი ოკუპანტები საქართველოში“, გვ. 51.

ლენძი და ყველაფერი დანარჩენი... საქართველოს მშრომელი მასები წინააღმდეგი არიან დაწყებული მოლაპარაკებისა და ისინიც დასახული საერთაშორისო შეთანხმების ჩასაშლელად საუკეთესო საშუალებას პოულობენ — ეს არის სამოქალაქო ომის ხანძრის დანთება საქართველოში"[1].

გერმანელ ოკუპანტთა დახმარებით მემამულეთა მდგომარეობა ხელუხლებელი დარჩა, მათ გორის, დუშეთის, ბორჩალოსა და სხვა მაზრებში გლეხებს გადაახდევინეს ბეგარის ნარჩენები. გერმანელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა თავგასულობა, ძალადობა, მშრომელი მასების დამცირება და აბუჩად აგდება, ხოცვა-ჟლეტა უდანაშაულო ადამიანებისა, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების დარბევა, საქართველოს სამეურნეო საფუძველის სრული მოშლა და გაპარტახება, — აი რა მოუტანეს მენშევიკებმა გერმანელ და სხვა ქვეყნის იმპერიალისტებთან ერთად საქართველოს მშრომელ ხალხს.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოში თარეშობდნენ სხვადასხვა იმპერიალისტური სახელმწიფოთა ჯარები. აქ ისინი სჭედდნენ ხუნდებს არა მარტო საქართველოს მუშებისა და მშრომელი გლეხობისათვის, არამედ ნიადაგს ამზადებდნენ საბჭოთა რუსეთზე გასალაშქრებლადაც.

ამრიგად, მენშევიკურ მთავრობას საქართველოს შინაურ ცხოვრებაში არ მოუხდენია არც ერთი არსებითი ხასიათის ცვლილება მშრომელთა სასარგებლოდ. მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა. მის ბედს განაგებდა პარიტეტული სატარიფო პალატა, რომელიც მეწარმის ინტერესებზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე მუშების დაცვასა და მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. გლეხობა კვლავ მემამულეთა კაბალაში დარჩა.

მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო სოციალისტური რევოლუციის და საბჭოთა რუსეთთან კავშირის წინააღმდეგ. მენშევიკებმა კავშირი შეკრეს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებთან. საქართველო, ევროპისა და

---

[1] გაზ. „ბორბა", 1918, № 96.

აზიის შემაერთებელი ხიდი, მათ ხელში ჩაუგდეს იმპერიალისტურ მძარცველებს, საიდანაც ისინი ამზადებდნენ შეტევას ნავთობით მდიდარ ბაქოსა, საბჭოთა რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის დასაპყრობად.

მენშევიკების გამცემლური პოლიტიკა მშრომელთა დიდ უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევდა, რაც შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა.

## ბოლშევიკური პარტია—შეიარაღებული აჯანყების ორგანიზატორი დუშეთის მაზრაში

საქართველოს მშრომელი მოსახლეობა, რომელიც რუსეთის მუშებსა და გლეხებთან ერთად იბრძოდა უკეთესი მომავლისათვის, მწვავედ განიცდიდა საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორებას. მას სურდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა რუსეთის მუშათა კლასსა და უღარიბეს გლეხობასთან ერთად. მეორე მხრივ, ეს ჩამოშორება ფრიად საზიანო იყო ჩვენი ქვეყნისათვის ეკონომიური თვალსაზრისითაც, რაც კარგად ჰქონდა შეგნებული ბოლშევიკურ პარტიას. ბოლშევიკური პარტია მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოვიდა იატაკქვეშეთიდან და გააჩაღა მუშაობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისთვის საბრძოლველად. ლეგალურ მუშაობაზე გადასვლის პირველ ხანებში ბოლშევიკების მცირე ჯგუფმა დაუშვა უდიდესი შეცდომა, დაივიწყა ლენინის არაერთგზის გაფრთხილება და მენშევიკებთან გაერთიანება მოითხოვა. ეს გაერთიანება გაფორმდა თბილისში 1917 წლის 11 მარტს, როცა არჩეულ იქნა თბილისის გაერთიანებული კომიტეტი. ბოლშევიკების უმრავლესობამ ნათლად დაინახა ამ გაერთიანების უარყოფითი ხასიათი, რომელიც ხელს უშლიდა მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის მხილებას. მიუხედავად ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშაობისა, ბოლშევიკებმა დაიტოვეს უფლება დამოუკიდებლად ჩაეტარებინათ თავიანთი კრებები, ჰქონოდათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები და საჭირო ლიტე-

რატურა. ბოლშევიკებს დიდი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ იმისათვის, რომ გამოეცათ ყოველდღიური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წლის 11 მარტს. მაგრამ ეს გაზეთი რუსულ ენაზე გამოდიოდა და ხელმისაწვდომი არ იყო ყველასათვის. 1917 წლის 10 ივნისიდან ბოლშევიკებმა შესძლეს ქართულ ენაზე გამოეცათ გაზეთი „ბრძოლა“.

მიუხედავად „გაერთიანებისა“, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გაჩაღდა ბრძოლა რევოლუციის ძირითად საკითხებში. ბოლშევიკები იცავდნენ თავიანთ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის დარაზმვისათვის, რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასელისათვის. მენშევიკების პოლიტიკური ხაზი იყო ბურჟუაზიული რევოლუციით დაკმაყოფილება. დროებითი მთავრობისადმი მასებში ნდობის განმტკიცება. მთელი მათი მუშაობა მიმართული იყო მასებისაგან ბოლშევიკების იზოლაციისაკენ. „ბრძოლა დაუნდობელი, ბრძოლა თანამედროვე ბოლშევიზმთან... მორიგი ამოცანაა ყველა იმათი, ვისთვისაც ძვირფასია რევოლუციისა და თავისუფლების ინტერესები“ — წერდა მენშევიკური გაზეთი „ბორბა“. მენშევიკებმა დაიწყეს სასტიკი რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მითითების საფუძველზე ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა 1917 წ. აპრილში ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირი გაწყვიტეს მენშევიკებთან და შექმნეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები თბილისში, ბაქოში, ბათუმში და სხვა მნიშვნელოვან ცენტრებში. ბოლშევიკურმა პარტიამ იცოდა, რომ რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის ბრძოლის ბედს საბოლოოდ პროლეტარიატი, უღარიბესი გლეხობა და მათი წრიდან გამოსული ჯარისკაცები წყვეტდნენ. საქართველოს ბოლშევიკებმა ფართო მუშაობა გაშალეს მშრომელ მოსახლეობაში. ბოლშევიკების მუშაობა საქართველოში განსაკუთრებით მძიმე პირობებში მიმდინარეობდა: დაპატიმრებამ, გადასახლებამ, ბოლშევიკური პრესის რედაქციების დარბევამ მენშევიკური მთავრობის მხრივ სისტემატური ხასიათი მიიღო.

მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელებაში და ბოლშევიკური ძალების შემჭიდროებაში დიდი როლი ითამაშა ბოლშევიკურმა პრესამ. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის გავრცელებამ ჯარისკაცთა შორის უდიდესი მოწონება დაიმსახურა. ჯარისკაცებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ლენინის ნათელი, ყველასათვის გასაგები სტატიები და სიტყვები. „განსაკუთრებით მადლობელი ვარ ამხანაგ ლენინის სიტყვისათვის, რაც მე ასე მწყუროდა და რასაც ასე მოუთმენლად ველოდი,— იწერებოდა ჯარისკაცი ფრონტიდან, — ახლა კი მე, ჩემი მხრივ, ამხანაგ ლენინის ამ სიტყვას ვაცნობ ჯარისკაცებს"[1].

პრესის საშუალებით პარტიის გავლენა მასებში თანდათან იზრდებოდა. ბოლშევიკები მშრომელ მასებს ცოცხალი საქმით უჩვენებდნენ თავიანთი პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის უპირატესობას, რითაც ნიღაბს ხდიდნენ მენშევიკ-ესერთა კონტრრევოლუციურ ილუზიებს. მენშევიკებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს ბოლშევიკური პრესის წინააღმდეგ, ამ საქმეში მენშევიკებმა წინ გაასწრეს რუსეთის კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის მიერ ჩატარებულ რეპრესიებს. 1917 წლის აპრილში პეტროგრადის მუშებმა საჩუქრები გამოუგზავნეს კავკასიის ჯარისკაცებს. საჩუქრებთან ერთად ვაგონში იყო 40 ათასი ცალი გაზეთი „პრავდა". 1917 წლის 19 აპრილს თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ მიიღო დადგენილება „პრავდის" ყველა ეგზემპლარის დაკავების შესახებ. ბოლშევიკური გაზეთის „კავკაზსკი რაბოჩის" დახურვას საბჭოს ყველა სხდომაზე იმუქრებოდნენ. „ჩვენი მუშაობა იქ, — განაცხადა კავკასიის დელეგატმა პარტიის მე-6 ყრილობაზე, — წამებულთა მუშაობაა, მაგრამ ჩვენ ამის შემდეგაც განვაგრძეთ ჩვენი მუშაობა. ჩვენი გაზეთი ჯარისკაცთა გაზეთად იქცა: ჩვენ მთელი ფუთობით ვღებულობთ ფრონტიდან წერილებს, ათასობით თანამგრძნობთა დეპეშებს"[2].

ჯარის ნაწილების ბოლშევიკების მხარეზე გადასვლით შეშინებულმა მენშევიკურმა მთავრობამ დაიწყო ბოლშევიკური

---

[1] „სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში", გვ. 414.
[2] იქვე, გვ. 420.

ნაწილების ქალაქიდან გაყვანა, სამაგიეროდ კი შემოჰყავდათ ახალი პოლკები, რომელშიდაც სწრაფად იკიდებდა ფეხს ბოლშევიკური იდეები. ლენინის მითითებებით შეიარაღებული საქართველოს ბოლშევიკები დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოებში უმრავლესობის მოსაპოვებლად და მენშევიკ-ესერების იზოლაციისათვის. საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გაშალეს რსდმპ აპრილის VII პარტიული კონფერენციისა და VI ყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისათვის. ერთ-ერთ კრებაზე, რომელიც ჩატარდა 24 აგვისტოს ავჭალაში, რომელსაც ესწრებოდა 300 კაცი, ყრილობის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ყრილობის დელეგატმა ს. ქავთარაძემ. კრების მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებსა და დირექტივებს. VI ყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით გაზეთი „ბრძოლა" წერდა: „მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს ძალუძს ამ მისიის შესრულება (იგულისხმება შეიარაღებული აჯანყება — ა. ა.), თუ მას მხარს დაუჭერს გლეხკაცობის უღარიბესი ნაწილი. და ის იქნება მისია რევოლუციის ახალი აზვირთების. ამ აზვირთების ნაყოფიერი შედეგი და გამარჯვება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ჩქარა და ღრმად შეიგნებს ხალხის უმრავლესობა ბურჟუაზიასთან შეთანხმებაზე დამყარებულ იმედების დამღუპველობას, იმ იმედებისა, რომლებსაც გამოთქვამენ და მხარს უჭერენ ესერებისა და მენშევიკების პარტიები. მიმდინარე ამბების მსვლელობა მეტად მკაცრად აქარწყლებს ამ იმედების საფუძვლიანობას"[1].

ასეთივე კრებები ტარდებოდა საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მშრომელ მასებს, რომ ძალაუფლების ხელში აღებისათვის საჭირო იყო მედგარი და თავგანწირული ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგობის გასატეხად. 1917 წლის 2 ოქტომბერს მოწვეულ იქნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელმაც სრული უნდობლობა გამოუცხადა დროებით კონტრრევოლუციურ მთავრობას, აშკარად დაგმო მენშევიკებ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", 1917, № 12.

თან ყოველგვარი შეთანხმებულობა და ნათლად განსაზღვრა კავკასიელი ბოლშევიკების ტაქტიკა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია გაბედულად მოუწოდებდა მუშებს, ჯარისკაცებსა და მშრომელ გლეხობას შეუპოვარი ბრძოლისაკენ ძალაუფლების მოსაპოვებლად. „ყრილობა თვალს არ ხუჭავს იმაზე, რომ ბურჟუაზია და მისი მსახურნი კერენსკები და წერეთლები, ყოფილი და ახლანდელი ეგრეთწოდებული მინისტრი-სოციალისტები თავის პოზიციებს უბრძოლველად არ დათმობენ და რომ, მეორე მხრით, მეფის მთავრობის მემკვიდრეობის გარდა ისინი ჩვენ გვიტოვებენ ნგრევისა და ანარქიის მძიმე მემკვიდრეობას... მაგრამ მუშათა კლასი, ჯარისკაცები, გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები არ უნდა შეუშინდნენ სიძნელეებსა და მსხვერპლს და გაბედულად უნდა წავიდნენ წინ ძალაუფლების მოსაპოვებლად და ქვეყნისა და რევოლუციის გადასარჩენად დაღუპვისაგან“[1]. ყრილობამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო აგრარული საკითხის განხილვას, მიღებულ რეზოლუციაში წამოყენებულ იქნა მოთხოვნა მიწების ნაციონალიზაციისა. ყრილობის მიერ მიღებულმა დადგენილებებმა დიდი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დარაზმვისა და რევოლუციურ ძალთა მობილიზაციის საქმეში.

როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლუციის შემდეგ მშრომელი მასების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ფართო მოხმარების საგნებზე მიუწვდომელი ფასები და ამ ფასების საოცარი ზრდა, აღვირახსნილი სპეკულაცია და სხვ. მშრომელთა შორის დიდ აღშფოთებას იწვევდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ცნობამ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შესახებ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს მშრომელებში.

„...ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომელსაც მუშებისათვის ახალი მონაპოვარი მოჰქონდა, ბუნებრივია, ახალი ბრძოლისათვის ამხედრებ-

---

[1] რსდმპ კავკასიის სამხარეო. ყრილობის რეზოლუციები, გვ. 4

და ამიერკავკასიის პროლეტარიატს. მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენს, მძინარა თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას"[1].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში მძლავრი ბიძგი მისცა სოციალისტური რევოლუციის განვითარებას მთელს ჩვენს ქვეყანაში. ბოლშევიკური პარტიის მოწოდების პასუხად, მხარი დაეჭირათ პროლეტარული რევოლუციისათვის, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა მშრომელთა მიტინგები და კრებები, სადაც მხურვალედ მიესალმებოდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას რუსეთის სამრეწველო ცენტრებში.

27 ოქტომბერს არსენალის რაიონის კრების რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „პეტროგრადში დამყარებული დეპუტატთა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მთავრობა წარმოადგენს მუშების, ჯარისკაცების და გლეხების მთავრობას, რომლის დასაცავად, ვფიცავთ აღვიმართოთ რკინის კედლად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და მის ნებისმიერ და დაქირავებულ მსახურთა ყველა ძალის — სახალხო თავისუფლებისა და სახალხო ხელისუფლების ჯალათების წინააღმდეგ"[2].

ასეთივე რეზოლუციები იქნა მიღებული ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების კრებაზე, მბეჭდავთა კავშირის სხდომაზე და სხვ. –

ოქტომბრის რევოლუციამ, როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, მკვეთრად შესცვალა ამიერკავკასიის მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს" მეხივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები. ბოლშევიკური პარტიის გავლენა მუშებსა, მშრომელ გლეხობასა და ჯარის ნაწილებში თანდათან იზრ-

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1917, № 186.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 65.

დებოდა, მაგრამ ვერ იქნა გამოყენებული ეს რევოლუციური სიტუაცია ძალაუფლების ასაღებად.

საქართველოს მშრომელ მასებს დიდი მორალური ძალა შემატა ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობის სოციალ-პოლიტიკური ღონისძიებების (პირველი დეკრეტები) გატარებამ მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად.

დეკრეტი ზავის შესახებ დაწერილი იყო ყველა მეომარი ქვეყნის ხალხებისა და მთავრობებისადმი მიმართვის სახით. „მუშათა და გლეხთა მთავრობამ, — ნათქვამი იყო დეკრეტში, — რომელიც შექმნა 6—7 ნოემბრის (24—25 ოქტომბრის) რევოლუციამ და რომელიც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ეყრდნობა, წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ხალხს და მათ მთავრობებს — დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ“. ამრიგად, საბჭოთა მთავრობამ პირველმა აღმართა იმპერიალისტური ომების საშინელებისაგან კაცობრიობის ხსნისათვის, სამართლიანი, დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლის დროშა, ამით სამუდამოდ იხსნა მშრომელი მასები მძიმე ბეგარისაგან — დაეღვარა სისხლი რუსეთისა და უცხოეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტმა ზავის შესახებ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს მშრომელ მასებში და კერძოდ ჯარის ნაწილებში. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში გაიმართა საერთო-საგარნიზონო მიტინგი. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ვაღიარებთ, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას შეუძლია მიანიჭოს ქვეყანას საყოველთაო მშვიდობა, მისცეს პური მშიერთ, მიწა — გლეხებს, თავისუფლება — ყველას და შეუბრალებლად ჩაახშოს ყოველგვარი კონტრრევოლუციური ცდა“[1].

ბოლშევიკებმა ფართო მუშაობა გაშალეს ჯარის ნაწილებში. ჯარის ნაწილების ბოლშევიკების მხარეზე გადაყვანას ხელი შეუწყო მენშევიკური მთავრობის მიერ ბრესტის საზავო ხელშეკრულების უარყოფამ. მათი მიზანი იყო ჩაეშალათ ზავი,

---

[1] „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917, № 206.

პროვოკაციულად გამოეწვიათ გერმანელების შემოტევა და საფრთხეში ჩაეგდოთ საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკებმა გააჩაღეს ცილისწამება ბოლშევიკურ პარტიასა და მის ბელადებზე. მენშევიკების ამ დემაგოგიის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებმა. ქვეითი პოლკის კომიტეტმა კავკასიის არმიის სახელით, კავკასიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი მიმართვა გაუგზავნა: „არამზადები ხართ თქვენ ყველანი, სამხარეო საბჭოს წევრები, იმისათვის, რომ თქვენ უარყოფთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენთვის მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებენ. რატომ დასცინით თქვენ ლენინს, თუ თქვენ მართლაც საბჭოთა საკეთილდღეოდ ზრუნავთ, რატომ არ ფიქრობდით დღევანდლამდე დროებით ზავის ჩამოგდებაზე და რატომ ცდილობდით განგეგრძოთ ომი. ახლა, მაშასადამე თქვენ გულს გიმღვრევთ ის გარემოება, რომ ლენინმა დროებითი ზავი რაკი ჩამოაგდო, თქვენ წააგეთ საბჭოში, მაშასადამე თქვენთვის ზავიც ზედმეტია... ეს ლენინია მეგობარი და მხსნელი დედამიწის ზურგზე, რომელიც ცდილობს იხსნას კაცობრიობის სიცოცხლე. ჩვენ არც კი ვიცით, როგორ დავაფასოთ იგი მისი კეთილი საქმისათვის — ზავისათვის, და თქვენ კი არ გსურთ ეს ზავი. თუ არ იქნება ზავი ახალი წლისათვის, ჩვენ თვითონ მივატოვებთ პოზიციას და წავალთ, ხოლო გზაში პირველს თქვენ ამოგხოცავთ და სათანადო მიეზღვება ყველას, რომლებიც ლენინის წინააღმდეგ ილაშქრებენ. მიიღეთ ეს ცნობად. კარგად დაიმახსოვრეთ და ერთ წუთსაც ნუღარ დააყოვნებთ, შეუერთდით ლენინს, ჩვენთვის ეს კარგი იქნება და თქვენც იცხოვრებთ ამ ქვეყნად, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოგხოცავთ“[1].

ამ მიმართვაში ქვეითი პოლკის ჯარისკაცებმა ამხილეს ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს კავშირი კონტრრევოლუციურ მენშევიკურ-ესერულ მთავრობასთან და ერთსულოვნად მოითხოვეს ზავის დადება. 1918 წლის 22 თებერვალს ფოთის ჯარისკაცთა მიტინგზე მოთხოვნილება წამოაყენეს:

---

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 21, საქ. 187, ფ. 181.

ამიერკავკასია აღიარონ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების რესპუბლიკად; შეიქმნას ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე; სრული ნდობა გამოეცხადოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას; დასჯილიყონ ალექსანდრეს ბაღში მშრომელთა მიტინგის დახვრეტაში დამნაშავენი; სასწრაფოდ გაანთავისუფლონ პატიმრები; აღდგენილ იქნას ბოლშევიკური პრესა („ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი", „ბანვორი კრიკის" და სხვათა); ჩატარდეს საბჭოების ახალი არჩევნები, როგორც ფოთში, ისე სხვა ქალაქებში.

ასეთივე რეზოლუციები იქნა მიღებული ზუგდიდის, დუშეთისა და სხვა მაზრების ჯარისკაცთა კრებებზე.

დუშეთის მაზრაში იყო მსოფლიო ომის მონაწილე მრავალი ბოლშევიკი ჯარისკაცი. მათ შორის აღსანიშნავია გაბო მწითური, რომელიც ხელმძღვანელობდა ბაზალეთის თემის წითელ რაზმს. 1918 წლის 2 მარტს გ. მწითურის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ბაზალეთის თემის მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის მიერ დადებული ბრესტის ზავი და უარი განაცხადეს მენშევიკური მთავრობის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციაზე. ჯარისკაცების უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზე იყო გადასული. მუშებისა და გლეხების ბოლშევიკების მხარეზე გადასვლაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა ლოზუნგებმა „ძირს ომი!", „გაუმარჯოს ზავს!", „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!", „მიწა გლეხებს!".

საქართველოს ნაციონალისტურმა მთავრობამ უარი განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ცნობაზე, ამით საქართველო და მთელი ამიერკავკასია ოსმალეთის ჯარების სათარეშო მოედნად გადააქციეს. ბოლშევიკები დაუნდობლად ამხილებდნენ მენშევიკების ამ გამცემლურ მოქმედებას და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღსადგენად.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულმა დეკრეტმა მიწის შესახებ, წარმატებით გადაწყვიტა მშრომელი გლეხობის დიდი ხნის ოცნება. ამ დეკრეტმა იხსნა გლეხობა მემამულის

კაბალისაგან. მიწის დეკრეტის თანახმად მიწის კერძო საკუთრება სამუდამოდ გაუქმდა და ის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. გლეხებმა უფასოდ მიიღეს 150 მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა და განთავისუფლდნენ მემამულეთა ყოველწლიური გადასახადისაგან. არც ერთ სხვა კლასს, გარდა მუშათა კლასისა, არც ერთ სხვა პარტიას, გარდა კომუნისტური პარტიისა, არ შეეძლო ასე სრულად უზრუნველეყო გლეხობის ასეთი დიდი გამარჯვება. ამრიგად, მიწის დეკრეტის შედეგად გლეხობის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მიწისათვის წარმატებით დამთავრდა.

ასაბუთებდა რა მიწის დეკრეტის მნიშვნელობას, ლენინმა განაცხადა:

„უმთავრესია ის, რომ გლეხობა მტკიცედ დარწმუნდეს, რომ სოფლად მემამულეები აღარ არიან. რომ დაე თვითონ გლეხებმა გადაწყვიტონ ყველა საკითხი, დაე თვითონ მოაწყონ თავისი ცხოვრება“.

მაგრამ ეს დეკრეტი გლეხობას ანთავისუფლებდა მხოლოდ რუსეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. საქართველოში გლეხთა მდგომარეობა კვლავ უცვლელი დარჩა. ბოლშევიკური პარტია დაუღალავ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული მიწის დეკრეტის გლეხთა მასებში გასავრცელებლად, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა სოფლად.

საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციური სულისკვეთების კიდევ უფრო გაღვივებაზე დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა მთავრობის 1917 წლის 15 (2) ნოემბრის დადგენილებამ ეროვნულ საკითხზე, რომელიც გამოქვეყნდა „რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაციის“ სახელწოდებით, სადაც აღიარებული იყო: 1) რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა; 2) რუსეთის ხალხთა თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება; 3) ყოველგვარი ეროვნული პრივილეგიისა და შეზღუდვის გაუქმება; 4) რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირე-

სობათა თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა.

ამრიგად, დეკლარაციამ აღიარა რუსეთის ხალხთა მტკიცე კავშირი. დეკლარაციის საფუძველზე გაუქმდა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრა და შევიწროება. ყველა ეროვნებას, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, უფლება მიეცა თავისუფალი განვითარებისა. საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ამოცანად დეკლარაცია აცხადებდა ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულ ლიკვიდაციას და სოციალიზმისათვის ბრძოლას.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა იყო ამ დროს საქართველოში. საქართველოს დიდმნიშვნელოვანი თავისებურება იყო ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე. საქართველოს მოსახლეობის რიცხვი უდრიდა 2.401.130. აქედან ქართველები იყო 67,2 პროცენტი, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნების მოსახლეობა. ეს ეროვნული სიჭრელე ფრიად რთულ ვითარებას ქმნიდა ეროვნებათა ურთიერთობის სფეროში და ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების საქმიანობას— შეესუსტებინათ პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობა, მისი ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ეროვნული საკითხის მოგვარებაზე. მენშევიკურმა პარტიამ დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთიანი მოქმედებით ამიერკავკასია ძმათა შორის სისხლის ღვრის არენად გადააქციეს. სწორედ ამ პარტიების ბატონობის პერიოდში გამწვავდა ერებს შორის ურთიერთობა ამიერკავკასიაში და შეაფერხა სოციალისტური რევოლუციისათვის რევოლუციური პოლიტიკური არმიის შექმნა, რის შედეგადაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში დაიგვიანა. ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ თვალი აუხილა ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველ ხანებში ბრმად მიყვებოდა ამიერკავკასიის ნაციონალისტურ პარტიებსა და მთავრობებს.

ბოლშევიკური პარტიის დაუღალავი მუშაობის შედეგად

საქართველოს მშრომელებმა კარგად შეიგნეს ის, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებითა და საბჭოთა რუსეთის დახმარებით იყო შესაძლებელი ეროვნული თავისუფლების მოპოვება.

საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრძოლას, რომელიც ხშირად შეიარაღებული აჯანყების ხასიათს იღებდა, ბოლშევიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. ამ ბრძოლის მთავარი ლოზუნგები იყო: საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ეროვნული საკითხის და აგრარული საკითხის გადაჭრა, საბჭოთა რუსეთთან დარღვეული კავშირის აღდგენა. საქართველოში ხალხის მასებზე ბოლშევიკების გავლენის ზრდასთან ერთად კონტრრევოლუციური ძალების კონსოლიდაციაც ხდებოდა. აქედან გამომდინარე იყო, რომ ბოლშევიკებს ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, არამედ მათი დამცველი უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგაც, რომლებიც დათარეშობდნენ ჩვენს ქვეყანაში.

ითვალისწინებდა რა კავკასიელი ბოლშევიკების მუშაობის მძიმე პირობებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან ირგვლივ მათ ღალატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს ჰკრავდნენ გერმანელ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით“[1].

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ბოლშევიკური ორგანიზაციები დაუღალავ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელი მასების დასარაზმავად, რის შედეგად მუშათა საგაფიცვო მოძრაობამ და გლეხთა აჯანყებებმა ფართო ხასიათი მიიღო. კავკასიის საოლქო კომიტეტი, მუშებისა და გლეხებისადმი მიმართვაში, ნიღაბს ხდიდა მენშევიკური მთავრობის მოქმედებას. „მენშევიკების პატივცემული ბელადები, — წერია მიმართვაში, — საქართველოში განაგრძობენ მუშების, გლეხების, ჯარისკაცების უმანკო სისხლის ღვრას. დახვრეტა, ჩაკვლა, ციხეებში ჩამწყვდევა, სოციალიზმისათვის გზების დაკეტვა, რევოლუციუ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 7.

რი პოლიტიკის აზრის ჩახშობა, მუშათა პროფესიონალური მოძრაობის დაფრთხობა, — აი ის გზა, რომლითაც მენშევიკები მიდიან „დემოკრატიული“ სოციალიზმისაკენ... ფლიდი და მატყუარა მთავრობა საქართველოსი თავის ძალაუფლება ნიკოლოზ მეორესავით, სიცრუით, მოტყუებით, ცილისწამებით და მშრომელი ხალხის ხოცვა-ყლეტით, რომ შეუნარჩუნებია..

ყველამ იცის სიტყვიერი ბრძანება რამიშვილისა სახალხო გვარდიელების მიმართ — „„სძარცვეთ, აიკლეთ, გაანადგურეთ ყველაფერი და შემდეგ ბოლშევიკებს დავაბრალოთ“. მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი შეიგნებს რამდენად დამღუპველი და საბედისწეროა მისთვის ასეთი ნაბიჯები გზააბნეული და სასოწარკვეთილი ქართველი მინისტრებისა, დაამხობს მათ მუხანათურ მთავრობას, მტკიცე ნაბიჯით გაეშურება წითელ რუსეთთან შესახვედრად და მაგრად ჩამოართმევს რუს პროლეტარს ჩვენთან განსათავისუფლებლად გამოწვდილ ხელს“[1].

როგორც ცნობილია მენშევიკების აგრარული პოლიტიკა არ ცვლიდა მიწათმფლობელობის ძველ ფორმას. გლეხებისათვის აბსოლუტური მნიშვნელობა არ ჰქონდა — მემამულისაგან აიღებდნენ მიწას თუ მუნიციპალიტეტისაგან.

ერთადერთი პარტია, რომელიც გაბედულად გამოვიდა აგრარული საკითხის სწორად გადასაჭრელად, ბოლშევიკური პარტია იყო. ბოლშევიკებმა სასტიკად გაილაშქრეს მენშევიკებისა და ესერების ოპორტუნისტულ დადგენილებათა წინააღმდეგ, რომელნიც მოითხოვდნენ მიწის საკითხის გადადებას დამფუძნებელ კრებამდე. ამის საპასუხოდ ბოლშევიკებმა მოუწოდეს გლეხებს არ დაეცადათ დამფუძნებელი კრებისათვის, შეექმნათ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, მათი საშუალებით ხელში ჩაეგდოთ მემამულეთა მიწები და მათი დამუშავება მოეწყო ორგანიზებული წესით.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოჰყო აქტიური ამხანაგები და მიიმაგრა მაზრებს გლეხობაში რევოლუციური მუშაობის გასაშლელად. იმ მაზრათა შორის, სადაც ფართოდ

---

[1] საქ. სსრ ცსია ბოლშევიკური ორგანიზაციების ფონდი 11, ს, 307, ფ. 24.

გაიშალა გლეხთა აჯანყებანი, დუშეთის მაზრას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. დუშეთის მაზრა როგორც თბილისთან, ისე ჩრდილოეთ კავკასიასთან ახლო იყო. ჩრდილოეთ კავკასიაში კი საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. თერგის ოლქის კომისართა საბჭოს თავმჯდომარე იყო ძველი რევოლუციონერი ნოე ბუაჩიძე, რომელთანაც დუშეთის პარტიულ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა დამყარებული. თბილისის კომიტეტმა, ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში, დუშეთის მაზრაში გლეხთა აჯანყების მოსამზადებლად მიამაგრა თედო შუშიაშვილი, თომა ჩუბინიძე და მიხა პაპუნაშვილი. მაისის თვეში მოწვეულ იქნა დუშეთის მაზრაში საპასუხისმგებლო პოსტზე მომუშავე კომუნისტების თათბირი. თათბირს დაესწრნენ მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე, რომლებმაც სათანადო მითითება მისცეს ამხანაგებს მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეში. ასეთი თათბირები ჩატარებულ იქნა აგრეთვე სხვა მაზრებშიაც.

იმის გამო, რომ მენშევიკურმა მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ (დაპატიმრება, გადასახლება და სხვ.), რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ივნისის დამდეგს გადავიდა ვლადიკავკაზში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა და მუშაობის გაშლა შეიძლებოდა. თბილისში დატოვებულ იქნა თბილისის კომიტეტის ბიურო მ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით. სამხარეო კომიტეტის მუშაობას დიდ დახმარებას უწევდა ორჯონიკიძე, რომელიც იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა. სამხარეო კომიტეტი საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს შეძლებისდაგვარად ამარაგებდა სახსრებითა და იარაღით.

1918 წლის გაზაფხულიდან საქართველოში მასობრივი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა დაიწყო პროლეტარიატის გაფიცვებით. პროლეტარიატის ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა კომუნისტური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტი, რომელიც იმ დროს არალეგალურად მუშაობდა: მუშები მოითხოვდნენ მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, კოლექტიური ხელშეკრულების დადებას და ადამიანური პირობების შექმნას. მუშათა საგაფიცვო მოძრაობასთან ერთად მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებ-



თომა ჩუბინიძე



ნასყიდა ყაველაძე

ორმელიც მიმართული იყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. გლეხებმა უკვე შეიგნეს, რომ საბჭოთა რუსეთთან კავშირის დამყარებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გარეშე შეუძლებელი იყო მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. დუშეთის მაზრის გლეხობის დარაზმვაში დიდი როლი შეასრულა თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნებულმა რევოლუციონერებმა თედო შუშიაშვილმა, მიხა პაპუნაშვილმა და აგრეთვე ფრონტიდან დაბრუნებულმა რევოლუციურად განწყობილმა ჯარისკაცებმა.

თბილისის პარტიული კომიტეტის დავალებით თედო შუშიაშვილმა თბილისში ყვირილის ქუჩაზე სახლი № 7-ში გახსნა ფოტოგრაფია, რომელიც გადაიქცა რევოლუციური მუშაობის კერად. მენშევიკური მთავრობის თვალის ასახვევად თედომ ყვირილისა და ბატარეის ქუჩის კუთხეში გახსნა ხილის საწყობი, ზაქათალის კოოპერატივის სახელზე. საწყობის ქვეშ მოაწყო სარდაფი, სადაც ჩასვლა შეიძლებოდა იატაკიდან, რომელიც იხსნებოდა საიდუმლოდ გამართული ხრახნების საშუალებით. სარდაფში მოწყობილ იქნა იარაღის საიდუმლო საწყობი. იარაღს იძენდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ჯარისკაცების საშუალებით, ხოლო ნაწილს ყიდულობდნენ ფულით. იარაღის მიღება მინდობილი ჰქონდა მიხა პაპუნაშვილს. იარაღის მიღება შემდეგნაირად ხდებოდა: წინასწარ იცოდნენ, როდის უნდა მოეტანათ ხილი; სწორედ ამ დროს ჯარისკაცებს მანქანით მოჰქონდათ იარაღი ისეთივე ყუთებით, როგორიც ხილის ყუთი იყო. ხილისა და იარაღის ყუთების დაცლა ერთსა და იმავე დროს ხდებოდა. ხილის საწყობში სამუშაოდ ბაზალეთიდან ჩამოიყვანეს რევოლუციონერი ქალები ტასო და პელო შუშიაშვილები. იარაღის განაწილება მაზრებსა და მუშათა ორგანიზაციებზე დაევალა თომა ჩუბინიძეს, თედო შუშიაშვილსა და მიხა პაპუნაშვილს. დუშეთის მაზრის გლეხობის შეიარაღების მიზნით თედომ თავის დას პელაგია შუშიაშვილს — შუბლაძისას (ამჟამად პერსონალური პენსიონერი) დაავალა გაეხსნა საფეიქრო სახელოსნო სოფელ ბაზალეთში. პელაგიამ გახსნა სახელოსნო, სადაც 90 ქალი მუშაობდა. სახელოსნოს საჭიროებისათვის თბილისიდან ღებულობდნენ

ძაფსა და საქსოვ მანქანებს. მანქანებსა და ძაფთან ერთად ლაგიას ურმით გადაჰქონდა იარაღი, მეურმედ ჰყავდათ რევოლუციონერი გლეხები — მუსაშვილი და ხეხელაშვილი. მცხეთაში ჩხრეკდნენ ურმებს, მაგრამ, როგორც კი დაინახავდნენ ზედა ყუთებში ძაფსა და საქსოვ მანქანებს, ქვედა ყუთებს აღარ სინჯავდნენ. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ხშირად ტვირთი მიჰქონდათ: ავჭალა-საგურამო-ჭოპორტის - გზით არაგვის გასწვრივ. იარაღის საწყობი მოთავსებული იყო ბაზალეთში, ლადო ლალიაშვილის საბძელში, საიდანაც მას ანაწილებდნენ დუშეთის მაზრის უღარიბეს გლეხებზე.

მენშევიკურ მთავრობას მხედველობიდან არ გამოპარვია ბოლშევიკების მუშაობა იარაღით მომარაგების საქმეში და დაიწყო იარაღის საწყობების გააფთრებული ძებნა. მათ ეჭვი მიიტანეს შუშიაშვილის ფოტოგრაფიაზე, როგორც რევოლუციური მუშაობის ერთ-ერთ ობიექტზე. თავის მხრივ ბოლშევიკებიც ახერხებდნენ საფრთხის თავიდან აცილებას, ყოველგვარ ზომებს იღებდნენ იარაღის გადასარჩენად. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე ძველი პარტიზანელი ვ. ბზიკაძე (მუშაობდა თედოსთან ერთად ფოტოგრაფიაში) მოგვითხრობს:

„დუშეთის აჯანყების დაწყებასთან დაკავშირებით თედო წავიდა დუშეთში და დაიბარა, იარაღს მოიტანენ და კარგად მოუარეო. მართლაც, თედოს წასვლის მეორე დღეს სამხედრო პირებმა იწყეს იარაღის მოტანა, მეტი ნაწილი ბომბები იყო. იარაღი აშკარად ეყარა ფოტოგრაფიაში მეორე სართულზე. მესამე დღეს ჩემთან მოვიდა უცნობი პირი და მითხრა: უფრთხილდი, გაჩხრეკას გიპირებენო. მე ეს ვაცნობე ჩვენი ორგანიზაციის ძველ წევრს გიგო ლელაშვილს. იმავე საღამოს, როგორც კი შებნელდა, მოვიდა გ. ლელაშვილი რკინიგზელ ციმაკურიძესთან ერთად და დაიწყო იარაღის გაზიდვა, რაც დამთავრდა დაახლოებით ღამის სამ საათზე. ნახევარი საათის შემდეგ ფოტოგრაფიას თავს დაესხნენ მენშევიკი გვარდიელები. დიდხანს აწარმოებდნენ ჩხრეკას, ვერაფერი იპოვეს და წავიდნენ... მეორე დღეს ალყა შემოარტყეს ხილის საწყობს, როცა ვერაფერი იპოვეს, საწყობი დალუქეს.

1917 წლის ივნისის დასაწყისში თ. შუშიაშვილი, თავის

სიძესთან გ. შუბლაძესთან[1] ერთად ჩავიდა დუშეთის მაზრაში და თან ჩაიტანა დიდძალი პროკლამაციები, რომლებიც ტასო ლალიაშვილი-ჩიტაურის მეშვეობით მასობრივად იქნა გავრცელებული: ბაზალეთში, ჭილურტში, საკრამულში, გრემისხევსა და სხვა სოფლებში. შუშიაშვილის ხელმძღვანელობით მთელ რიგ სოფლებში ჩატარებულ იქნა არალეგალური კრებები, სადაც გლეხობას გააცნეს ვ. ი. ლენინის მითითება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის აუცილებლობის შესახებ. ამასთან ერთად, გლეხებს აუხსნეს მენშევიკ-ესერთა კონტრრევოლუციური პოლიტიკის არსი.

თბილისის კომიტეტის დავალებით სამაზრო რევოლუციურ შტაბს აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, იმის აღნიშვნით, თუ რა სამხედრო მომზადება ჰქონდათ მათ. ამავე დროს ხდებოდა გლეხთა რაზმების შედგენა და მათი სამხედრო გაწვრთვნა. ამასთანავე, სოფლებში გამოყოფილ იქნა აქტივი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

სოფ. ბაზალეთიდან: ლექსო ვერძეული, ლადო და გრიგოლ ლალიაშვილები, ნიკა ცქიმანაური, იოსებ (შოშია) ლალიაშვილი (ანუ გოთას ბიჭი), პელო შუშიაშვილი, ილო და გაბო ვერძეულები, პაელე ლალიაშვილი, ვერა და მაშო ნათელაშვილები, ტასო ლალიაშვილი-ჩიტაური და სხვ; სოფელ მჭადიჯვრიდან: გრიგოლ ყუაშვილი, სიმონ დინუაშვილი, ნიკა ბალაშვილი, ნიკა ტარიელაშვილი და ნიკა ფოთოლაშვილი; სოფელ ჭილურტიდან: გიორგი ფეიქრიშვილი, ალექსი ოსეფაშვილი, ილო ხოსრუაშვილი, იოსებ არტემაშვილი და გრიგოლ ილურიძე; სოფ. შუახევიდან: ალექსი ბედოშვილი; სოფ. ებნისიდან: კოფია მჭედლიშვილი, შიო მჭედლიშვილი, სანდრო კბილცეცხლაშვილი; სოფ. მილახვრიანთკარიდან: ნასყიდა ყაველაძე, ვანო ეძგერაძე და სარქის ასლამაზოვი; სოფ. კარიაულთკარიდან:

---

[1] გიორგი შუბლაძე იყო ძველი რევოლუციონერი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, იყო პერსონალური პენსიონერი, გარდაიცვალა 1958 წელს.

შაქრო მანგიაშვილი და ტიტო კარიაული; სოფ. არაგვისპირიდან: ნიკა დათუაშვილი, გრიგოლ და ტუხა კახურაშვილები; სოფ. საკრამულიდან: პავლე ჩხუტიაშვილი, ტუხა ჩხუტიაშვილი, კუნწულა ნარიმანიძე, შაქრო აბრამიშვილი, ფიდო აგაშენაშვილი, ილო მელაძე და სხვ; სოფ. მლაშედან: სერგო ქერდიყაშვილი, გოგლა არაჩაშვილი, შოშია ლალიაშვილი და ილიკო თოთიაური; ძველ საკრამულიდან: ლევან ბერბერაშვილი და გიორგი ბერბერაშვილი; სოფ. ჩრდილიანთკარიდან: სანდრო გუჯარიძე და გიგო ხულელიძე; სოფ. საშაბუროდან: გიორგი მოლოდინი და ვანო დავითური; სოფ. ტონჩიდან: იოსებ ლაგაზაშვილი; სოფ. ეთვალისიდან: სანდრო უნდილაშვილი, სოფ. ანანურიდან: ვანო პაპკიაური, ტარიელ ნათელაშვილი, იაშა (იაკობ) ზოტიკაშვილი, გიორგი ანდრიაშვილი, გიორგი ზანდუკელი, ბაგრატ ფრიდონიშვილი, ვანო ზანდუკელი, ტიტო ბრაჭული, პავლე ინაშვილი და სხვ.; სოფ. წილკანიდან: სინკა დიაკვნიშვილი, ვანო ტოპრიკაშვილი და სერგო შალიკაშვილი; სოფ. ახალგორიდან: ლექსო მაჭარაშვილი, ლექსო მორბელაძე, ვანო დურგლიშვილი და გიორგი ჭოცოშვილი; სოფ. ძალისიდან: ფედო ფხაკაძე, გრიგოლ წიკლაური, ბეწინა რუბაშვილი, შაქრო ქავთარაძე, პავლე ცოციაშვილი, სოლომონ მოსირული და სხვ.; სოფ. არღუნიდან: კოტე ჯიქური, სერგო ჯანგირაშვილი და სხვ. სოფ. ბოლიდან: ბაბალე სოლომონის ასული პაპუნაშვილი, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა 1917 წლის მარტში და თავის ქმართან, მიხა პაპუნაშვილთან ერთად, განაგრძო ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მას ჰქონდა მინდობილი რაიონის შენახვა, პროკლამაციების გავრცელება, აგიტაციის წარმოება გლეხობაში. ბაბალე პაპუნაშვილი იარაღით ხელში დარაჯობდა ბოლშევიკების არალეგალურ კრებებს; რომლებიც ხშირად იმართებოდა დუშეთის მაზრის სოფლებში. პირველი არალეგალური კრება შედგა აპრილის პირველ რიცხვებში სოფ. წილკანში ტოპრიკაშვილის სახლში; მეორე — სოფ. ჭილურტში, იოსებ არტემაშვილის სახლში; მესამე — სანდრო ლალიაშვილის ბინაში; მეოთხე — დუშეთში ია შარა-

ბიძის სახლში, მაისის შუა რიცხვებში; მეხუთე კრება ჩატარდა ივნისის შუა რიცხვებში, სოფელ მილახვრიანთკარში, ნასყიდა ყაველაძის სარდაფში. კრებებს ტარდებოდა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხანაგების მონაწილეობით. კრებებზე იხილავდნენ აჯანყების მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის შედეგად გლეხთა მასებში განმტკიცდა რწმენა, რომ საბჭოთა რუსეთთან კავშირის დამყარებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით შეიძლებოდა მათი ხსნა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან.

საქართველოს მშრომელ მასებს შერჩათ იმის საღი ალღო, რომ არ აჰყოლოდნენ ნაციონალისტ-შოვინისტებს და მტკიცედ შეენარჩუნებინათ მეგობრული განწყობილება რუსი ხალხისადმი.

ბოლშევიკები გულმოდგინედ ასწავლიდნენ მშრომელებს. რომ საჭიროა არა კავშირი და ძმობა შინაურ ბურჟუაზიასა და მემამულეებთან, არამედ მათი ბატონობის სამუდამოდ დამხობა. გლეხებმა დაიწყეს მემამულეთა მიწების ძალით დატაცება. სოფ. წილკანში გლეხებმა თვითნებურად მოხსნეს მემამულეთა მიწები. წილკანის გლეხებს შეუერთდნენ მუხრანის გლეხებიც. ადგილობრივი მთავრობა უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა გლეხების მიერ მიწების დატაცება. სოფ. მჭადიჯვრის გლეხებმა წინადადება მისცეს მემამულე მუხრანსკის დაეთხოვა ყველა მუშა და დაეტოვებინა მხოლოდ ერთი კაცი მამულის დასაცავად. ამავე დროს დადგენილება მიიღეს, რათა დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ მემამულე ერისთავის მთელი მიწები და ბაღები, რომლებიც ოდესმე გლეხებს ეკუთვნოდათ. ამავე მემამულეებს გლეხებმა ძალით ჩამოართვეს ათასი ჰექტარი მიწა. მემამულეთა მიწების დატაცება გრძელდებოდა დუშეთის მაზრის სხვა სოფლებშიაც.

გლეხთა აგრარული მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა სხვა მაზრებშიც, გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" წერდა:

„რაც დრო გადის, მით უფრო მეტად იკავებენ და ეპატრონებიან გლეხები აღალართა, მემამულეთა, საუფლისწულო და საიჯარო მიწებს. ჯერჯერობით საძოვარ და სათიბ ნაკვეთებს

ეპატრონებიან, ხოლო ზოგჯერ სახნავ მიწებსაც ეუფლებიან. ამ მიწებს ეპატრონებიან ამავე სოფლის ანდა რამდენიმე სოფლის ყველა მცხოვრებნი ერთად და არა ცალკე პიროვნებანი. ადმინისტრაციულ წრეებსა და მემამულეებს შორის ხშირად ავრცელებენ ხმებს, თითქოს მიწების დაპატრონებას კერძო პირნი ხელმძღვანელობდნენ და ამიტომ ყოველნაირად ცდილობენ „კანონიერ“ პასუხისგებაში მისცენ ყველა ეს „ბნელი“ პიროვნებანი. აქ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება ბნელ პიროვნებათა შესახებ, რადგან გლეხებს მიწები სრულიად არ გააჩნიათ“[1].

მენშევიკური მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას იღებდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, მაგრამ მოძრაობა არ ნელდებოდა. ნ. ჟორდანია მშრომელთა მოთხოვნებსა და მისწრაფებებს ახასიათებდა, როგორც რეაქციულს. სინამდვილეში კი მუშები და გლეხები რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი და მოითხოვდნენ, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ ძალაუფლებას. მენშევიკურ მთავრობას მუშებისა და გლეხების ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეეძლო, რადგან იგი ქედს იხრიდა მემამულე-კაპიტალისტების წინაშე, სასტიკად ებრძოდა მშრომელთა ყოველგვარ სამართლიან მისწრაფებებს.

მშრომელი მასები კარგად ხედავდნენ, თუ როგორ იხრწნებოდა მენშევიკების პარტია, როგორ უფრო ღრმად ეშვებოდა ის ოპორტუნიზმის ჭაობში. მშრომელი მასების მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ფაბრიკა-ქარხნები არ მუშაობდა. რკინიგზის ტრანსპორტი მოიშალა, სოფლის მეურნეობა პარტახტდებოდა, სურსათ-სანოვაგე გამოილია. ქვეყანაში შექმნილ აუტანელ მდგომარეობას მენშევიკური მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანიაც კი ვერ მალავდა. „რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, — წერდა იგი, — რომ ეკონომიურად ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ... მაგრამ ახლა ეს ჩვენი აზრით უკვე გამართლებულია. ახლა ყოველი ჩვენგანი

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917., № 149.

მთელი სისწრაფით განიცდის თავის თავზე მწარე სინამდვილეს, ჩვენ უკვე მივედით კატასტროფამდე"[1].

საქართველოში შექმნილ ასეთ მდგომარეობას, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ბოლშევიკები. რაც უფრო იზრდებოდა მშრომელთა უკმაყოფილება არსებული მთავრობისადმი, მით უფრო მასობრივი ხდებოდა მუშათა და გლეხთა მღელვარებანი და ეს უკანასკნელი გამოხატულებას პოულობდა მენშევიკური მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციურ გამოსვლებსა და აჯანყებებში.

## დუშეთის მაზრის გლეხთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

1918 წლის დასაწყისში საქართველოს მთელ რიგ მაზრებში იფეთქა მენშევიკური ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყებებმა. პირველად ასეთი აჯანყება დაიწყო გორის მაზრაში, სადაც თავადაზნაურობა მრავალრიცხოვანი და მძლავრი იყო, ხოლო მშრომელი გლეხობა — უფრო მეტად შევიწროებული. გლეხები მოითხოვდნენ მემამულეთა მიწების კონფისკაციას და ამ მიწების გადაცემას გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში. აჯანყებული გლეხები აღარ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ მთავრობას, თავს ესხმოდნენ მემამულეთა სახლკარს, ხოცავდნენ მემამულეებს და იტაცებდნენ მათ მიწებს. აჯანყებულ გლეხობას მხარი დაუჭირეს ქ. გორში მყოფმა ქართული პოლკის ჯარისკაცებმა, რომლებმაც შეიარაღებული გამოსვლები მოაწყვეს კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ. გლეხთა მასობრივი მოძრაობის მძლავრმა გაქანებამ დიდად შეაშფოთა მენშევიკური მთავრობა. დაიწყო სასტიკი რეპრესიები აჯანყებულთა წინააღმდეგ, რაც აჯანყებულთა მეთაურების დახვრეტაში გამოიხატა. გორის მაზრის გლეხთა აჯანყებას თან მოჰყვა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა აჯანყება. მენშევიკური მთავრობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ნაციო-

[1] გაზ. „ერთობა", 1918, № 23.

ნალური თვითგამორკვევის ყოველგვარ ცდას. თავის მხრივ ჩაგრულ ერთა მუშები და გლეხები მოითხოვდნენ ნაციონალური უთანასწორობის ლიკვიდაციას. გლეხთა აჯანყებანი მოედო დასავლეთ საქართველოსაც. 1918 წლის ივნის-ივლისში საქართველოს თითქმის ნახევარი აჯანყების ალში იყო გახვეული. გლეხთა ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებდა ზუგდიდის, სენაკის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, რომელიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, თანდათან ორგანიზებულ ხასიათს იღებდა.

„საქართველოს თითქმის ნახევარი გახვეულია სახალხო აჯანყებისა და ანარქიის ცეცხლის ალში, — წერდა გაზ. „სოციალ-დემოკრატი", — დუშეთის მაზრის გლეხობამ იარაღი აიღო ხელში და აქტიურად გამოვიდა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. საქართველოს სამხედრო გზაზე, დარიალის ხეობის მახლობლად, მთავრობის ჯარების რაზმი გარშემორტყმულია აჯანყებულთა მიერ და არავინ იცის, რა მოელის ამ რაზმს. გორის მაზრაში მეტისმეტი მღელვარებაა. ოსეთში დიდი ამბები მწიფდება და დღითიდღე მოსალოდნელია შეიარაღებული მასების გამოსვლა. თიანეთის მაზრაში მღელვარება ძლიერდება და სახიფათო სახეს ღებულობს... გაზეთებში მოხვედრილი ცნობები ლაპარაკობენ რაღაც „არეულობის" შესახებ მანგლისისა და თეთრიწყაროს რაიონებში; როგორც ჩანს, იქ საწვავი მასალა გროვდება და საკმარისია მცირე ნაპერწკალი, რომ ხანძარმა იფეთქოს. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ქუთაისის გუბერნიაში. რაჭის მაზრაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებებს. ასეთივე შეტაკებები იყო ლეჩხუმისა და ზუგდიდის მაზრებშიაც. სერიოზული ამბები დატრიალდა საჩხერის ოლქში, მარგანეცის მრეწველობის რაიონში. აქ შეიარაღებული სოფლები ბრძოლაში შეებნენ მთავრობის ჯარებს, საჭირო შეიქმნა არტილერიის ამუშავება"[1]. მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყებული მაზ-

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", 1918, № 6.

ბაბალე პაპუნაშვილი

პავლი ჩხუტიაშვილი

რები შინაგან ფრონტად გამოაცხადა და აჯანყების რაიონებში დიდი სამხედრო რაზმები გაგზავნა.

1918 წელს გლეხთა ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა დუშეთის მაზრაში. დუშეთის მაზრის გლეხობა, რომელიც ძველი დროიდანვე იყო შევიწროებული, უმიწობით დაბეჩავებული, მემამულე თავადების თავგასულობით და ბატონობით, პოლიტიკური უუფლებობით, აუტანელი გადასახადებით, იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ ჩამორთმევისათვის გლეხების სასარგებლოდ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დუშეთის მაზრის გლეხობას ადრეც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, რომელიც გაწყვეტილ იქნა მენშევიკების ბატონობის პერიოდში. დუშეთის გლეხობა ცდილობდა ამ კავშირის აღდგენას. რაც დრო გადიოდა, გლეხთა მღელვარება თანდათან ძლიერდებოდა. დუშეთის მაზრაში ამ დროს იყო პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული მრავალი ჯარისკაცი (გ. მწითური, ა. მაჭარაშვილი, გ. ანდრიაშვილი, გ. მოლოდინი, გ. ლალიაშვილი, ვ. ვერძეული, ნ. ცქიმანაური, ს. ქერდიყაშვილი, ლ. ლალიაშვილი და სხვ.), რომლებიც ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილნი. „ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, — წერდა ი. ბ. სტალინი, — სოფლებს მოსდეს აგრარული რევოლუცია. ცეცხლში გაეხვია მუსლიმან და ქართველ მემამულეთა სახლკარი. ბატონყმური ნაშთების საყრდენებზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს „გაბოლშევიკებულმა“ ჯარისკაცმა გლეხებმა. ცხადია, ამიერკავკასიის კომისარიატის ფუჭი დაპირებანი გლეხებისათვის მიწის გადაცემის შესახებ ვეღარ დააკმაყოფილებდნენ გლეხებს, რომლებიც აგრარულმა ტალღამ მოიცვა. კომისარიატისაგან საქმეს მოითხოვდნენ, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურს“[1].

ჯარისკაცთა სოფლად დაბრუნებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია მენშევიკურ მთავრობაში. ქ. თბილისში დააპატიმრეს 170 ჯარისკაცი. ამავე დროს სიკვდილით დასჯით დაემუქრნენ

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 65.

მათ. „ზოგიერთ სოფლებში ბოლშევიკი ჯარისკაცები ხალხს აქეზებენ მთავრობის წინააღმდეგ, — წერდნენ ისინი, — უნდა იცოდნენ აღნიშნულმა პირებმა, რომ მათ ასეთი წაქეზებისათვის სიკვდილით დასჯა მოელით და სჯობს ხელი აიღონ ასეთ მოქმედებაზე. უკვე დასაჯეს რამდენიმე პირი, რომლებიც ასეთ გამოსვლებს ახდენდნენო"[1].

რევოლუციისაგან გამოფხიზლებული მასების მოტყუება ვერ შესძლეს ვერც ბურჟუაზიულმა და ვერც შემთანხმებელმა პარტიებმა. ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი და თბილისის პარტიული კომიტეტი 1918 წლის დასაწყისიდანვე ეწეოდნენ რევოლუციურ მუშაობას მოწინავე მუშებისა და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების საშუალებით. დუშეთში შეიქმნა პარტიული მუშაკების ჯგუფი მ. პაპუნაშვილის, თ. ჩუბინიძის, თ. შუშიაშვილის, ვ. ცინცაძის, გ. მწითურის და სხვათა შემადგენლობით. მ. პაპუნაშვილის, თ. შუშიაშვილის და გ. მწითურის ხელმძღვანელობით სოფელ ბაზალეთში შეიქმნა ადგილობრივი ბოლშევიკების ცენტრი „წითელი გვარდიის ბიუროს" სახელწოდებით, რომლის აქტიურ წევრებად ითვლებოდნენ: გ. ხულელიძე, ს. ლალიაშვილი, ს. ხულელიძე, ნ. ყაველაძე, ი. მუმუზაშვილი, ლ. ვერძეული, გ. პავლიაშვილი, გ. ქრისტესაშვილი, გ. პაპუკაშვილი, ლ. ბუზალაძე, გ. მოლოდინი, ზ. აბრამიშვილი, ბ. ჩხუტიაშვილი, გ. ნაგლიაშვილი, ნ. ბუჩაშვილი, რ. ილურიძე, გ. ვერძეული, კ. პაპიაშვილი, ვ. დურგლიშვილი, ა. ლაილიაშვილი და სხვ[2].

1918 წლის აპრილის დასაწყისში სოფელ ბაზალეთში ჩატარდა კრება, რომელსაც ესწრებოდა მაზრის მთელი აქტივი. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები თომა ჩუბინიძე და თედო შუშიაშვილი, რომლებმაც აუხსნეს გლეხებს მენშევიკური მთავრობის აგრარული პოლიტიკის სიყალბე, პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე დაუმტკიცეს მათ, რომ მენშევიკურ მთავრობას

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", 1918 წ., № 371.
[2] საქ. სსრ ცსია, ფ. 408, ს. 9, ფ. 17.

არავითარი ცვლილებები არ შეუტანია გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

კრებაზე სიტყვა წარმოსთქვეს გაბო მწითურმა და გრიგოლ ლალიაშვილმა, რომლებმაც ამხილეს გლეხთა უმწვავ მდგომარეობა. გლეხს უფლება არა აქვს, — ამბობდნენ ისინი, — ბაზალეთის ტბის ნაპირზე ჩალა მოჭრას სახლის ან საბძლის დასახურავად, შეშას ვერ მოჭრის საოჯახო საჭიროებისათვის, გენერალ ჭილაძის შიშით. მიწას ვერ მოხნავს თუ არ გადაუხადა ღალა ბატონ ჩრდილელს. მათ მოუწოდეს გლეხებს, „რომ აეღოთ ხელში იარაღი და დაემხოთ მენშევიკური მთავრობა. კრებაზე სიტყვა სთქვა აგრეთვე მენშევიკური შტაბის უფროსმა ტატე შუშიაშვილმა, „როგორც ირკვევა, — განაცხადა მან, — ბაზალეთი ჩვენი არ არის, ბაზალეთი ბოლშევიკების ყოფილა და ჩვენ მათ სხვანაირად გავცემთ პასუხსო". კრებას ესწრებოდა მენშევიკი ი. რამიშვილი, რომელმაც სიტყვა ითხოვა, მაგრამ დაიწყო თუ არა ლაპარაკი, გლეხებმა შესძახეს „ძირს მენშევიკები! გაუმარჯოს ბოლშევიკებსო!" რამიშვილს არ მისცეს სიტყვის გაგრძელების საშუალება და აიძულეს წასულიყო კრებიდან.

ბოლშევიკი-აგიტატორები აცნობდნენ გლეხებს ბოლშევიკური პარტიის მოწოდებებს. ერთ ასეთ მოწოდებაში ვკითხულობთ:

„ამხანაგებო! უკვე ერთი წელი შესრულდა, რაც რუსეთში დაიწყო უდიდესი რევოლუცია. ძველი წყობილება დაინგრა და იმის ადგილას ახალი უნდა აშენდეს. მაგრამ ეს ნგრევა-შენების პროცესი ერთი დაკვრით არ მოთავდება. დღეს უნდა მოხდეს მთელი ჩვენი ცხოვრების განახლება; ცხოვრება უნდა მოეწყოს სრულიად სხვა საფუძველზე, ვინემ დღემდის იყო. თქვენ იცით, რომ ჩვენში ეს განახლება ჯერ კიდევ შორსაა, უნდა დამყარდეს ნამდვილი სახალხო მთავრობა, ე. ი. მთელი ძალაუფლება მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების ხელში უნდა გადავიდეს, ისე, რომ არც სოფლად და არც ქალაქად სხვა რაიმე დაწესებულებებს ძალაუფლება არ უნდა ეკუთვნოდეს. ყველა მიწები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად მთელი ხალხის საკუთრებად უნდა გადაიქცნენ და

ისინი მუშებისა და გლეხების დეპუტატების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოების სრულ განკარგულებაში უნდა დარჩენენ"[1].

ბოლშევიკური პარტიის ასეთმა მოწოდებებმა უაღრესად დიდი როლი ითამაშა დუშეთის მაზრის მშრომელი გლეხობის დარაზმვაში.

ამიერკავკასიის სეიმმა დუმილით აუარა გვერდი სახელმწიფო ფონდიდან გლეხობისათვის მიწის გადაცემის საკითხს. მენშევიკები თვითონ აღიარებდნენ თავიანთი კანონის უბადრუკობას. ისინი აცხადებდნენ, რომ კანონის ასრულების საქმეში სეიმი ვერ იმოქმედებს ისეთი ერთსულოვნებით, როგორც მისი მიღების დროს. აქედან გამომდინარე აგრარულ კანონს უფრო დეკლარაციის, უბრალო განცხადების ხასიათი ჰქონდა.

ბოლშევიკი-აგიტატორები, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, გლეხებს უხსნიდნენ მენშევიკური მთავრობის გამცემლობას, რაზმავდნენ მათ და ამზადებდნენ შეიარაღებული გამოსვლებისათვის. გლეხობა კატეგორიულად მოითხოვდა: 1) მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადაცემას, 2) მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციას, და მის გლეხობაზე უსასყიდლოდ გადაცემას, 3) რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

ყოფილი ჯარისკაცების გავლენა გლეხობაზე დიდ შეშფოთებას იწვევდა ნაციონალისტურ მთავრობაში. „ჯარისკაცების სოფლად შემოსვლამ ახალი საფრთხე შემოიტანა, — წერდნენ მენშევიკები, — და რევოლუციის მდგომარეობა საფრთხეში ჩააგდო. ჯარისკაცები ცარიელი როდი დაბრუნდნენ შინ. მათთან მოიტანეს ეგრეთწოდებული ‘ბოლშევიზმი და სოფელს საჩუქრად შესთავაზეს. დღეს მცნება: — ჯარისკაცი და ბოლშევიკი — ერთმანეთშია გადახლართული. ეს სიტყვები სინონიმებია და ვინც ახსენებს ჯარისკაცს, მან იმავე დროს უნდა ახსენოს ბოლშევიკი"[2].

ბოლშევიკი ჯარისკაცები სისტემატურად განუმარტავდნენ

---

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა", 1918, № 1.

[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", 1918, № 250.

დუშეთის მაზრის გლეხობას ლენინის შეხედულებებს აგრარული რეფორმის გადაწყვეტის შესახებ. ამიტომ იყო, რომ დუშეთის მაზრაში მშრომელი გლეხობის ბრძოლამ მემამულეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ მწვავე ხასიათი მიიღო. მენშევიკური მთავრობის საგანგებო რწმუნებული დუშეთის მაზრაში, შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებდა: „მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო თქვენთვის ცნობილ დუშეთის მაზრას, რაც შეეხება ამ მაზრას, მე მას ვაქცევდი განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგანაც მე შეგნებული მქონდა სერიოზულობა სამხედრო გზისა სტრატეგიული თვალსაზრისით. ამიტომ მე რაიონში ვგზავნიდი, განსაკუთრებულ პირებს მიტინგების ჩასატარებლად. მით უმეტეს, რომ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და დეზერტირები, როგორც ადგილობრივი, ისე მოსული, ბოლშევიკურად განწყობილნი აწარმოებდნენ აგიტაციას... მდგომარეობა გართულდა მას შემდეგ, რაც საეტაპო ბატალიონის ჯარისკაცები მიემხრენ ბოლშევიკურად განწყობილ პირებს და დაიწყეს მოსახლეობის შეიარაღება საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“[1].

თბილისის გუბერნიის კომისარმა დუშეთის მაზრაში „მოსახლეობისათვის თანამედროვე მდგომარეობაზე ახსნა-განმარტების მისაცემად“ გაგზავნა აგიტატორები. მაგრამ ადგილობრივმა გლეხებმა ისინი დააკავეს უაზბეგის მახლობლად. მენშევიკური მთავრობის მიერ მიღებულმა რეპრესიებმა ვერ შეაჩერა რევოლუციური მოძრაობის ტალღა.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მითითებით დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება უნდა დაკავშირებოდა საქართველოს მშრომელთა საყოველთაო აჯანყებას. მაგრამ იგი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მენშევიკების მთავრობამ მოინდომა დუშეთის მაზრის გლეხობის განიარაღება. გლეხობა თავის მხრივ, გრძნობდა კონტრრევოლუციური მთავრობის განზრახვას და

---

[1] საქ. სსრ ცსია. ფ. 11, საქ. 9. ფურც. 20—21.



დუშეთის გლეხთა დეპუტატების სახალხო საბჭოსადმი გაგზავნილი ეს მომართვა შედგენილია დუშეთის დროებითი რევოლუციური სამაზრო შტაბის მიერ გაბო მწითურის მეთაურობით.

ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბოლშევიკური პარტიის მიერ ჩატარებული ენერგიული მუშაობის შედეგად გლეხებმა მენშევიკების ამ ნაბიჯში აშკარად დაინახეს მათი დამონების სურვილი. მათ იარაღის იმედი ჰქონდათ, მისი საშუალებით ცდილობდნენ ადამიანური უფლებების მოპოვებას.

მენშევიკურმა მთავრობამ კარგად იცოდა დუშეთის მაზრის გლეხთა სულიერი განწყობილება, ამიტომ ის თავს უყრიდა შავბნელ ძალებს და რეაქციულ ელემენტებს გლეხთა მასების რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. მენშევიკური მთავრობა შეუდგა ხალხის იძულებით განიარაღებას, მან დუშეთის მაზრაში სპეციალური თავდაცვის საბჭოც კი შექმნა, რომლის შესახებ შემდეგი ცნობა გაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში: „გაცნობებთ, თქვენ, მოქალაქე მინისტრო, რომ ქ. დუშეთში შეიქმნა თავდაცვის საბჭო, რომელშიც შევიდნენ მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე, მაზრის კომისარი და საქართველოს სამხედრო გზის უფროსი. 13 ივნისს შედგა საბჭოს საიდუმლო სხდომა, სადაც გამოტანილ იქნა დადგენილება მაზრის მოსახლეობის განიარაღების შესახებ. ასეთი დადგენილების გამოტანა გამოწვეული იყო იმით, რომ მაზრაში მოსალოდნელია ბოლშევიკურად განწყობილი მასების ორგანიზებული გამოსვლები“[1].

სწორედ განიარაღების ცდა გახდა საბაბი დუშეთის მაზრის გლეხთა ნაადრევი აჯანყებისა. განიარაღების დაწყებამ სოფლად ცეცხლზე დასხმული ნავთის როლი ითამაშა, უკანასკნელი იმედი გაქრა. გლეხები საბოლოოდ დარწმუნდნენ მასში, რომ ნაციონალისტური მთავრობის დაუმხობლად ვერ მიიღებდნენ ვერც მიწას და ვერც პოლიტიკურ თავისუფლებას. მთელ მაზრაში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ მშრომელი მასები ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი შეიარაღებული გამოსვლებისათვის. მენშევიკურ მთავრობასაც ეს უნდოდა, რომ ნაადრევად ჩაება ისინი ბრძოლაში, რათა ადვილად გაეტეხა მათი წინააღმდეგობა.

უაღრესად დიდი ნაყოფი გამოიღო ბოლშევიკი-აგიტატო-

---

[1] საქ. სსრ ცსბა, ფ. 11, ს. 9.




დუშეთის გლეხთა აჯანყების სქემა (1918).

რების მუშაობამ სახალხო გვარდიის ნაწილებში, რომლის წევრებმა, — შ. ბეჟანიშვილმა და ი. ბექაურმა, — გააფრთხილეს პარტიის აქტიური წევრები, რომ მენშევიკების მთავრობა განიარაღებას უპირებდნენ.

1918 წლის 12 ივნისს სოფელ წილკანში მ. პაპუნაშვილის და ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა აქტივის კრება კრებაზე განხილულ იქნა საკითხი, თუ როგორ მოქცეულიყო გლეხობა განიარაღების შემთხვევაში. კრებამ მიიღო დადგენილება განიარაღებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ამავე დროს კრებაზე გადაწყდა ღამე გუშაგების დაყენება გზებზე და იარაღის გადამალვა ტყეში. სახლებში დატოვეს მხოლოდ უვარგისი იარაღი. იმ მიზნით, რომ სოფელში შეტაკება არ მომხდარიყო და სისხლი არ დაღვრილიყო. მამაკაცები ტყეში წავიდნენ. დუშეთის მაზრის გლეხთა განიარაღება დაევალა სამაზრო მილიციას, საქართველოს სამხედრო გზის დაცვის რაზმის ნაწილს და მფრინავ რაზმს. 11 ივნისს თბილისის გუბერნიის კომისრის განკარგულებით, დუშეთის მაზრაში გაიგზავნა მთავრობის რაზმი ორი ტყვიამფრქვევითა და სხვა საბრძოლო საჭურველით. მათ შეუერთდა დუშეთის ადგილობრივი გვარდია და 1918 წლის 17 ივნისს განაიარაღეს სოფელი ბაზალეთი და მისაქციელი. „12 ივნისს მე ვმუშაობდი მინდორში, — წერს თავის მოგონებაში ვანო ვერძეული, — ჩემთან მოირბინეს ჩვენი სოფლიდან (ბაზალეთიდან) და მაცნობეს, რომ მოვიდა მფრინავი რაზმი მენშევიკებისა, რომლებიც გლეხებს ართმევდნენ იარაღს და თან მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი ნახავდნენ სახლებში. ამის გარდა, დასცინიან ჩვენს ოჯახებს. მაგალითად, გამრაქვთ ქალების საცვლები, კიდებენ ხიშტებზე და ასე დაატარებენ სოფელ წილკანში. ნაძარცვი საქონელი დააწყვეს აღალებზე და წავიდნენ სოფელ წილკანში. ასევე იქცეოდნენ სხვა სოფლებშიც. მოთმინება აღარ გვეყო. ყველამ აიღო იარაღი ხელში, ერთსულოვნად შეებრძოლეთ გვარდიელებს“[1]. მენშევიკური გვარდიის მხეცურმა მოქმედებამ ქალებისა და მოხუცების მიმართ მოლოდინს

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1923, № 173.

გადააჭარბა. როცა სოფელ წილკანს მიუახლოვდნენ და მოინდომეს მისი განიარაღება, მაშინ წილკნისა და მისი მახლობელი სოფლების გლეხები გაერთიანდნენ და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის ჯარებს. აყარეს იარაღი 120 კაცს, ჩამოართვეს ყველა ნაძარცვი და ისე გაისტუმრეს. თუ რამდენად ძლიერი იყო გლეხთა წინააღმდეგობა, ეს ნათლად ჩანს საარქივო მასალებიდან, სადაც ვკითხულობთ:

„ამა წლის ივნისში მიღებულ ცნობასთან დაკავშირებით დუშეთის მაზრაში მზადდებოდა გამოსვლები ბოლშევიკურად განწყობილი მასებისა. რომელშიდაც უშუალოდ მონაწილეობას იღებდა საეტაპო ბატალიონის პოლკი აბესაძისა. გადაწყვეტილ იქნა მცხოვრებთა განიარაღება. ამ მიზნისათვის მობილიზებულ იქნა მაზრის მილიცია და კაპიტან ფალიანის რაზმი. სოფელ ბაზალეთისა და მისაქციელის განიარაღება ჩატარდა 17 ივნისს, შემდეგ კი დაიწყო წილკნისა და სხვა მის ახლო სოფლების განიარაღება. ამ სოფლების საზოგადოებამ ალყა შემოარტყა მილიციას და გვარდიის რაზმს, განაიარაღა ისინი. ნაწილი განდევნა, ნაწილი კი ჩაიგდო ტყვედ. ტყვეების დასახსნელად წავიდა კაპიტან ფალიანის რაზმი, რომელიც ჩაება ბრძოლაში მას შემდეგ, რაც აჯანყებულებმა ტყვეების დაბრუნებაზე უარი უთხრეს ამ რაზმს. შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, დასახმარებლად გაიგზავნა ბატალიონი და მთელი მფრინავი რაზმი საგუბერნიო კომისარიატისა"[1].

გლეხობის მოთმინების ფიალა აივსო, ვეღარ აიტანა ამდენი შეურაცხყოფა და ჩაება უთანასწორო ბრძოლაში. ამ დროს ბევრ სხვა მაზრასა და რაიონშიც მიმდინარეობდა გლეხთა მძლავრი გამოსვლები, მაგრამ საყოველთაო-სახალხო აჯანყებისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. მენშევიკები ვარაუდობდნენ, რომ დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყებას ისინი ადვილად ჩააქრობდნენ, მაგრამ არ გამართლდა ვარაუდი, აჯანყებულმა გლეხებმა პირველ ხანებში დიდ წარმატებას მიაღწიეს. აჯანყებულმა გლეხებმა სოფ. წილკანთან ალყა შემოარტყეს მილიციის რაზმს. ბრძოლაში რაზმის უფროსი

---

1 საქ. სსრ ცსია, ფონ. 11, საქ. 77, ფ. 1.

დაიჭრა, რაზმის ნაწილი ტყვედ ჩაბარდა, ნაწილმა იარაღი დაყარა და გაიქცა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ორი ტყვიამფრქვევი და 200 თოფი. საღამოს 10 საათზე ტყვედ ჩავარდნილი რაზმის გამოსახსნელად მცხეთიდან გაიგზავნა კაპიტან ფალიანის რაზმი 140 კაცის შემადგენლობით, ორი ტყვიამფრქვევითა და ერთი ქვემეხით. აჯანყებული გლეხები თავდაცვის მიზნით თხრიდნენ სანგრებს, აწყობდნენ ბარიკადებს, სოფლიდან გაჰყავდათ ქალები, ბავშვები და ნახირიც კი.

18 ივნისს, დილის 6 საათზე კაპიტანმა ფალიანმა გაშალა რაზმი სოფელ წილკანთან და გაგზავნა თავისი კაცები აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად. მას სურდა უბრძოლველად დაემორჩილებინა გლეხობა. ორი ყუმბარა გაისროლა წილკნის მთაზე აჯანყებულთა შესაშინებლად. გაგზავნილი კაცები დაბრუნდნენ 4 საათზე ოთხი წილკნელი გლეხის თანხლებით, რომლებმაც განაცხადეს, რომ „ხალხს არავითარ შემთხვევაში არ სურს დაჰყაროს იარაღი". აჯანყებული გლეხები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას, — დაემხოთ მენშევიკური მთავრობა და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. აჯანყების შესახებ გაზეთი „სახალხო საქმე" წერდა: „დუშეთის მაზრის ბევრ სოფლებში ბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო იარაღის აყრის დროს. თბილისიდან ჩასულ გვარდიელთა რაზმს მისაქციელთან მოუთხოვია იარაღის ჩაბარება. სოფელს ოთხი საათის ვადა უთხოვნია. ამ ხნის განმავლობაში შეუკრებიათ დიდი ძალა სხვადასხვა სოფელს, მოუვლიათ არაგვის პირას მდებარე ჭალიდან და სასტიკი ბრძოლა აუტეხიათ. დაუმარცხებიათ გვარდია, წაურთმევიათ თოფები, ტყვიამფრქვევები და ამბობენ ზარბაზნებიც. თბილისიდან სწრაფად იგზავნება რაზმები მომხდარის სალიკვიდაციოდ"[1].

ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. აჯანყებული გლეხები ყოველი მხრიდან უშენდნენ ტყვიებს მოწინააღმდეგის ჯარებს და აიძულებდნენ მათ უკან დაეხიათ. წილკნის გლეხთა აჯანყების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ მაზრას. იგი შეიარაღებული აჯანყების სიგნალი გახდა. მთელი დუშეთის მაზრა,

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე", 1918, № 263.

მცხეთიდან დაწყებული დარიალის ხეობამდე, აჯანყების ალში გაეხვია. აჯანყებულებმა შეადგინეს სამხედრო რევოლუციური რაზმები, გამოჰყვეს ათასეულის, ასეულის და ოცეულის მეთაურები, ჩამოაყალიბეს სურსათ-სანოვაგის მომარაგების განყოფილება, მიიღეს ყველა ზომა თავდაცვისათვის. გლეხთა აჯანყება იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით თბილისში მყოფი მენშევიკური მთავრობაც საფრთხეში აღმოჩნდა. 18 ივნისს 12 საათზე მაზრის კომისარი დუმბაძე თავისი შეიარაღებული რაზმით გაემგზავრა სოფ. წილკნის გლეხების დასამორჩილებლად, დროდესაც მიუახლოვდა სადგურ ნატახტარს, აჯანყებულებმა წილკნის გორაკებიდან საშინელი სროლა აუტეხეს. დუმბაძე იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ უკან დასახევი გზაც გადაჭრილი აღმოჩნდა. აჯანყებულთა ერთმა ჯგუფმა სასტიკი ბრძოლა გაუმართა მთავრობის რაზმს, რის შედეგადაც დუმბაძის რაზმი განადგურებული იქნა, გადარჩა მხოლოდ დუმბაძე და ერთი ოფიცერი.

მენშევიკებმა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მთავრობის სათავეში ჟორდანია დააყენეს. მაგრამ ჟორდანიას „ავტორიტეტმა" ვერ შეაჩერა აჯანყების ტალღა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და მენშევიკურ მთავრობას წალეკვით ემუქრებოდა. თბილისის გუბერნიის კომისარი, შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდა, რომ დუშეთის მაზრა მთლად აჯანყებულია, აჯანყებულებთან მოლაპარაკებით ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწევთ და სასწრაფოდ უნდა მოვამზადოთ სამხედრო ძალებიო. „მთელი დუშეთის მაზრა უნდა ჩაითვალოს აჯანყებულად და აქ გამოყენებულ უნდა იქნას სამხედრო ძალა, აჯანყებულებთან შეთანხმებაზე ლაპარაკით არაფერი გამოდის, დროის გაჭიანურება კი მხოლოდ ბოლშევიკურ რაზმებს მისცემს საშუალებას შეაგროვონ დიდი ძალები, მაშინ კი უკვე ძნელი გახდება მათი დაძლევა"[1].

აჯანყებულთა მიერ დამარცხებულ კაპიტან ფალიანის რაზმის დასახმარებლად გაიგზავნა პირველი ქართული პოლკი და

[1]საქ. სსრ ცსია, ფ. 11, ს. 20, ფ. 8.

მენშევიკების პარტიული რაზმები. მთავრობის რაზმებმა სროლა აუტეხეს სოფელ წილკანს, რის შედეგადაც დაინგრა რამდენიმე სახლი, მაგრამ აჯანყების ჩაქრობა კი ვერ შესძლეს. სოფელ წილკნის დასახმარებლად ჭოპორტში შეიკრიბნენ სხვა სოფლების აჯანყებულთა რაზმები და მისაქციელში მივიდნენ. აქ გლეხებმა ხელში ჩაიგდეს სამხედრო გზაზე არსებული სურსათისა და იარაღის საწყობი და თავიანთი მცველები მიუჩინეს. სამხედრო გზაზე ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილ იქნა და დაწესდა სასტიკი კონტროლი. სოფელ წილკნის აჯანყებულებს ახალ-ახალი ძალები ემატებოდათ. აჯანყების ალი თანდათან ღვივდებოდა.

მენშევიკურმა მთავრობამ კვლავ დიდ ძალებს მოუყარა თავი, რომლებიც ქვემეხებითა და ტყვიამფრქვეველებით იყო შეიარაღებული და წილკნის მახლობლად ჭალაში გაამაგრა. 18 ივნისს აჯანყებულთა დასახმარებლად მოვიდნენ გორის მაზრისა და ქსნის ხეობის გლეხთა შეიარაღებული რაზმები. აჯანყებული გლეხობა თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა, რის გამოც მთავრობის რაზმებმა მიატოვეს პოზიციები და უკან დაიხიეს.

აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა იკისრა დუშეთის მაზრის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ. 19 ივნისს სოფელ წილკანში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეიქმნა დუშეთის მაზრის აჯანყებული გლეხობის სამხედრო-რევოლუციური შტაბი ხუთი კაცის შემადგენლობით (მ. პაპუნაშვილი, გ. მწითური, ს. დიაკვნიშვილი, ვ. თოფრიკაშვილი და სხვ.) შტაბის ხელმძღვანელობა დაევალა მიხა პაპუნაშვილს. შტაბმა შეადგინა აჯანყებულთა მოქმედების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა შეტევაზე გადასვლას.

მენშევიკური ჯარების მეთაური პოლკოვნიკი ფურცელაძე შეეცადა აჯანყების ჩაქრობას მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. ფურცელაძემ შემდეგი მოთხოვნები წაუყენა აჯანყებულ გლეხობას: იარაღის ჩაბარება, ტყვეების განთავისუფლება, ბრძოლის დროს მოკლულთა ოჯახის წევრების ეკონომიური უზრუნველყოფა, მთავრობისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება. პასუხისათვის ვადად დაუნიშნა 19 ივნისის 12 საა-

თი. აჯანყებულებმა ფურცელაძის მოთხოვნებს უპასუხეს: ჩვენ, წილკნისა და მუხრანის საზოგადოება, არ დავყრით იარაღს და არ ჩავბარდებით მანამ, სანამ თავადაზნაურობას მიწებს არ ჩამოართმევთ და ჩვენ არ გადმოგვცემთო.

19 ივნისს აჯანყებულმა გლეხებმა, ნატახტართან გაანადგურეს მთავრობის სამხედრო ძალები, რომლებსაც პოლკოვნიკი ფურცელაძე მეთაურობდა. ამ ბრძოლის შესახებ პოლკოვნიკი ფურცელაძე წერდა:

„12 ივნისს ჩვენმა რაზმმა მიიღო ბრძანება წასულიყო სოფელ მისაქციელისაკენ... მე ერთ ასეულს ვმეთაურობდი განსაკუთრებული რაზმისას და მარჯვენა ფრთით ვიდექი ჩემი ასეულით გაშლილი. ჩვენს უკან ბაღი იყო, სადაც მუშების სახით თურმე სოფლელები იყო ჩასაფრებული. 11 საათი რომ დაიწყო, ატყდა საშინელი სროლა. ჩვენც რასაკვირველია ვუპასუხეთ. სოფლელები გაშლილი მოდიოდნენ ტყიდან ჩვენკენ, მაგრამ დახეთ უბედურებას; საშინელი სროლა აგვიტეხეს იმათ, ვინც ბაღში ვითომდა მუშაობდა. ყველა მხრით სოფლელებისაგან გარს შემორტყმული ვიყავი ჩემი ასეულით. შეძლებისდაგვარად ვიბრძოდით და ბოლოს ღონემიხდილი კლდეზე გადავარდი და მდინარე არაგვში ჩავეშვით რამდენიმე კაცით. ღამე ჯაგებში გავათიეთ და რიჟრაჟის დროს წყლის პირად მცხეთისაკენ გამოვიპარეთ“[1].

აჯანყებულებმა ამ ბრძოლაში მტერს წაართვეს 7 ტყვიამფრქვევი, მრავალი სამხედრო საჭურველი და სურსათი, ტყვედ ჩაიგდეს 250 კაცი. სამხედრო-რევოლუციური შტაბის გადაწყვეტილებით გზეხთა აჯანყებული რაზმები გაიყო ოთხ ჯგუფად მაზრის მისადგომების გასამაგრებლად და მაზრის ცენტრის ხელში ჩასაგდებად. ერთმა რაზმმა წინააღმდეგობის გაუწევლად აიღო დუშეთი, დაიკავა ყველა სახელმწიფო დაწესებულება, სამხედრო და კერძო საწყობები. აჯანყებულთა ერთმა ჯგუფმა, 60 კაცის შემადგენლობით, ალყა შემოარტყა საპატიმროს და გაათავისუფლა პატიმრები. ამავე დროს აჯანყებულთა ერთმა რაზმმა ხელში ჩაიგდო მცხეთისა და ქსნის

[1] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, № 265.

რკინიგზის სადგური და საფრთხის ქვეშ დააყენა თვით თბილისიც. მკაცრი საბრძოლო შეტაკებები მიმდინარეობდა 17—21 ივნისამდე. ამ პერიოდში მცხეთის მისადგომებში გაჩაღებული იყო სასტიკი ბრძოლები. მენშევიკების ჯარებს ჰქონდათ თვითმფრინავები; ჯავშნოსანი მატარებელი, არტილერია და ჰყავდათ ბრძოლებში გამოწვრთობილი გერმანელი ოფიცრები. აჯანყებული გლეხები კი, თოფებითა და ცივი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. მენშევიკების მხრივ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 1500-ზე მეტი ბრძოლაში გაწვრთნილი ჯარისკაცი. ხოლო აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმები ბევრად უფრო მცირერიცხოვანი იყვნენ. მიუხედავად ამ უთანასწორო ბრძოლისა, აჯანყებულმა გლეხებმა ისეთი ვაჟკაცობა, თავგანწირვა, გამბედაობა და გმირობა გამოიჩინეს, რომ პირველ ხანებში დაამარცხეს მენშევიკების ჯარები.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლმა გლეხებმა დუშეთის აღებით წარმატებით გადაწყვიტეს პირველი ამოცანა. მეორე ამოცანა იყო დარიალის ხეობის განთავისუფლება და გზის გახსნა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა და საიდანაც ელოდნენ დახმარებას. დარიალს ამ დროს იცავდნენ მენშევიკური მთავრობის შეიარაღებული რაზმები. 25 ივნისს სოფელ სნოში გაიმართა მოლაპარაკება აჯანყებულთა წარმომადგენლებსა და დარიალში მყოფ მენშევიკური ჯარის ნაწილს შორის. განხილულ იქნა საკითხი დარიალის დამცველი რაზმის განიარაღების და მის ადგილზე საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი გლეხების რაზმის ჩაყენების შესახებ. აჯანყებულთა წარმომადგენლებს ხელმძღვანელობდნენ მ. პაპუნაშვილი და შ. მანგიაშვილი[1]. თათბირზე მანგიაშვილმა განაცხადა: „ჩვენი მიზანი არის თქვენთან კავშირი, გზის გახსნა და უწესოების მომხდენ„ ჯარისკაცების

---

[1] მანგიაშვილი — ტრამკაის მუშა 1903 წლიდან. მონაწილეობას იღებდა 1905 — 1907 წწ. რევოლუციაში. იყო ბოლშევიკური ფრაქციის წევრი. ავრცელებდა პროკლამაციებს, რისთვისაც დაპატიმრებულ იქნა. გაანთავისუფლეს 1917 წლის მაისში. თბილისის კომიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა დუშეთის მაზრაში პარტიულ სამუშაოზე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში.

იარაღის აყრა. ამიტომ უნდა ჩავიდეთ ჩვენ დარიალში, გავხსნათ გზა, გავგზავნოთ დელეგაცია, მოველაპარაკოთ ადგილობრივ ერებს, რომ ცუდი არაფერი მოხდეს. ის ჯარები, რომელიც იქ დგას, თუ შემოგვიერთდებიან, ჩვენთან დარჩებიან, იარაღს შეინარჩუნებენ და თუ არა, იარაღი უნდა ავხადოთ...". შეკითხვაზე — ემორჩილება თუ არა საქართველოს დღევანდელ მთავრობას — მანგიაშვილმა უპასუხა: „სრულებითაც არა. ჩვენ ვემორჩილებით იმ მთავრობას, რომელიც სპობს ძარცვაგლეჯას, მტაცებლობას და ამყარებს წესრიგს"[1].

ამრიგად, დარიალის დამცველი რაზმის განიარაღება უსისხლოდ მოხდა. აჯანყებულებმა დაიკავეს დარიალის ხეობა, გზა გახსნეს ვლადიკავკავისაკენ და უშუალო კავშირი დაამყარეს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტსა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკასთან, რომლებმაც აჯანყებულებს დახმარება აღმოუჩინეს.

გლეხთა აჯანყებას დუშეთის მაზრაში პირველ ხანებში დიდი წარმატება ჰქონდა. 1918 წლის 25 ივნისს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა გლეხთა დეპუტატების სამაზრო ყრილობა, რომელმაც დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი თედო შუშიაშვილის თავმჯდომარეობით. წევრებად: გ. მწითური, მ. პაპუნაშვილი, კ. ლაფანაშვილი, კ. ნარიმანიძე, პ. ჩხუტიაშვილი, შ. მანგიაშვილი, გ. წიკლაური და სხვ. მაზრის პოლიტიკურ კომისრად არჩეულ იქნა გ. მწითური, ხოლო ქალაქის — ვანო პავლიაშვილი. აღმასრულებელმა კომიტეტმა სასწრაფო ზომები მიიღო აჯანყებულთა სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურველით მომარაგებისათვის. სურსათ-სანოვაგით მომარაგება ხდებოდა თვით გლეხების საშუალებით, რასაც ხელმძღვანელობდა ს. ასლამაზაშვილი. „სურსათი გლეხებს პირველ გამოძახებისთანავე მოჰქონდათ ჩემთან, — წერს ს. ასლამაზაშვილი,—მე დიდი გაჭირვებით ვასწრებდი მიმეღო ყველა ეს. მხოლოდ მესმოდა: „მიიღე და გაგზავნე ფრონტზე და თუ არ გეყოს, გვაცნობეთ". მე არასოდეს არ გამიგონია

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 50, ს. 28, გვ. 267.

მიხა პაპუნაშვილი

თედო შუშიაშვილი

საყვედური მებრძოლი ნაწილებისაგან, როდესაც ჩვენ არ გვქონდა საწყობში არაფერი, ისინი იტყოდნენ: „არაფერია, დღეს არ არის, ხვალ მოიტანენო"[1].

დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა ამაღელვებელი მოწოდება მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი, სადაც ნათქვამი იყო: „მთელ დუშეთის მაზრას დღეს ცეცხლი აქვს მოდებული და იწვის. თბილისის მთავრობამ ვერაგულად გასცა მთელი მუშა ხალხი და გლეხობა. მან უღალატა მუშებსა და გლეხებს, რევოლუციას. ხალხის დაუკითხავად და ხალხის სურვილის წინააღმდეგ შეკრა კავშირი თათრის ბეგებთან და ხანებთან, ქართველ მემამულეებთან და თავადებთან. მან მოსწყვიტა მთელი ამიერკავკასია და საქართველო რუსეთს და სამაგიეროდ ჩამოგვიყენა სახლში ავაზაკ ვილჰელმის ჯარები, რომელთაც სურთ ჩვენი სისხლის დალევა. თბილისის მთავრობას სურს, რომ ჩვენ ისევ მემამულეების და თავადების მონები გავხდეთ. ამიტომ მან გამოგზავნა ჩვენს წინააღმდეგ დაქირავებული ჯარი, რომელსაც ხალხის მოსატყუებლად წითელ გვარდიას უწოდებენ და რომელსაც წინამძღოლობს ხალხის ჯალათი ჯუღელი. ეს ხალხის სისხლში მცურავი გვარდია მოვიდა ჩვენთან მუხანათურად, მას ჯერ დავალებული ჰქონდა ჩვენთვის იარაღი აეყარა, რომ შემდეგ ჩვენი დამორჩილება გაადვილებოდა. მაგრამ ჩვენ არ ავეგეთ იმათ ანკესზე. არ მივეცით ნება ჩვენთვის იარაღის აყრისა. ჩვენ იმათ წინადადება მივეცით, რომ თუ იმათ ჩვენთვის კარგი სურთ, თუ ისინი მართლა ჩვენი ძმებია და ჩვენთვის გული შესტკივათ, დაენებებიათ ჩვენთვის თავი, ვინაიდან ჩვენი საქმე ჩვენ უკეთ ვიცით. ამაზე ჯუღელის გვარდიამ თბილისის მთავრობის ბრძანებით, რომელსაც მეთაურობს ჟორდანია, რამიშვილი, ჩხეიძე და სხვები, ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით გაგვცეს პასუხი. დუშეთის მაზრას დღეს შემოესია ბრბო და ლამობენ ჩვენს განადგურებას. ასეთი დღე არ დასდგომია ჩვენს ქვეყანას არც ძველ და არც ახალ დროში. არც შახ-აბაზისა და არც

[1] გაზეთი „კომუნისტი", 1923, 17 ივნისი.

ალა-მაჰმადის ურდოების შემოსევის დროს. საქართველოს ახალმა თვითმპყრობელმა მენშევიკებმა ყველას გადააჭარბეს. მაგრამ ისინი სასტიკად სცდებიან. რაც უნახავთ, იმას ველარ ნახავენ. გლეხობამ უკვე გამოიღვიძა ყველგან. დუშეთის მაზრის გლეხობა დღეს მარტო არ იბრძვის თავის უფლებების დასაცავად. ჩვენთან ერთადაა სამეგრელოს, ლეჩხუმის, რაჭის, ზემო და ქვემო იმერეთისა და გურიის გლეხობა. ლეჩხუმისა და სამეგრელოს გლეხობა უკვე სამ თვეზე მეტია რაც აღარ ემორჩილება ქართველი ხალხის გამყიდველ მთავრობას. ფშავ-ხევსურებიც ჩვენთან არიან. გორის, თელავის, სიღნაღის მაზრების გლეხობა მზადაა და საკმარისია ერთი შეძახება, რომ იგიც გვერდში ამოგვიდგეს... დღეს წყდება ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი, ან უნდა გავიმარჯვოთ და ძირს დავცეთ მემამულეთა და მენშევიკთა მთავრობა, ან გმირულად და სახელოვნად უნდა დავიხოცნოთ. სხვა გზა ჩვენთვის არ არის.

ამხანაგებო! გლეხებო, მუშებო და ჯარისკაცებო! ყველა მაზრიდან, ყველა კუთხიდან, ყველა სოფლიდან გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას, ვისაც რით შეუძლია, ცულით თუ კეტით, ყველამ მხარი დაუჭირეთ საერთო საქმეს. ბრძოლა სწარმოებს ძმობის, თანასწორობის და ერთობის დასამყარებლად, ბრძოლა სწარმოებს მუშების და გლეხების რევოლუციის დასაგვირგვინებლად, ბრძოლა სწარმოებს იმიტომ, რომ მთელი ძალაუფლება მუშების და გლეხების ხელში იყოს, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სახით.

ძირს მენშევიკთა და მემამულეთა მთავრობა! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა რევოლუციას! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას ამიერკავკასიაში! გაუმარჯოს ერთობას რუსეთსა და კავკასიის მუშებსა და გლეხებს შორის! გაუმარჯოს რსფ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი"[1].

---

[1] „ერთობა", 1918, № 150.

ამ მოწოდების ამოცანა იყო დაერაზმა ძალები დუშეთის ფრონტზე გამოგზავნილი მენშევიკური ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამავე დროს ეს მოწოდება არის საუკეთესო საბუთი იმისა, თუ რამდენად სძულდათ მშრომელ გლეხებს მენშევიკური მთავრობა და რამდენად შეგნებული ჰქონდათ მათ თავისუფლების მოპოვებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობა. სხვა ღონისძიებებთან ერთად აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ტელეფონით კერძო ლაპარაკის აკრძალვის შესახებ.

აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა აგრეთვე რამდენიმე ბრძანება. პირველ ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ მენშევიკური მთავრობის ყველა აგენტი, რომლებიც ავრცელებდნენ პროკოკაციულ ხმებს აჯანყებული გლეხების შესახებ, მოითხოვდნენ მთავრობასთან შერიგებას და იარაღის ჩაბარებას, დატუსაღებულნი იქმნებოდნენ. დატუსაღებულნი უნდა გაეგზავნათ დუშეთში, აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში სამხედრო რევოლუციურ ტრიბუნალზე გადასაცემად.

ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირის დაჭერის შემდეგ აჯანყებული გლეხები შეეცადნენ აჯანყებისათვის უფრო ფართო ხასიათი მიეცათ. მათ მთავარი ყურადღება მიაქციეს მცხეთისა და მუხრანის მიდამოების დაცვას. მცხეთის რაიონში აჯანყებულებმა ხელთ იგდეს იარაღის საწყობები და წაიღეს რამდენიმე ათეული ფრანგული შაშხანა, ერთი ყუთი შაშხანის ვაზნა და სხვა საომარი საჭურველი. აჯანყებულებმა ყველგან თავიანთი დარაჯები დააყენეს და მცხეთისა და ქსნის გამაგრებით ემზადებოდნენ თბილისზე გასალაშქრებლად.

აჯანყებულთა მიერ მთავრობის რაზმის დამარცხებამ, დარიალის გახსნამ, ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირის დამყარებამ პანიკა გამოიწვია მენშევიკურ მთავრობაში, რომელიც დიდი საფრთხის წინაშე იდგა. „როგორც ვიცით, — წერდა ფ. მახარაძე. — დუშეთის აჯანყებამ ერთ დროს მართლა რომ დიდ საფრთხეში ჩააყენა მენშევიკების მთავრობა და თუ მან თავი დააღწია განსაცდელს ამას იგი უნდა უმადლოდეს თავის მაშინდელ ბატონ-პატრონს, ანუ

გერმანიის სამხედრო შტაბს, რომელსაც მორჩილებდა მაშინ ორდანია-რამიშვილის მთავრობა და რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მენშევიკებს დუშეთის აჯანყების ჩაქრობაში"[1].

პირველი შეტევა აჯანყებულთა აშკარა გამარჯვებით დამთავრდა. ამასთან ერთად, აჯანყებულ გლეხობას გამოეხმაურა თიანეთის გლეხობა. ჯერ კიდევ ადრე, დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების დაწყებამდე, აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და სამხედრო შტაბის წევრი გ. მწითური, თიანეთის მაზრის თოლონჯის მფრინავი რაზმის უფროსს შ. გელოვანს სწერდა: „საქართველოს ბოლშევიკები მოითხოვენ რუსეთის ბოლშევიკებისაგან, რათა დაემხოთ საქართველოს მენშევიკები. თერგის ოლქში დგას ბოლშევიკების არმია, რომელსაც მეთაურობენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. მათ უნდათ შემოვიდნენ დარიალიდან, მაგრამ დარიალის კარები შეკრულია მენშევიკების გვარდიის მიერ. ჩვენთან მოვიდნენ ორჯონიკიძის გამოგზავნილი ხევსურები, გვატყობინებენ, რომ სოფლებში მოვაწყოთ აჯანყებები, შევუტიოთ დუშეთისა და თიანეთის სამაზრო ცენტრებს, ჩვენი რაზმებით შევერთდეთ და შეუტიოთ დარიალში მდგომ მენშევიკების გვარდიას, რათა გზა გავუხსნათ ბოლშევიკებს, მოვიდნენ თერგის ოლქიდან. შენი და ვანო ქისტაურის რაზმები შეერთდით და წამოდით დავათისაკენ, ჩვენ ვდგევართ დავათას ტყეში, ჩვენი კაცი დაგხვდებათ გორანის თავზე და გზას გასწავლით, აქ ვითათბიროთ აჯანყების მოწყობის დღეზე"[2].

... დუშეთის მაზრიდან აჯანყების ცეცხლი მართლაც მოედო მეზობელ თიანეთის მაზრას. აჯანყების მიმდინარეობის პერიოდში დუშეთისა და თიანეთის მაზრებში აჯანყებულთა შორის მტკიცე კავშირი იყო დამყარებული. თიანეთის მაზრამ დუშეთის აჯანყებულებს გამოუგზავნა შეიარაღებული რაზმი შ. გელოვანის ხელმძღვანელობით. 27 ივნისს შ. გელოვანმა თავისი რაზმის წევრები მ. იანვარაშვილი, ო. დორეული და შ. ფეიქრიშვილი გაგზავნა ბულაჩაურის ტყეში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი

[1] „გაზეთი „კომუნისტი", 1923, 13 ივნისი.
[2] „ბ. „სტალინური გზით", 1957, 6 ოქტომბერი.

გ. მწითური. გ. მწითური გელოვანს სწერდა: „ძმაო შაქრო, დადგა ჟამი გლეხობის განთავისუფლებისა. ჩვენი მაზრა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მთლიანად აღდგა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. შევმჭიდროვდეთ იარაღით ხელში და საერთო ძალით ჩამოვაგდოთ მენშევიკური მთავრობა“[1].

28 ივნისს შ. გელოვანმა ეს წერილი გააცნო სოფ. თოლენჯის მოსახლეობას, რომლის შესახებ თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „დავრაზმეთ სოფელ მელისხევისა და თოლენჯის მოსახლეობა, გადავედით სოფელ სიმონიანთხევზე ეკლესიის ეზოში, დავარეკვინეთ ზარი, საჩქაროდ მოიყარა თავი მთელმა სოფელმა, კაცმა და ქალმა, ჩავატარეთ მიტინგი და გავაცანით ხალხს დუშეთის მაზრის აჯანყების მნიშვნელობა, რის შემდეგ მთელმა მოსახლეობამ გადაწყვიტა, რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა, თიანეთის მაზრა ჩაგვეგდო ხელში. დუშეთის მაზრაში საქმე თანდათან მწვავდებოდა და მშრომელ გლეხობას უდიდესი განსაცდელი მოელოდა მენშევიკური ჯარის შესევის გამო, ამიტომ მეორე დღეს ჩვენი რაზმით გადავედით დუშეთის მაზრაში სოფელ ჭოპორტ-ძეგნაკარის მიმართულებით და შივიღეთ მონაწილეობა ნაციონალისტური მთავრობის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

მენშევიკური მთავრობისათვის აშკარა შეიქმნა, რომ აჯანყებულთა მიზანი იყო „დემოკრატიული“ მთავრობის დამხობა. ამიტომ მენშევიკური მთავრობა დიდ სამხედრო ძალას უყრიდა თავს თბილისში და ემზადებოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მენშევიკურმა პრესამ დიდი ხმაური ატეხა და საზიზღარი პროვოკაციით გამოვიდა ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ. მენშევიკების მიზანი იყო მშრომელი მასების თვალში სახელი გაეტეხათ აჯანყებული რევოლუციონერი გლეხობისათვის და ამავე დროს ცილისწამებით აღსავსე მოწოდებებით დაეფარათ ის რეპრესიები და საშინელი ბოროტმოქმედებანი, რომელსაც გლეხობის მიმართ სჩადიოდნენ. მაგრამ მენშევიკები მაინც ვერ ფარავდნენ თავიანთ დანაშაულს აჯანყებული გლეხების

[1] აღნიშნული წერილი ინახება შ. გელოვანთან.

მიმართ. „ჩვენი ზოგიერთი კუთხე აჯანყების ალშია გახვეული, — წერდნენ ისინი, — ჩვენსა და გლეხებს შორის ხიდია ჩატეხილი, გლეხებს ჩვენ ვერ მივეცით მიწა, და ეს გარემოებაა, რომ სოფელი ჩვენს მთავრობას აღარ ემორჩილება"[1].

მენშევიკები შეეცადნენ იმის მტკიცებას, თითქოს ეს აჯანყება იყო „უკულტურობის" ბრძოლა „კულტურის" წინააღმდეგ. ამით მენშევიკურ მთავრობას სურდა აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება იმ მაზრებისა და რაიონების გლეხები, სადაც დროებით სიმშვიდე იყო. ნაციონალისტური მთავრობის პროვოკაციულმა აგიტაციამ და საშინელმა ტერორმა ვერ შესძლო გლეხთა დაწყებული ბრძოლის შეჩერება. აჯანყებულები გადაჭრით ამბობდნენ: „ჩვენ მივდივართ, რომ შევუერთდეთ ჩვენს ძმებს, რუსებს, რომელთაც მენშევიკებმა ჩამოგვაშორესო"[2].

მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება გამართეს აჯანყებული გლეხობის ხელმძღვანელებთან. მათი მიზანი იყო ამ მოლაპარაკებით აჯანყებულთა წინსვლა შეეჩერებინათ, დრო მოეგოთ და მომზადებულიყვნენ შეტევაზე გადასასვლელად.

აჯანყების რაიონში მენშევიკებმა გადაისროლეს დიდი სამხედრო ძალა: კავალერია, არტილერია და ქვეითი ჯარი. მათ ეხმარებოდათ აგრეთვე გერმანელთა თვითმფრინავები; ინსტრუქტორებად ჰყავდათ გერმანელი ოფიცრები. 28 ივნისს 5 საათზე მენშევიკურმა ჯარებმა 14 ზარბაზნიდან ყუმბარები დაუშინა „ბებრის-ციხეს", დიდი ბრძოლისა და მსხვერპლის შემდეგ აიღეს იგი. „ბებრის-ციხის" აღების შემდეგ დაიწყო დუშეთზე შეტევა. მენშევიკების ჯარი სამ ნაწილად გაიყო: არაგვის მარცხენა ნაპირის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა ფურცელაძის რაზმი, ცენტრში მიდიოდა კონიევის რაზმი, ხოლო ქსანზე ჯუღელის და ერქომაიშვილის რაზმები. მეტად მძიმე იყო აჯანყებულთა მდგომარეობა. მათ არ ჰქონდათ საკმაო რაოდენობით იარაღი, სურსათი, აკლდათ საბრძოლო

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1918, № 132.

[2] „რევოლუციის მატიანე", 1926, გვ. 72.

ხელმძღვანელობა „ბებრის-ციხის“ დაკარგვის შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს და არაგვის ხეობაში გამაგრდნენ. 2 ივლისს თიანეთის მაზრიდან გლეხთა შეიარაღებული რაზმი მოვიდა აჯანყებულთა დასახმარებლად, რამაც გლეხობაში დიდი სიხარული გამოიწვია. კონიევის რაზმმა ვეღარ შესძლო წინ წაწევა. 3 ივლისს იგი იძულებული გახდა უკან დაეხია ნატახტარამდე. მალე მას ჯუღელის რაზმი შეუერთდა, რის გამო აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მენშევიკთა ჯარების ამ კომბინირებული შეტევის მიუხედავად, ბრძოლა დუშეთისათვის სამ დღეს გაგრძელდა. მტერი სამი მიმართულებით უტევდა აჯანყებულთა ბანაკს. ჯუღელმა, რომელიც ქსნიდან მოდიოდა, ისარგებლა სოფელ მუხრანის ვაჭრების მხარდაჭერით, ნაკლები წინააღმდეგობებით გაიარა სოფლები: მუხრანი, ძალისი, მჭადიჯვარი მიადგა დუშეთს და დაბანაკდა ბაზალეთის მიდამოებში. მის განკარგულებაში იყო 14 ქვემეხი და რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი. ჯუღელი ვარაუდობდა ერთი შეტევით აიღებდა დუშეთს და ამით საბოლოოდ ჩაახშობდა აჯანყებას, მაგრამ ის ანგარიშში მოტყუვდა. აჯანყებულებმა შესძლეს დუშეთის მახლობლად ქერანის მთაზე გამაგრება, საიდანაც კარგად მოჩანდა მტრის ბანაკი. იქ დადგეს ერთი ქვემეხი, რომელსაც ბაგრატ ფრიდონაშვილი[1] მართავდა. აჯანყებულებმა ამ ერთი ქვემეხის საშუალებით შესძლეს მოწინააღმდეგის 14 ქვემეხის ჩაჩუმება. სოფელ ჭონტლის თავზე ნიშთან თავი მოიყარა აჯანყებულთა რაზმებმა, რომლის უმრავლესობა ცივი იარაღით იყო შეიარაღებული. მათი საიდუმლოება ,გასცა მოღალატე ფუცა გულიევმა (სოფ. არბუეთის მცხოვრებმა), რითაც საშუალება მისცა მტერს შეტევაზე გადასულიყო. აჯანყებულთა ხელმძღვანელები, რომლებიც დუშეთში იმყოფებოდნენ, ყოველგვარ ზომებს

---

[1] ბ. ფრიდონაშვილი იყო ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი. ქერანის მთაზე ბრძოლის დროს გვარდიელებმა ტყვედ ჩაიგდეს, ფეხებზე ბორკილები დაადეს და დროებით ქერანის ტყეში დატოვეს. მან მოახერხა გაქცევა, გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში და მონაწილეობა მიიღო სტავროპოლის მიმართულებით თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც ის დაიღუპა.

ილებდნენ დუშეთის დასაცავად, მაგრამ ვერ შესძლეს გამკლავებოდნენ მოწინააღმდეგის კარგად შეიარაღებულ მრავალრიცხოვან რეგულარულ ჯარს. აჯანყებულთა ბანაკს გერმანელთა თეითმფრინავებიდან ყუმბარებს უშენდნენ, მიღებულ იქნა აგრეთვე მთავრობის ჯარების ახალი შევსება. აჯანყებულებს აღარ ჰქონდათ საკმაო რაოდენობით საომარი საჭურველი, რის გამო მენშევიკების ჯარებმა 6 ივლისს დუშეთი დაიკავეს.

მენშევიკების ჯარები ბარბაროსულად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს. აჯანყებულმა გლეხობამ დაიხია ჟინვალისა და ანანურისაკენ. „სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარები, მოქმედი ბოლშევიკების წინააღმდეგ, — წერდა გაზ. „ბრძოლა", — ორ რაზმად გაიყო: მარჯვნივ, არაგვის ხეობაში, მოქმედებდა ფურცელაძისა და გედევანიშვილის რაზმები და სწრაფად მიიწევდა წინ ანანურისაკენ აჯანყებულთა ზურგიდან მოსავლელად, ხოლო მთავარი ძალები კონიევისა და ჯუღელის ხელმძღვანელობით მიიწევდნენ სამხედრო გზით დუშეთზე და იქიდან ანანურისაკენ. ამ უმთავრესი ძალების მარჯვენა ფრთას ლომთათიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო მარცხენას — თუთბერიძე, სამთო ბატარეის ოცეული კაპიტან ყანჩელისა და ცხენოსანი ჯარი პოლკოვნიკ ქუთელიასი: შუა კოლონა მთავარ ძალებისა და თვით შტაბი სამხედრო გზით მიიწევდა წინ, პირველი და მეორე ბატარეია სახალხო გვარდიისა და რაზმის შტაბი — კაპიტან სულაკაურის მეთაურობით. შეტევა დაიწყო 6 ივლისს, დილის 6 საათზე. მარჯვენა და მარცხენა ფრთა შეთანხმებულად გაუთანასწორდნენ აჯანყებულებს. რომელნიც იძულებული იყვნენ ანანურისაკენ დაეხიათ. რომ ხელში არ ჩავარდნოდნენ გვარდიელებს. ფრონტზე შემოღებულ იქნა სიკვდილით დასჯა ყველა იმათთვის, ვინც წინააღმდეგობას უწევდა"[1].

შენშევიკების ჯარი დარწმუნებული იყო. იმაში. რომ აჯანყებულებს აღარ შესწევდათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი, მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა. სასტიკი ბრძოლა მოხდა ჟინვალში გამაგრებულ აჯანყებულ გლეხობასა და მენშევიკუ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", 1928, № 142.

ვაჟა მწიფეული

ვანო იორდანაშვილი

რი მთავრობის ჯარებს შორის. ქალები და ბავშვები ტყეში გაიხიზნენ. მთავრობის ჯარმა აიღო ჟინვალის სიმაგრეები და შემდეგ ანანური, ხელში ჩაიგდო ორი ზარბაზანი, ორი ტყვიამფრქვევი, 75 ყუმბარა, 70 შაშხანა და 200-მდე ტყვე, ცხენები და სხვ. აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ ფასანაურისაკენ. ჟინვალთან შეტაკების შესახებ ჯუღელი თავის დღიურში წერდა: „გააფთრებული ბრძოლაა, მტერი იკავებს პოზიციებს და ყოველმხრივ გვესვრის ჩვენ“.

3 ივლისს დილით მენშევიკების ჯარი გავიდა ანანურიდან და გაემართა ფასანაურისაკენ. ფასანაურის ვიწრო ხეობაში, სიპის კარში, აჯანყებულ გლეხებს სასტიკი შეტაკება მოუხდა მოწინააღმდეგეებთან. ამ ბრძოლაში აჯანყებულებს დიდი დახმარება გაუწია კავკავიდან ჩამოსულმა შეიარაღებულმა ბოლშევიკურმა რაზმმა, რომელიც დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს თხოვნით იყო გამოგზავნილი. ამ რაზმის საერთო ხელმძღვანელი იყო ს. ქავთარაძე, ბრძოლის ოპერაციებს კი ს. გაგლოევი ხელმძღვანელობდა. ს. ქავთარაძის განცხადებით, ეს რაზმი გამოგზავნილ იქნა რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის მიერ, ხოლო ს. ქავთარაძე დაინიშნა დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხთა პოლიტიკურ კომისრად. რაზმში შედიოდა 60 კაცი; მათთან ერთად იყვნენ რუსი არტილერისტები, რომელთაც თან ჰქონდათ ორი ზარბაზანი. „რუსი არტილერისტები უშიშრად იბრძოდნენ, მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ ბრძოლაში... მენშევიკურ ჯარებთან შეტაკების შემდეგ ფასანაურიდან გავედით მლეთში და იქ გავჩერდით. აქედან კავკავში დავბრუნდით“[1].

11 ივლისს აჯანყებულებმა ფასანაური დატოვეს, მლეთის მიდამოებში მთის მწვერვალებზე გამაგრდნენ და მდ. არაგვის ორივე მხრით ზარბაზნის ჭურვებს უშენდნენ მოწინააღმდეგის ჯარებს, რომელიც სამი მხრით ცეცხლის ალში იყო გახვეული. უთანასწორო ბრძოლის შედეგად აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და გუდაურის მიდამოებში გამაგრებუ-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფ. 34. საქ. 312.

ლიყვნენ, სადაც მოხდა სასტიკი შეტაკება. აჯანყებულებმა დაიხიეს კობისაკენ. სწორედ ამ დროს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხთა დასახმარებლად გაიგზავნა ა. გეგეჭკორის რაზმი, რომელიც ვლადიკავკაკაში იმყოფებოდა. ის მოვიდა ყაზბეგამდე, 13 ივლისს გაიმართა დიდი ბრძოლა მენშევიკების მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში გეგეჭკორის რაზმი დამარცხდა. მენშევიკების ჯარებმა აიღეს ყაზბეგი, ტყვედ წაიყვანეს ორასამდე კაცი. ხელთ იგდეს ორი ზარბაზანი, ოთხი ტყვიამფრქვევი და სხვა იარაღი. გლეხთა გადარჩენილმა შეიარაღებულმა ძალებმა უკან დაიხიეს დარიალის ციხე-სიმაგრისაკენ. ყაზბეგთან გამართული ბრძოლის შესახებ ა. გეგეჭკორი თავის მოგონებაში წერდა: „...ჩვენმა მთავარმა რაზმმა ბრძოლა გაუმართა მტერს, რომელიც აჯანყებულებს უტევდა ჯვრის უღელტეხილთან... მოწინააღმდეგის ძალები ათჯერ აღემატებოდა ჩვენს მოწინავე რაზმს... მენშევიკების ჯარმა დაიჭირა ყველა მაღლობი ყაზბეგის ირგვლივ. გადაჭრეს გზა გველეთთან (როგორც შემდეგ გამოირკვა) და ჩვენი რაზმი მომწყვდეული აღმოჩნდა. ამ ჯოჯოხეთური მდგომარეობის პირველი მსხვერპლი იყო გმირულად დაღუპული ამხ. ჭავჭანიძე. რაზმის პასუხისმგებელი ამხანაგების თათბირზე გადაწყდა გადაგვერჩინა ცოცხალი ძალა და არტილერია, ვინაიდან ბრძოლა ასეთ პირობებში დაღუპვას უდრიდა. რაზმი იგერიებდა მტრის იერიშებს და თანდათან იხევდა უკან. მტერმა, რომელიც ჩასაფრებული იყო თერგის იქითა მხარეს, გველეთის ხიდთან, უკანდასახევი გზა გადაუჭრა ჩვენი რაზმის უმთავრეს ძალებს. მიუხედავად ამისა, მოწინავე რაზმმა 117 კაცის შემადგენლობით შესძლო რკალის გარღვევა და დარიალის სიმაგრის (თამარის ციხის) დაჭერა, რათა ამით შეეჩერებინა მოწინააღმდეგის წინსვლა. ეს სიმაგრე სამი დღის განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ მენშევიკები მხეცურად უსწორდებოდნენ ტყვეებს"[1].

დარიალის ციხეში გამაგრებული აჯანყებული გლეხობა

---

[1] „ბაზ. „კომუნისტი", 1928, № 132.

ა. გეგეჭკორის გადარჩენილ რაზმთან ერთად სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკური ჯარის წინააღმდეგ, მაგრამ მათ არ გააჩნდათ დიდი ხნით გამაგრების შესაძლებლობა. თუმცა გრძელდებოდა თითო-ოროლა შეტაკება, მაგრამ აჯანყება მაინც დასასრულს უახლოვდებოდა. მენშევიკების ჯარმა აიღო დარიალის ციხე-სიმაგრე და სადგური ლარსი. ამით დამთავრდა აჯანყება. ა. გეგეჭკორის და გლეხთა დარჩენილი რაზმები გადავიდნენ თერგის ოლქში, საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. თუ რამდენად ძლიერი იყო აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგობა, ეს ნათლად ჩანს მენშევიკების ჯარების ხელმძღვანელი ვ. ჯუღელის დღიურიდან, სადაც ის წერდა: „ამბოხებულებმა დაიკავეს ყაზბეგი, გზა გაუხსნეს კავკასიელ ბოლშევიკებს, მოგვიკლეს საშა რიკაძე და პეტრე აელოხაშვილი, დაამარცხეს და გაწყვიტეს ჩვენი რაზმი. ამბოხებულები განაგრძობდნენ თავიანთ გამარჯვებას, გრძნობდნენ ძალას. ერთხელ პირადად მე კინაღამ გავხდი აჯანყებულთა მსხვერპლი, დიახ, ეს იყო შემაძრწუნებელი წუთები“[1].

აჯანყებული გლეხების თავგანწირული ბრძოლა შემაძრწუნებელი იყო არა მარტო ჯუღელისათვის, არამედ თვით საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვისაც. ამიტომ იყო, რომ ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩაქრობა. მათ მშრომელი გლეხობის ბრძოლა თავისუფლებისათვის სისხლში ჩაახშეს. ვისაც კი დაიჭერდნენ, განუკითხავად სვრეტდნენ ყველას. ძალთა აშკარა უთანასწორობამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის წარმოებული გლეხთა ბრძოლა, მიუხედავად მისი თავდაპირველი წარმატებისა, დამარცხდა. ეს მოხდა მთელი რიგი მიზეზების გამო. დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ გლეხთა აჯანყება დუშეთის მაზრაში იზოლირებული აღმოჩნდა, საყოველთაო აჯანყებისათვის ხელსაყრელი პირობები ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. ბოლშევიკები ამ პერიოდისათვის არ ფიქრობდნენ მასობრივი გამოსვლების დაწყებას, რადგან, მენშევიკუ-

---

[1] ვ. ჯ უ ღ ე ლ ი. „მძიმე ჯვარი“, გვ. 65—66.

რი მთავრობის მოწვევით, ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა კარგად შეიარაღებული იმპერიალისტური გერმანიის სამხედრო ძალები.

საჭირო იყო გლეხთა აჯანყებისათვის, რადგან იგი სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, ორგანიზებული ხასიათის მიცემა, რაც შეუძლებელი შეიქნა. ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტმა, რომელიც ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა, და სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურომ მიიღეს მოწოდება ბაქოს კომიტეტისაგან, რომელიც ითხოვდა შემდეგი სახის დახმარებას (ბაქოში ამ დროს იყო საბჭოთა ხელისუფლება), გაგრძელებულიყო შეიარაღებული აჯანყება, რაც ხელს შეუშლიდა მენშევიკურ მთავრობას უცხოეთის იმპერიალისტებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის შემდეგ სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურომ და ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფმა სამხარეო კომიტეტმა დუშეთის მაზრაში აჯანყების ხელმძღვანელად გაგზავნეს პასუხისმგებელი ამხანაგები დავალებით განეგრძოთ აჯანყება, მაგრამ ეს მოხდა გვიან, როცა აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. სამხარეო კომიტეტსა და ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებას მეტის გაკეთება არ შეეძლო, რადგან მათ ბრძოლა უხდებოდათ კონტრრევოლუციური თეთრგვარდიელი გენერლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ძველი წყობილების აღდგენას.

ეხებოდა რა კავკასიის საოლქო კომიტეტის მაშინდელ მდგომარეობას, ფ. მახარაძე წერდა: „კავკასიის საოლქო კომიტეტი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ მეტად ცუდ პირობებში მოხვდა. როცა ის ასეთ ნაბიჯს სდგამდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ მას მოქმედებისათვის ფართო ასპარეზი გაეხსნებოდა და მკვიდრი ნიადაგი ექნებოდა. გამოირკვა, რომ არც ერთი იყო და არც მეორე. საბჭოთა ხელისუფლება ძლივს-ძლივობით მხოლოდ კავკავში თუ ბოგინობდა, ირგვლივ კი ფუსფუსებდნენ და თარეშობდნენ კონტრრევოლუციური ძალები — ყაზახობა, მეფის ოფიცრობა და სხვ.

საოლქო კომიტეტი დღიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გა-

დასგლისა, თითქმის სრულიად მოწყვეტილი შეიქნა საქართველოდანაც, ერთადერთი გზა საქართველოს სამხედრო გზა — მენშევიკებს დაკავებული ჰქონდათ დარიალში და ყაზბეგში და იქ გავლა სახიფათო იყო. საგანგებო კურიერი ამ გზით ვერ წავიდოდა, მას უნდა გადაელახა მთები და კლდეები. ასე რომ, რაიმე საყურადღებო ცნობის მიღება გვიანდებოდა მთელი კვირაობით. ხშირად თვეობითაც, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს მთელი ამიერკავკასია დასერილი იყო ფრონტით, თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე იდგნენ და გამვლელ-გამომვლელთ გზას უღობავდნენ. ამნაირად, საოლქო კომიტეტი მოშწყვდეული დარჩა მეტად ვიწრო ფარგლებში და ამიტომ იყო, რომ ცნობების თავის დროზე მიღების მხრივ ის მეტად არახელსაყრელ პირობებში იყო"[1]. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქავკასიის საოლქო კომიტეტმა უფრო მეტი დახმარება ვერ გაუწია აჯანყებულ გლეხობას.

მიუხედავად დამარცხებისა გლეხები დარწმუნებული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებაში.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების ჩაქრობით გათამამებულმა მენშევიკურმა მთავრობამ ულტიმატუმი წაუყენა თერგის საბჭოთა რესპუბლიკას, სადაც ა. გეგეჭკორის რაზმის მიერ წაყვანილი „ტყვეებისა და ქონების" დაბრუნება მოითხოვა. ულტიმატუმი განხილულ იქნა თერგის სახალხო საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა. ყრილობამ საკადრისი პასუხი გასცა ქართველი მენშევიკების ულტიმატუმს. „...განვიხილეთ საქართველოს ეს ულტიმატუმი, — განაცხადა სხდომაზე ს. ორჯონიკიძემ, — მასში ნათქვამია, რომ ყაზბეგში დატაცებულია საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი მასალა და რომ იგი კუთვნილებისამებრ უნდა იქნეს დაბრუნებული. ნუთუ თერგის რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის პოლიციური დაწესებულება უნდა იყოს? ხომ არ შეიძლება თერგის მთავრობამ იცოდეს, თუ რა ხდება მისი საზღვრიდან 50—60 კილომეტრის

[1] ფ. მახარაძე, „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში", გვ. 161—162.

შანძილზე... საქართველოს მთავრობას უნდა განვუცხადოთ: „ჩვენ არ ვიცნობთ მუქარისა და ულტიმატუმის ენას“[1].

მენშევიკების ჯარებმა, გერმანელი იმპერიალისტების დახმარებით, ააოხრეს და გააპარტახეს დუშეთის მაზრის სოფლები. მათი ბანდების სიმხეცეს საზღვარი არ ჰქონდა: ძარცვა-გლეჯა, დახვრეტა, ციხეებში და სხვა არნახული საშინელებანი დაატყდა თავს აჯანყებულ გლეხებსა და მათ ოჯახებს. დაიწყო სასტიკი რეპრესიები, ამოქმედდა საველე სასამართლოები, რომელსაც მასობრივად გამოჰქონდა სასიკვდილო განაჩენები. ტყვედ წაყვანილი თომა ჩუბინიძე სასიკვდილოდ დაჭრა მენშევიკების ჯალათმა, გვარდიის ოფიცერმა არეშიძემ; ჭრილობა იმდენად მძიმე იყო, რომ თ. ჩუბინიძე ყაზბეგში გარდაიცვალა.

საქმის გამოუძიებლად დახვრიტეს აჯანყების ხელმძღვანელები მიხა პაპუნაშვილი, მიშა გეგეჭკორი, გაბო მწითური და სხვა.

1918 წლის აგვისტოში თეთრგვარდიელი კაზაკების მიერ დახვრეტილ იქნა თედო შუშიაშვილი. სულ მალე დამატებით კიდევ დახვრიტეს 13 კაცი (ანდრიაშვილი, უფლაძე, ლაზარევი, ყუდუხოვი, ინაშვილი, აბრამიშვილი, ჯინჭარაული, არაჩაშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, ავლოხაშვილი და სხვ.).

გაშმაგებული კონტრრევოლუცია თავის გამარჯვებას ზეიმობდა. დააპატიმრეს აჯანყების 500-ზე მეტი მონაწილე. ისინი მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს. კვლევა-ძიების შემდეგ პასუხისგებაში მისცეს 250 კაცი. მენშევიკებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ მოახდენდნენ აჯანყებულთა საჯარო გასამართლებას. დაინიშნა სპეციალური კომისია საქმის გამოსაძიებლად. 1919 წლის 27 იანვარს სასამართლო პალატის პროკურორმა იუსტიციის მინისტრს წარუდგინა მის მიერ წარმოებული ძიების შედეგები, სადაც აჯანყების მიზეზად დასახელებული იყო ხალხის გაუნათლებლობა, უკულტურობა და სხვ. აჯანყების ნამდვილი მიზეზი მიჩქმალული იყო. პროკურორმა მოითხოვა აჯანყებულთა ნაწილ-ნაწილად გასამართლება. მათ ვერ გაბედეს

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, რჩეული სტატიები და სიტყვები 1911—1937 წ. სახ. პოლიტგამომცემლობა, 1939, გვ. 35—36.

საჯარო სასამართლოს დანიშვნა, რადგან აჯანყების ნამდვილი მიზეზის გამოაშკარავებისა ეშინოდათ.

პატიმართა მდგომარეობა აუტანელი იყო, რის გამო პატიმრებმა შემდეგი შინაარსის პროტესტი წარუდგინეს მენშეევიკურ მთავრობას:

„ეს ოთხი თვეა რაც ჩვენ დაგვაპატიმრეს საქართველოს სამხედრო გზაზე და ვართ მოთავსებული საგუბერნიო № 1 საპყრობილეში. ამ ოთხი თვის განმავლობაში სატუსაღოს პირობები დღითი-დღე უარესდება. თვალწინ აჩრდილივით გვიდგას წამებითი სიკვდილი, ტიტველნი, უპმელ-უსმელნი, ცემენტის იატაკზე დაყრილნი ცივ სარდაფში, უსუფთაობა და საექიმო მხრიდანაც უნუგეშობა, ძალლობლებთან კავშირის უქონლობის გამო სრულიად ნივთიერი დაუხმარებლობა და დაშორებულობა მათზე, აი ამ მიზეზების შედეგად, უკვე დაიხოცა 3 კაცი. 41 კაცი დაავადებული იმყოფება სატუსაღო საავადმყოფოში... ჩვენი რწმენით და აზრით ჩვენ არ ვიყავით გასამართლებამდე ღირსნი წამებით სიკვდილისა და აი სწორედ გადავწყვიტეთ და ვარჩიეთ ერთდროულად სიკვდილი, ვინემ ეს მოხდებოდა თანდათანობით და ლოდინით... 9 დეკემბრიდან ჩვენ ვაცხადებთ შიმშილს, უკეთუ — არ იქნება ჩვენ საქმეზე სათანადო ყურადღება მიქცეული"[1].

მიუხედავად პატიმრების არა ერთი მოთხოვნისა, საქმის გარჩევა მაინც არ შედგა. დაინიშნა დამატებითი კვლევა-ძიება და პალატის პროკურორმა მოითხოვა საქმის შესწავლა. გამოძიების პროცესში სხვადასხვა დროს დაპატიმრებულ იქნენ აჯანყების მეთაურები (ს. ქავთარაძე, ა. გეგეჭკორი და ფ. მახარაძე). მთელი ბრალდება ამ სამ კაცზე უნდოდათ გადაეტანათ. დაიწყო დამატებითი კვლევა-ძიება. შედგენილ იქნა საბრალდებულო აქტი, მაგრამ სასამართლოს დანიშვნა მაინც ვერ გაბედეს და საველე სასამართლოებს მიანდვეს აჯანყებულთა ხელმძღვანელების საქმის ნაწილ-ნაწილად გარჩევა, რის შედეგადაც 1919 წლის 19 ნოემბერს დუშეთში, თანახმად საველე სასამართლოს დადგენილებისა, დახვრეტილ იქნა 7

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 50, ს. 9, გვ. 934.

კაცი: გაგიევი, მელია, ეძგვერაძე, კარიაული, ვ. ვარსიმაშვილი. გ. ბრაჭული და ს. ქერდიყაშვილი. 1919 წლის 17 დეკემბერს დუშეთის მაზრის დროებითმა საგანგებო სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა გ. ასაიანცს, შ. ლალიაშვილს, შ. ავსაჯანოვს და ი. ვერძეულს, ხოლო გ. ვერძეულს, გ. სიმონიშვილს, ს. ტაკაშვილს, ვ. აბრამიშვილს, ლ. ლალიაშვილს — 20 წლის კატორღა. 1920 წლის 6 მარტს თბილისის სასამართლოში დაიწყო დუშეთის მაზრის აჯანყების ხელმძღვანელთა საქმის გარჩევა. სასამართლოში წარსდგა 18 კაცი, მათ შორის ს. ქავთარაძე, ა. გეგეჭკორი (ფ. მახარაძემ მოახერხა ციხიდან გაქცევა), მაგრამ საქმის გარჩევა 20 აპრილისათვის გადაიდო. ბოლოს „დემოკრატიული" მთავრობის განკარგულებით დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების ირგვლივ შექმნილი კვლევა-ძიება და მასთან ერთად საქმე წარმოებით მოისპო და არქივს ჩაბარდა.

დუშეთის აჯანყება და მისი სისხლში ჩახშობა დიდი დანაშაული იყო მენშევიკების მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულთა შორის. დუშეთის გლეხობა არასოდეს არ დაივიწყებს იმ დანაშაულს, რომელიც მათ მიმართ მენშევიკურმა მთავრობამ ჩაიდინა.

დუშეთის, ზუგდიდის, საჩხერის, რაჭა-ლეჩხუმის და სხვა მაზრების მშრომელთა აჯანყების შემდეგ ცხადი გახდა, რომ საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა მშრომელთა გულს ვერ მოიგებდა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, რაც თანდათანობით მწვავე ხასიათს ღებულობდა. მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო მუშებისა და გლეხების უკმაყოფილება თანდათან მატულობდა, რასაც 1919 წელს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ახალი აზვირთება მოჰყვა.

1920 წელს „პრავდის" თანამშრომელთან საუბარში საქართველოში შექმნილ მდგომარეობას ი. ბ. სტალინმა შემდეგი შეფასება მისცა:

„საქართველოს კატასტროფიული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული სა-

ქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო. რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის... არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევ მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა"[1].

შინაგანი კონტრრევოლუციისა და გარეშე ინტერვენციის ძალებმა ვერ შეარყიეს საქართველოს მშრომელი ხალხის ნებისყოფა და ერთიანობა. 1920 წლის ბოლოს კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება მენშევიკური მთავრობის დასამხობად. საქართველოს მშრომელები ნათლად დარწმუნდნენ. რომ რუს ხალხთან მტკიცე კავშირის გარეშე ძნელი იყო თავისუფლების მოპოვება. ისინი სწორედ რუსეთისაგან ელოდნენ დახმარებას სწორედ აქედან გამოდიოდა ს. ორჯონიკიძე, რომელიც ლენინს სწერდა: „საქართველოს მთავრობის მდგომარეობა კრიტიკული ხდება, რადგან დასავლეთში უკანასკნელად მომხდარ ამბებთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ფარგლებს საჩქაროდ სტოვებენ თურქები და გერმანელები და, ამრიგად, საქართველოს თავის ბედის ამარად სტოვებენ. ამავე დროს გერმანელები მოითხოვენ მთავრობიდან თავმჯდომარის და ზოგიერთი მენშევიკის წასვლას, რომელთა შეცვლასაც ისინი ფიქრობენ ნაციონალ-დემოკრატებით. მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვეტილია მთავრობას და გაძარცული, გაყვლეფილი, გერმანელთა ხიშტებით და საქართველოს ჟანდარმერიის მიერ დათრგუნვილი, გულში იმარხავდა რა გაბოროტებას თავისი მოძალადეების წინააღმდეგ, დახმარებას ელის საბჭოთა რუსეთისაგან"[2].

რკპ (ბ) ცკ-ის დადგენილებისა და ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებით, საქართველოს მშრომელი ხალხის დასახმარებლად გამოეშურა XI არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446—447.

[2] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები.

ხელმძღვანელობით. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, წითელი არმიის დახმარებით, 1921 წლის 25 თებერვალს დაამხეს მენშევიკების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. აქედან დაიწყო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სრულიად ახალი ფურცელი.

ამხ. ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ლენინს და სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"[1].

საქართველოს მშრომელი მასები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ დიად დღეს, რასაც ადასტურებს ს. ორჯონიკიძის განცხადება:

„...გლეხების განწყობილება ჯარებისადმი ამართლებს ყველა ჩვენს მოსაზრებებს. გლეხობა ჩვენ ყოველმხრივ დახმარებას გვიწევს. ყველგან არსდება რევოლუციური კომიტეტები, დიდი სიხარულით სწარმოებს წითელ არმიაში მოხალისეთა ჩაწერა, თვით გლეხობა აპატიმრებს მენშევიკებს და გზავნის რევოლუციურ კომიტეტში და წითელი ლაშქრის ნაწილებში. მაგალითად: თიანეთის მაზრაში დადის ცხენოსანი რაზმი, რიცხვით 40 კაცი, ამ რაზმმა მოასწრო ზარბაზნის, 9 ტყვიამფრქვევის და ათასი თოფის ხელში ჩაგდება. დუშეთის მაზრაზე ლაპარაკიც არ შეიძლება; აქ პირველ გაგებისთანავე წითელი არმიის შესახებ მთელი მაზრა დაიკავეს აჯანყებულებმა. გუშინ (7 მარტს) ბორჯომის რაიონიდან ჩამოვიდა დელეგაცია სუმბათოვოში და გვაცნობა, რომ ბორჯომში არ არის არავითარი ჯარი, დაარსებულია რევოლუციური კომიტეტი და ითხოვენ წითელი ლაშქრის ნაწილებს. ასეთი ცნობები მივიღე ახალქალაქიდან. აფხაზეთზეც ლაპარაკი ზედმეტია. იქ დაარსდა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი და ერთიანად აჯანყებულმა მცხოვრებლებმა დაარსეს თავიანთი მოხალისეთა წითელი რაზმები, რომლებმაც ზურგიდან შეუტიეს მენშევიკებს. სამურზაყანოში და სამეგრელოში წითელი ლაშქრის წინსვლას მცხოვრებლები დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან"[2].

---

[1] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, გვ. 28.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1921, № 8.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში უდიდესი ცვლილებები მოხდა დუშეთის რაიონშიც, რომელიც ყოფილი დუშეთის მაზრის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. იქ, სადაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა, სადაც იღვრებოდა მამაც მებრძოლთა სისხლი, დღეს ბუკავის ახალი ცხოვრება. დუშეთის რაიონი ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის ერთ-ერთ მოწინავე რაიონად გადაიქცა. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და ახალი ცხოვრების შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1918 წლის აჯანყების მონაწილეებმა შ. აბრამაშვილმა[1], ი. ლალიაშვილმა, შ. ვერძეულმა, შ. მჭედლიშვილმა, კ. ჯიქურმა, ი. მელაძემ, გ. ფეიქრიშვილმა, ს. ჯანგირაშვილმა, ს. დიაკვნიშვილმა, ნ. ნაცვლიშვილმა, თ. ლაზარაშვილმა, ვ. ლალიაშვილმა, შ. ქავთარაძემ, პ. ცოციაშვილმა, კარიაულმა, ბ. პაპუნაშვილმა და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დუშეთის მაზრაში, რომელშიც შედიოდა დღევანდელი ყაზბეგის, მცხეთის, ლენინგორის და დუშეთის რაიონები, არსებობდა მხოლოდ 3 ორკლასიანი სასწავლებელი. ამჟამად დუშეთის რაიონში გახსნილია 10 საშუალო, 28 შვიდწლიანი და 95 დაწყებითი სკოლა. გარდა ამისა ზოოვეტტექნიკუმი, სპორტული და მუსიკალური სკოლები, რომლებშიაც 8.000 მოსწავლე სწავლობს. რაიონში მუშაობს 653 მასწავლებელი, რომელთაგანაც 547 ადგილობრივი მკვიდრია.

რევოლუციამდე დუშეთის მაზრაში არსებობდა ერთი 10-საწოლიანი საავადმყოფო ერთი ექიმითა და ორი ფერშლით, ორი ქსენონი ბებია ქალით და სანიტრით.

ამჟამად თვით დუშეთში გახსნილია 100-საწოლიანი საავადმყოფო. რაიონში არის 5 საუბნო საავადმყოფო 52 საწო-

---

[1] 1919 წლის 17 დეკემბერს მენშევიკური მთავრობის სამხედრო სასამართლომ შ. აბრამაშვილს 20 წლით კატორღა მიუსაჯა და მოათავსა ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, სადაც მან თავი დააღწია 9 თვის პატიმრობის შემდეგ. ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით ის კვლავ დუშეთში დაბრუნდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

ლით, 10 ამბულატორია, 12 საფერშლო-საბებიო პუნქტი, ორი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი, 2 საბავშვო ბაგა, 6 აფთიაქი, რაიონული სანეპიდსადგური და სხვ. რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 52 ექიმი, და 172 მედიცინის საშუალო მუშაკი.

1921 წლამდე დუშეთის მაზრაში არ იყო არცერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, ახლა კი რაიონში 80-მდე ასეთი დაწესებულებაა 110 მუშაკით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა აჯანყებულ გლეხთა ღვაწლი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და მათ პერსონალური პენსია დაუნიშნა. პერსონალურ პენსიას იღებენ შ. მჭედლიშვილი, ი. კბილცეცხლაშვილი, ი. არუთინოვი[1], ბ. პაპუნაშვილი, პ. შუშიაშვილი, შ. ქაეთარაძე, პ. ცოციაშვილი, ლ. ლალიაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. მელაძე, ს. ჯანგირაშვილი, კარიაული და სხვ.

*

*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ქართველი ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას, რის შემდეგაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ზოკლე დროის განმავლობაში შეძლო ყველა ძირითადი საკითხის გადაჭრა, რომელიც ასე აღელვებდა მუშებსა და გლეხებს. მთელი მიწა უვადო სარგებლობაში გადაეცა გლეხობას. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ეროვნული შუღლი და მტრობა. კომუნისტური პარტიის მამობრივი მზრუნველობისა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და ინტელიგენციამ, თავიანთი თავდადებული შრომის მეოხებით, საქართველო გადააქცია

[1] იოსებ არუთინოვი 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილეა მჭადისჯვრის გლეხთა აჯანყების დროს- ის ხელმძღვანელობდა ასეულს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იყო პირველი პოლიტიკური კომისარი მჭადისჯვარში.

მძლაკრ სოციალისტურ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რეს-პუბლიკად.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების მონაწილენი დღესაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, რომლის დიადი ვეგმები დაგვისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ.

---

# ს ა რ ჩ ე ვ ი


| | |
|---|---|
| შესავალი | 3 |
| გლეხთა მოძრაობა დუშეთის მაზრაში მე-20 საუკუნის დასაწყისში | 18 |
| მენშევიკები საქართველოს პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში | 25 |
| ბოლშევიკური პარტია — შეიარაღებული აჯანყების ორგანიზატორი დუშეთის მაზრაში | 43 |
| დუშეთის მაზრის გლეხთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის | 63 |

რედაქტორი გ. გულბანი
ტექრედაქტორი ნ. ღლონტი
კორექტორი ნ. მიქელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად $^{6}/_{9}$-60 წ.,
ქაღალდის ზომა $84 \times 108^{1}/_{32}$.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 4,96.
ნაბეჭდი თაბახი 5,33.+4 ჩაკერა.
საავტორო თაბახი 4,84.
უე 03097. ტირაჟი 2000 შეკვ. № 351
ფასი 2 მან. 8ნ კაპ.
ფასი 1961 წ. 1-ლი იანვრიდან 24 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок